

729

1976/2



ქართული
ლიბრეოთეკა

უცნაური უმჯობესე



1976

4

13200

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მთაბე

№ 4 (92)

თბილისი—აგვისტო

ქ. შარტავის ხაზ. სტ. სსრ
სახ. ენციკლოპ. საზოგადოება
ბი. ლიციანიძე

რედაქტორი

ერემია ქარელიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი

გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

**ნოდარ გურაბანიძე,
ოთარ ეგაძე,
ვასილ კიკნაძე,
ბაღრი კობახიძე,
ლილი ლომთათიძე,
ბესარიონ შლენგი,
ვახტანგ ქართველიშვილი,
ნინო შვანავირაძე,
გიორგი ციციშვილი,
დომინიკი ჯანელიძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი-380007
კირიშის ქ. № 11-ა
ტელეფონი
99-93-78

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VIII ყრილობა

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი აღქსიძის საანგარიშო მოხსენების შემდეგ, რომელიც დაიბეჭდა „თეატრალური მოამბის“ წინა ნომერში, ყრილობამ მოისმინა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ნოდარ გურაბანიძის და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორის ოთარ ეგაძის ვრცელა და შინაარსიანი თანამოხსენებები. ნოდარ გურაბანიძემ ფართოდ მიმოიხილა რესპუბლიკის თეატრების შემოქმედებითი მუშაობა და ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რომლებიც განვილილ საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის თეატრების წინაშე იდგა.

— ოცდაათი წელი გვაშორებს იმ დირსასხსოვარ დღიდან, — ამბობს ორატორი — როცა საქართველოს ინტელიგენციამ, ხელოვნების მუშაკებმა გამოჩინილი და საამაყო მამულიშვილების შალვა დადიანის და აკაკი ხორავას თაოსნობით საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, რომელიც იმთავითვე მოწოდებული იყო ხელი შეეწყო ქართული თეატრალური ხელოვნების, დრამატურგიის, თეატრალური მხატვრობის, ერთის სიტყვით ყველა, იმ კომპონენტების განვითარებისათვის, რაც განაპირობებს თეატრის სინთეზურ ბუნებას.

მას შემდეგ ათასობით სპექტაკლი გათამაშდა ჩვენს სცენაზე, ასობით პიესამ ჰკოვა სცენური განსხეულება, მრავალზე მრავალმა პერსონაჟმა გაიარა ჩვენს თვალწინ, რომელთაგან ბევრი დავიწყებას მიეცა, ბევრი კადეც დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს ჩვენს მუხსიერებაში.

მაგრამ, რაოდენ დიდი და სახელოვანიც არ უნდა იყოს ამა თუ იმ ერის, მათ შორის, უხადია, ქართველი ერის თეატრალური წარსული, თეატრალური ხელოვნებისათვის განსმარდერელია მისი დღევანდელი ვითარება.

თვით თეატრის ბუნებაშია ნაგულისხმები მისი უცილობელი, განუწყვეტელი კავშირი თანამედროვეობასთან. მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება ხელოვნების სხვადასხვა სფეროდან, როცა, ვთქვათ პოეტს, მხატვარს, კომპოზიტორს დიდება გვიან სწევდია ან სულაც სიკვდილის შემდეგ უღაარებიათ, რადგან მათი იდეები და მხატვრული თავისებურებანი უსწრებენ ხოლმე თანამედროვეთა აღქმის შესაძლებლობებს, მაგრამ თითქმის არ არსებობს რეჟისორი და აბსოლუტურად არ არსებობს მსახიობი, რომელიც სიცოცხლეშივე არ ყოფილიყოს აღიარებული ხალხის, მისი თანამედროვეობის მიერ. შესაძლოა, სცენური ხელოვნების რომელიღე დიდა მოღვაწე თავისი თეატრალური იდეებით წინ უსწრებს თავისი დროის თეატრს, მაგრამ რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ეს იდეები, ისინი უმაღლე იპყრობენ ხოლმე თანამედროვეთა ყურადღებას, ამაშია თეატრალური ხელოვნების კანონზომიერება და თუ გნებავთ, პარაოქსიცი, რასაკვირველია, სტანისლავსკი, მეიერჰოლდი, მარჩანისვილი წინ უსწრებდნენ თავიანთი დროის თეატრს, მაგრამ თანამედროვეთა მიერ მათი ხელოვნება უაღრესად იყო დაფასებული და გაგებული. რისთვის მოეუხმეთ წარსულის ამ დიდ მოღვაწეებს ან რად ვიხსენებთ ამ ჭეშმარიტებას? მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი თეატრები კვლავ და კვლავ თანამედროვე პრობლემათა პირისპირ დავაყენით.

ორი უმთავრესი ნიშანი განსაზღვრავს დღევანდელ ქართული თეატრის შემოქმედებითს სახეს. ეს ვახლავთ პრობლემათა მოქალაქეობრივი სიმახვილე, ამ პრობლემათა სიუხვესთან ერთად, და მკვეთრი შემობრუნება თანამედროვე თემატიკისაკენ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია ქართული თეატრის სინამდვილეში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს კმ ცენტრალური



კომიტეტის ბიუროს დადგენილებას დამატული თეატრების რეპერტუარის თაობაზე, აგრეთვე ც.კ.-ის კულტურის განყოფილების მიერ გამართულ თათბირებს თეატრების წინაშე მდგარი ამოცანებისა თუ პრობლემატიკის გამო. ეს დადგენილება წარმოშვა სინამდვილემ და იგივე სინამდვილე შეიცავდა მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობას.

შემდეგ ორატორი ეხება საქართველოს თეატრების კონკრეტულ საკითხებს, მის რეპერტუარს და ამბობს:

— როგორც ეს მოსალოდნელი აყო, რეპერტუარში უპირველესი ადგილი დაიჭირა კრიტიკული პათოსის შემცველმა ნაწარმოებებმა, სადაც მხილებული იყო ადამიანის ფსიქიკა და ჩვენს საზოგადოებაში შემორჩენილი მძიმე დანაშაულები, უღირსი მიდრეკილებანი და მავნე ტენდენციები. ამგვარად, თეატრის კრიტიკის აპარატი ერთბაშად ვერცელა იყო: ერთი მხრივ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური სფერო, რაკი იგი ადამიანის შიხაგან სამყაროს ეხებოდა და მეორე მხრივ სოციალური სფერო — რაკი იგი საზოგადოებრივ ცხოვრებას მოიხილავდა. აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვავიხსენოთ ისეთი სპექტაკლები, როგორებიც იყო გ. ფანჯიჭიძის „თვალი პატიოსანი“, მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭახტირაძე“, ჯაბა იოსელიანის „ტაქიპასხარა“ მარჯანიშვილის თეატრში; ვლ. მაიაკოვსკის „აბანო“, თ. ჭილაძის „სურათები საოცახო აღზომიდან“, ნ. დუმბაძის „საბრალოდებო დასკვნა“ — რუსთავის თეატრში; ნ. დუმბაძის იგავე პიესა რუსთაველისა და რესპუბლიკის მრავალ თეატრში, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“, ი. ვაკელის „აპრაქუნე ჭიჭიმილი“ ქუთაისის თეატრში, შუტკინისა და ვაპილოვის უღერსად მწვევა პიესები გრიბოედონის თეატრში.

ამ კრიტიკულ, მანკიერებათა უარისმყოფელი სპექტაკლების გვერდით, არ შეიძლება არ შექმნილიყო პიესები, სადაც ჩვენი თანამედროვე შემოქმედი ადამიანის სახე იქნებოდა ნაწილები. ეს უბრალოდ ცხოვრების დიალექტიკის უარყოფა იქნებოდა, უარყოფა დინამიზმის, განვითარების, ახლისქმნილების.

აქ, ცხადია, ამბობს ორატორი, უპირველესი ადგილი უნდა მიეკუთვნოს კომუნისტის, საბჭოთა ადამიანის სახის შექმნას, მისი სულიერი სიდიადის ჩვენ-

ებას, იმ ადამიანის მხატვრულ განხორციელებას, რომელიც ქმნის ჩვენი ცხოვრების წესს. ლეონიდ ილიას მებრეჯენე თავის საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ოქტომბრის სოციალური რევოლუციის უშინავერეს მონაპოვართა შორის მიიჩნეოდა საბჭოთა ცხოვრების წესისა და საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესის სრულქმნას.

ასეთი ადამიანის მხატვრულ-სცენური სახის შექმნა ყოველთვის იყო და იქნება ქართული თეატრის უპირველესი ამოცანა, ქართული დრამატურგიის სინახორციული საქმე. თანამედროვე ადამიანის სახის შექმნა, უპირველესად, კომუნისტის სახის შექმნის სფეროვით არის სწორად ნაკარხავე ჩვენი თეატრების რეპერტუარში ისეთი პიესები წიხ წამოწვევა, როგორიცაა რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“ (განახლებული ვარიანტი), გ. ხუხაშვილი „მოაპაბოლე“, ალ. ხხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“ და „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“, ვლ. კახდელაკის „გრძელი დღე“, ა. ფაღველავის ახალგაზრდა გვერდი“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ინსცენირებები, ი. დვორცკის „უცხო კაცი“, ვ. როზოვის „სიტუაცია“, შტეინის „ორმოცდამეერთე“, ვაიდარის „ბუმბარაში“ და ვ. დარასელის „კიკვიძე“.

ამ სპექტაკლებში სცენაზე აღიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერზე მაღლა აყენებენ საზოგადოების იხტერენებს, იბრძვიან საერთო-სახალხო საქმისათვის, ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის.

თუ ვავითვალისწინებთ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების სპეციფიურობას და ქართული თეატრის ვითარებას მასთან შესაბამისად, მაშინ ჩვენითვის ვასაგები ვახდებთ მორალურ-ხელობრივი თემის უპირატესობა სხვა თემებთან შედარებით, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თავისი ადგილი არ სჭეროდეს, ე. წ. საწარმოო თემს და საბჭოთა ხალხის უშავალითო გმირობას დიდ სამამულო ომში.

ასეთი სპექტაკლები აქ ნაწილობრივ დასახელდა, შეგვიძლია მათ მიეკუთვნოთ გ. ფანჯიჭიძის „მეშვიდე ცა“ და რუსთაველის თეატრში, ჯ. მონიავას „დღევანდელი საწყაული“ მარჯანიშვილის თეატ-

რში, ვლ. იაკაშვილის „წრთობა“ რუსთავის თეატრში, შტეინის „სახვალის ამინდი“ სოხუმის თეატრში და ა. შ. ახლა, რაც შეეხება, სამამულო ომის გმირული ეპოპეისადმი მიძღვნილ სპექტაკლებს — არ დარჩენილა რესპუბლიკის არცერთი თეატრი რომ არ დაედგას ამ დაუფიქსარა, საარაკო გმირობის ამსახველი პიესა, ისევე როგორც ყველა თეატრმა მიუძღვნა აპეციალური დადგმა კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას. ამ დადგმებს თეატრალურმა საზოგადოებამ სპეციალური პლანში უძღვნა და ამის თაობაზე აქ სიტყვას აღარ გვაგარძელებ.

ამგვარად, თუ დავუბრუნდებით ზემოთქმულს — ქართული თეატრის რელიეფურად გამოკვეთილი ლეიტმოტივი თხაქედროვე ადამიანის წინაშე მდგარი ზეიკობრივი პრობლემები გახლავთ. თვით ძველი და ახალი დროის კლასიკური ქმნილებანი დღეს ზნეობრივ პრიზმაშია უპირველესად გატარებული და ჩვენი საზოგადოების გახვითარების იმპულსის როლი ეკისრებათ. ბრეჰტის „კაკაიაური ცარკის წრის“ უჩვეულო წარმატება, სხვა კომპონენტებთან ერთად, განაპირობა ზნეობრივი კატეგორიების მაღალმხატვრულმა განსხეულებამ.

თ. ჩხეიძის მიერ წლევანდელ სეზონში განხორციელებული ათოვლეს „ოდიშოს მეფესა“ და აბსენის „მოჩვენებანი“ აზრობრივი ძალა, ემოციური ზემოქმედების დაძაბულობა განპირობებულია ადამიანის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით საკუთარი თავის, ოჯახის თუ სახელმწიფოს წინაშე.

და აი, „მოჩვენებანი“, რომელიც მრავალი მომენტის ბედნიერი დამთხვევის გამო გვხიბლავს და გვაღვლებს. აქ ჩვენ ერთმანეთის გვერდგვერდ ვხედავთ ქართული თეატრის ორ გამოჩენილ მანხიობს, უფრო აწორად, ორ გამოჩენილ არტისტს, რადგან ამ სიტყვაში ვგულისხმობ არა მარტო სცენურ მოღვაწეობას, არამედ არტისტულ ცხოვრებას — სავსეს გატაცებით, ბრძოლით, აღმადგენით და დატყმით, სადაც საზოგადოებრივ აღიარებას, ხალხის სიყვარულსა და აღფრთოვანებას პირადული, ტრავგიული განცდები ბზარავს ხოლმე. ებრა, სცენაზე დგას ორი დიდი არტიტი ვერეიკო ან-ჯაფარიძე და აკაკი ვასაძე და მარტო ეს ფაქტაც კი მრავლისმეტყველია, ზნეობ-

რივი გაკვეთილია ჩვენი საზოგადოებრივ სთვის. ერთი თეატრის წილში მობილნი მარჯანიშვილის მიერ ხელდასმული ისინი ათეული წლები მანხიობს დაძორებულნი იყვნენ და სხვადასხვა თეატრებში ჰქმნიდნენ თავიანთ უკედავ სახეებს, რათა ბოლოს, ცხოვრებაში დაუხრზე კვლავ მარჯანიშვილის სახელი კვეთს გაეთითაებულ იყვნენ და მისი თეატრის იტბერი კედლები გაეთბოთ თავიანთი შემოქმედებითი ცეცხლით.

მეძღვე ორატორი ენება ნაყოფანებება და პირველ რიგში ასახელება მწერალთა კავშირისა და ჩვენი ქუთიალების მხრივ არასაკმარის ყუთაღლებას ღრამატურგისადმი. მეოთხე შეაამჩნევ ნაკლად ორატორი ასახელებს ჩვენი ღრამატურგის პრობლემაციას მაშტატურობისა და ღრამატული ფორმის შეუსაბამობას. პიესაში ფამოტურილი პოთილემა — ამბოას იგი — მნაშენლოვანია, მწვევეა, — ხოლო მისი გახვითარება ხდება კამერული ღრამის ჩარჩოებში, რის გამოც თვით პრობლემა ჰკაოგავა გაქანებას და სამწვევეს.

ჩვეხს სააავძეთ და ახალგაზრდულ თეატრებში ყალიბდება მომავალი მათეურული ესთეტიკური გემოვნება და ძალალი გრძობება. სწორედ აქ გვეკრდება ხამდვილი ძალამხატვრული ღრამატურგია, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენ არა გვეყავს ღრამატურგი, რომელიც სპეციალურად თოჯინების თეატრისათევა წერდეს.

რეპერტუარის მხრივ ვაცილებით უვეთესი ძღვომარეობა აქვს მოზარდმაყუთებელთა რუაულ თეატრს, რადგან არჩევანის შესაძლებლობა აქ ვრცელზე-ვრცელია. რაც შეეხება სპექტაკლების მხატვრულ ხარისხს ამჟარად იგრძნობა რ. მირცხულავას ნიჭი, ძალალი პროფესიული დონე და მანხიობებთან მუშაობის უნარი.

ძალზე ენერგიულად მოჰკიდა ხელი დაიას ვანახლებას, რეპერტუარის გამდიდრებას გრიბოედოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა. ტოვსტონოვოვმა. ახლა ვაცილებით მდიდარია ამ თეატრის შემოქმედებითი პლანი — აქ შეხვდებით ჰეროიკულ-რომანტიკულ ღრამას, სატირულ კომედიას, მძაფრ გროტესკს, მუზიკლს, ლირიკულ ღრამას. მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალულ პიესებს. ამის შესაბამი-

სად გაიზარდა თეატრის გამომსახველობითი ხერხების დაიპაზონი.

ქართული ხალხის უსაყვარლესი თეატრი — კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი უკანასკნელი სეზონებია მანძილზე ვეღარ გასასწავლავდა ქართული თეატრალური ცხოვრების აქუსასილი.

ასეა, როცა დაბრუნდა დიდი ჯგუფი თეატრიდან წასული მსახიობებისა, დარჩენილთა და დაბრუნებულთა შერწყმით ჩვენ ერთ-ერთ ძლიერ და საინტერესო კოლექტივთან გვაქვს საქმე.

ორატორი დაწვრილებით იხილავს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრისა და მიათ ქუთაისის ფილიალის, თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუსკომედისა და რაიოხულ სახელმწიფო თეატრების საქმიანობას, აღნიშნავს მათს წარმატებებს და ნაკლებებებს, აყენებს კონკრეტულ პრობლემებს, რომლებიც აუცილებლად მოითხოვენ გადაჭრას.

თავის თანამოსწავლისაში „ქართული საბჭოური თეატრის ეროვნულ-ინტერნაციონალური არსი“ — **ოთარ ევამე**, ამბობს:

— გუშინდელ ვახუთ „პრავდში“ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელშიც გაანალიზებულია საკითხი „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცკ-ის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ჩვენს პარტიის აზრისა და მოქმედების ესოდენ მაღალი ცენტრის მიერ საქართველოს კპ ცკ-ის მოდერნიზაციის დადებითმა შედეგებამ დიდად აღაფრთოვანა რესპუბლიკის ყოველი მშრომლის გული, ბუნებრივია, ხელოვანთა დიდი არმია. ამერიდან მთელი ჩვენი ხალხი კიდევ უფრო ფრთხილდებულად ამოუდგება მხარში საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას სკკპ პარტიის 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებების, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების ცხოვრებაში დროულად და უნაკლოდ გასატარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსი, რომელსაც ჩვენ ყველა ვიცავთ და ვანხორციელებთ, თეატრალური ცხოვრე-

ბის პრაქტიკაშიც პოულობს ერთობლივ მხარდაჭერას.

ჩვენი სპექტაკლებს უმრავლესობა თავისი იდეური პათოსით, ზეგობრივი მიზანდასახულებითა და მკაფიო გამომსახველობითი ფორმით პარტიის იდეოლოგიური არსენალის მნიშვნელოვანი იარაღია და ამით არის დასაფასებელი თეატრალური ხელოვნებათა დღევანდელი პროგრამული შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ქართულ თეატრში, ბოლო სამ წელიწადში, ბევრი იაეთი სპექტაკლი დაიდგა რომელთა პათოსი მიმართული იყო ეროვნული და ინტერნაციონალური არსის ძარქსისტულად შესახამებლად. ასეთი სპექტაკლების რიცხვს ეკუთვნის ნოდარ დუმბაძის ძველი და ახალი ნაწარმოებებიც: „მე ვხედავ მუხს“, „მზიანი დამე“, „ნუ გეშინია, დედა“, და „საბრალდებო დასვენა“, რომლებშიც გამოვლინდა ქართველი ხალხის კეთილშობილური დამოკიდებულება სხვა მოძმე ხალხებისადმი, — სომხების, ზერბაიჯანელების, ბელორუსების, უკრაინელებისა და რუსი ხალხისადმი.

და როცა ხალხს აქვს, რითაც იამაყოს სხვა ერებისადმი თავისი ინტერნაციონალური დამოკიდებულებით, ლაღად შეუძლია თქვას საკუთარი ეროვნული სულის აღმაფრენაზე. ქართული თეატრი მშობლიური ენისა და სულის გამახაყოფიერებელ ასეთ აღმაფრენადაც იქცა და ესეც არის კომუნისტური პარტიის ცხოველყოფილური წარმართველობის ლოგიკური შედეგი. ბევრი რამ კეთდება მშობლიური კულტურისა და ხელოვნების ინტერნაციონალურ-სოციალისტური არსისა და ეროვნული ფორმის გასაფურჩქნავად.

ამისი დასტური ისიცაა, რომ ბოლო სამ წელიწადში ოთხი ახალი თეატრალური ორგანიზმი შეიქმნა. მხედველობაში მაქვს „მოეტის“ თეატრი — პირველი ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივი მთელს კავშირში, „მინიატურების თეატრი“, „მამის თეატრი“, „კინომსახიობის თეატრი“.

სამ წელიწადში ოთხი ახალი ქართული თეატრალური კოლექტივის შექმნა და ფართო გზაზე გაყვანა ნიშნავს საერთოდ სოციალისტურ ნიადაგზე ტანაყრილი ქართული ეროვნული კულტურის, ქართული ენის, ხმისა და ფესვის გამლაგაზრდას.

ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარხანდელა დადგენილებით თეატრალურ საზოგადოებას აღუდგინეს ათი წლის წინათ დაუფიქრებლად წართმეული გამოცემლობა, ამ კურსის ნათელი დადასტურებაა.

ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ გამოცემლობა „ხელოვნებას“ წელს დაუარსა ოთხი ახალი მთარგმნელობითი განყოფილება — რუსულ, იტალიურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე ყველა მნიშვნელოვანი ქართული სახელოვნო ლიტერატურის გამოსაცემად — ესეც ამ სასიკეთო კურსის განხორციელებაა.

ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკვე შეიქმნა ქართულიდან უცხოურ ენებზე და უცხოურიდან ქართულზე თარგმნის სპეციალური სამმართველო, ასევე ამ ლენინური კურსის წარმოჩინება.

ის ფაქტი, რომ ახლა გამოცემლობა „ხელოვნებას“ ბეჭდავს ქართველ დრამატურგთა და რეჟისორთა ვიზუალურ პიესა-საექსპოზიციო ერთდროულად ქართულ და რუსულ ენაზე საქვეყნოდ მოსაფენად, იგივე კურსის გახმაურებაა.

საკითხავია, განა მოხერხდებოდა ამის განხორციელება ქართული ეროვნული კულტურისადმი პარტიისა და სახელმწიფოს მხრუნველობის გარეშე? ყოველივე ამაში ფასდაუდებელი ამაგი დავგელო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს ქართული დრამატურგიისა და მუსიკის პოპულარობაზე, აღნიშნავს, რომ ქართულ ენაზე დაწერილი პიესები და ოპერები დიდი წარმატებით მიდის საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. ამაში ყველა საბჭოთა ხალხსა და მათ შორის, ქართველისაც, დიდად გვეხმარება სკვპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევი. ბევრი რამ კეთდება ჩვენი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ასაკვაებად, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის შესარწყმელად. ასეთი შერწყმის ნათელი გამოვლინება ის, რომ უკრაინულ ენაზე დაიღვა „აბესალომი“, „დაისი“, „მინდია“, სომხურ ენაზე — „დაისი“, „მინდია“, ჩეხურზე — „დაისი“, პოლონურზე — „აბესალომი“, ლიტურზე — „მინდია“,

გერმანულზე — „დაისი“, „აბესალომი“ და „მინდია“. მაგრამ საკითხავია, ქართველებიც რატომ ასევე არ ვეძებთ სხვაენოვან ოპერებს, რატომ ქართულ ენაზე არ დავდგით სლოვაკური „კრუტხიავა“, უკრაინული „ტაოა ბუღია“, გერმანული „მფრინავი ჰოლანდიელი“ და „ტრუბადური“, იტალიური „სოფლის აპტიოსება“. რით იყო გამართლებული, რომ ახლო წარსულში ვერდის ოპერა „ოტელოს“ დაღვამა რუსულზეც კი იუარეს და იტალიურად დამღერება აიჩქმეს?

რატომ ხდება ასე? განა ვინმე გვაძალეს იტალიურ ენაზე დადგმა, როცა ჯერ ქართულად არ დავდივამს? განა ქართულ ენაზე დადგმა-არ დადგმა საკითხს თვითონ ჩვენ არ ვსწყვეტთ? განა უფრო მეტ მსძენელს არ ძვიზნდავთ საოპერო თეატრში, თუ ახლად დასადგმელი ევროპული ოპერა ქართულ ენაზეც აუღერდება, ისე როგორც ყდერს რუსულ, უკრაინულ, ყირგიზულ, სომხურ, ესტონურ და სხვა ენებზე?

ამ საკითხში სიძნელო სიტყვა ეკუთვნის კულტურის მინისტრს ოთარ თაქაძე-ქიშვილს, რომელიც ბედნიერად და ნაყოფიერად უთავსებს ეროვნულობისა და ინტერნაციონალურობის პრინციპს საკუთარ საკომპოზიტორო შემოქმედებაში და სახელმწიფო-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, დაწყებული თუნდაც ქუთაისის ოპერის ფილიალის დაარსებით და დამთავრებული ოთხი ახალი თეატრალური კოლექტივის შექმნით თბილისში.

ქართული თეატრის მრევლის მომრავლებას-ამბობს ორატორი — ყველა ერთად უნდა შეუვადგეთ. პირველ რიგში კი მოხარდი თათბის ესთეტიკურ აღზრდაზე უნდა ვიზრუნოთ.

ამ მხრივ ყინული უკვე გალხვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავლბა მისცა კულტურისა და განათლების სამინისტროებს, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ფექტურა ღონისძიებები განახორციელონ, რათა საშუალო სკოლადამთავრებულს, ლიტერატურასთან ერთად, საჭირო წარმოდგენა ჰქონდეს თეატრზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე. ამ დიდ ეროვნულ საქმეში თავის წვლილს შეიტანს გამოცემლობა „ხელოვნება“, იგი ოპერატულად გამოსცემს „თეატრალურ ნობათს“, რომელშიც შევა პო-



ბულარულად დაწერილი ხუთი ბრო-
შურა თეატრალური ხელოვნების ან-
ბახზე. დაე, ეს იყოს პირველი ჩვენი
მცირე თეატრალური გზამკვლევი მოს-
წავლეთა ფაქიზი გულის კარისაკენ.
სხვა უფრო დიდზე კი ყველამ ერთად
ვიფიქროთ და ერთობლივად ვიზრუნოთ
მშობლიური თეატრალური ხელოვნე-
ბის აღმზრდელითი როლის კიდევ
უფრო ასამაღლებლად.

მოხსენიებასსა გარშემო კამათში
პირველი გამოვიდა თეატრალურა სა-
ზოგადოების აფხაზეთის განყოფილე-
ბის თავმჯდომარე **გ. კალანდია**. მან
თქვა:

საქართველოს თეატრალური საზო-
გადოების მე-7 ყრილობიდან დღემდე
საკმაო დრო გავიდა. ამ დროის მანძილ-
ზე აფხაზეთას თეატრალურ ცხოვრება-
ში გვექონდა გარკვეული წარმატებანიც
და შემოქმედებითი წარმატებლობაც.
როგორც აფხაზურ, ისე ქართულ სცე-
ნაზე დაიდგა თანამედროვე ცხოვრების
ამსახველი მრავალი ნაწარმოები. დაიდ-
გა კლასიკა და საზღვარგარეთის საუკე-
თესო ნიმუშები.

დღეს აფხაზეთი ამაყობს აფხაზური
თეატრის გამოჩენილი მოღვაწეებით:
მინაღორა ზუზბას, ანა არგუნ-კობოშო-
კის, ლევარსან კასლანძიას, შარახ ფა-
ჩალას, აზიზ და როზემბეი აგრებებს,
მინგილ კოვეს და სხვათა სახელებით.

დღეისათვის აფხაზურ თეატრა ყავს
დახვეწილი გემოვნების, თანამედროვე
კულტურის რეჟისორები. შეიძლება
ითქვას, რომ უკანასკნელი წლების მან-
ძილზე აფხაზური თეატრისათვის საე-
ტაპო სპექტაკლები განახორციელა ნე-
ლი აშბამ. კარგად დაწყებული საქმეს
კარგად აგრძელებდნენ ნიჭიერი ახალ-
გაზრდა აფხაზი რეჟისორები დიმიტრი
კორტავა, მიხეილ მარხოლია.

აფხაზური თეატრალური ხელოვნე-
ბის განვითარების საქმეს ფასდაუდ-
ებელი ამავე დასდო შოთა რუსთაველის
სახელობის თბილისის თეატრალურმა
ინსტიტუტმა. მის კედლებში აღიზარდა
რამდენიმე თაობა აფხაზი მსახიობე-
ბისა. გასულ სეზონში ამ ინსტიტუტის
აღზრდილებით შეიქმნა აფხაზური და-
სის კოლექტივი.

აფხაზეთში ქართული თეატრალური
ხელოვნების განვითარების საქმეში დი-
დი ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ ქარ-
თველ რეჟისორებს ვახტანგ ვარიკს,

სერგო ჭელიძეს, ვასილ ყუბიანელსა
და გიორგი ყურულს, აქ უნდა ვიხილ-
ოთ თამარ ჭავჭავაძე, სალომე ყაიხელი,
ბუხუტი ზაქარიაძე, ოთარ კობეიძე,
ზუბან ლაფერაძე, ლევან მირცხულავა,
აზორ ქუთათელაძე, ვიქტორ ხიხიძე,
ბორის ყაფურია, ლეილა ჰაქსაშვილი,
ლევან ფილვანი, გეგეურა ხევიანი,
საადრო მარტოვიშვილი, ძოთა გაბელია,
გურამ ხურცილავა და სხვები.

ლ. ჭელიძე, მინ. ჩუბიანიძე, ნ. მაქა-
შვითია და მომდევნო თაობის —
თ. ბოლქვაძის, ნ. ყიფიანის, ბ. თოფუ-
რიძის, ფ. შედანიას ხელოვნებისადმი
გაუწელებელთა სიყვარულმა დიდი სამ-
სახუთი გაუწია აფხაზეთში ქართულ
თეატრს, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ,
სხვა სურათი გვაქვს. ქართულმა თეატრ-
მა თითქოს დაკარგა ძველი ხიზლი...

მართალია ამ ხნის მათილზე თეატრში
მოვიდა ახალგაზრდობა, მაგრამ ძალიან
ცოტა გვეყავა ძეგლი, საკუთარი ხელ-
წეობის თემოქმედი.

მწერალთა კავშირის გამგეობის მდი-
ვანი **ა. ნონეშვილი** ქართველი მწერლე-
ბის სახელით მიესალმა ყრილობის მო-
ღვაწეთა მწერალთა და თეატრის მოღ-
ვაწეთა შემოქმედებით თაბამეგობრო-
ბაზე. მან მნათი დაუჭირა აგრეთვე
ო. ევაქუა იმის თაობაზე, რომ დროა
თბილისის ოპერის თეატრმა ევროპული
და მოძმე საბჭოთა კავშირის ხალხთა
ოპერები ქართულ ენაზე დადგას.

კომპოზიტორთა კავშირის გამგეო-
ბის პირველი მდივანი **გ. ორჯონიძე**
მიესალმება ყრილობას საქართველოს
მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეთა
სახელით, გამოთქვამს თავის მოსაზრე-
ბებაა და შენიშვნებს შემოქმედებითი
კავშირებას საქმიანი ურთიერთობის
საკითხებზე, აყენებს საკითხს ტელევი-
ზიის წინაშე ფართო ადგილი დაუთმოს
თავის გადაცემებში ქართული ხელოვნე-
ბის ყველა დარგის პროპაგანდის ხა-
რისხის ამაღლებას.

— ჩვენი საზოგადოების ვალია —
ამბობს თეატრალური საზოგადოების
აჭარის განყოფილების თავმჯდომარე
ალ. ჩხაიძე, — ფხიზლად და გულწრ-
ფელად იცავდეს ქართული თეატრის
ინტერესებს, მას ღირსებას არა მარტო
თბილისში, არამედ რესპუბლიკის ყველა
კუთხეში, ოცდახუთივე თეატრში, ვი-



ნაიდან ერთ არასწორად ნათქვამ პანგს შეუძლია ვააფუჭოს კარგი სიმღერა.

ერთი წლის წინათ, აი აქ, თეატრალური საზოგადოების პლენუმზე, რომელიც განვლილი სეზონის შედეგებს ეხილავდა, მომინდა გამოვსვლა, და ნებით, თუ უნებლიეთ, ტრიბუნიდან გამოეთქვი მეტად თამამი აზრი, იმის თაობაზე, რომ ოთხმოცამდე სპექტაკლიდან, რომლებიც სეზონის მანძილზე დაიდგარეს სპუბლიკის პერიფერიის თეატრებში, შეიძლებოდა თუ არა დაგვეახელებინა თუნდაც ერთი სპექტაკლი, რომლის ჩვენება და თავის მოწონება უყოყმანოდ შეგვექლო თბილისში, თავი, რომ დაჯანებოთ მას გატანას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ეს ვთქვი და, მართალი ვითხრათ, შიშმა ამიტანა, ვინაიდან დარბაზში ისხდნენ სწორედ ამ სპექტაკლის ავტორები, თეატრების ხელომღვანელები, რომელთაგანაც მოსალოდნელი იყო საპროტესტო შეძახილები. მაგრამ, სამწუხაროდ, დარბაზი დუმდა. ეს თამამი განცხადება დღესაც რომ გავაკეთოთ, ვინ იცის, ალბათ არც ახლა ატყდება დარბაზში დიდი საპროტესტო ხმაური, თუმცა ერთი თვალის გადავლებით წლებადელი სეზონი თითქმის უფრო საინტერესო და ნაყოფიერი მოჩანს. ჩვენს თეატრებში მართლაც შეიქმნა რამდენიმე საყურადღებო სპექტაკლი, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს მასშტაბურა მოვლენები.

რატომ ხდება, რომ ხელოვნების ისეთ დარგში, როგორიც თეატრია, რომლისათვის უცხოა სიყალბე, ჩვენ გვიძნელდება აღამიანის ყველაზე უფრო კეთილმოზილური თვითებების — გულწრფელობის, პირდაპირობის, პრინციპულობის გამოვლინება, უფრო მეტიც, პიესის შერჩევისას, ახალი სპექტაკლის მიღებისა და შეფასებისას, ხშირად ვპირფერობთ, მივდივართ კომპრომისზე, ვერიდებით ერთმანეთის წყენინებას.

ბათუმის თეატრში, დარწმუნებულა ვარ, სხვა თეატრებშიც, ხშირად იღვამება პიესები, რომელთა დადგმაც არავითარი აუტილებლობით არაა გამოწვეული, ძირითადად რეჟისორის საეჭვო კაპრიზებითა და გემოვნებით წყდება მისი მიზნების ბედი ზოგჯერ წინააღმდეგ სამატერო საბჭოსი, მთელი კოლექტივისა. აბა რა შედეგს უნდა მოველოდეთ, რო-

ცა თვით მსახიობს არ სჯერა, რომელსაც ის ანსახიერებს, სპექტაკლისა, რომელშიც ის მონაწილეობს.

— ყოველი დღე ამოკლებს იმ მანძილს, როდესაც ჩვენი თეატრის კოლექტივი უნდა დაუბრუნდეს თავის მშობლიურ კერას — თეატრის სრულიად რეკონსტრირებული შენობის შესანიშნავ ნაგებობას, რომელიც იქნება არამც თუ საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ერთ-ერთი საუკეთესო საოპერო თეატრი. — ამბობს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი ი. ზერიძე, — და სრულიად ვასაგებია საზოგადოებრიობის ის დიდი ინტერესი, მღელვარება და მოლოდინი, რომელსაც ის იჩენს ამ დღისადმი.

თეატრის კოლექტივი მთელი პასუხისმგებლობით ემზადება, რათა ღირსეულად წარადგინს მაყურებელთა წინაშე. მე მოკლედ მოგახსენებთ იმ დადგმების შესახებ, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ: უპირველეს ყოვლისა ეს არის ზ. ფალიაშვილის „ახესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა, ბ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, ბალეტი „შჩელოვნიკი“, ზ. ფალიაშვილის „დაიანი“, მუსორგსკის „ბორის გოლუნიოვი“. ამ უკანასკნელის დადგმას ანხორციელებენ უკრაინის სახალხო არტისტები, ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატები, რეჟისორი დიმიტრი სმილინი და დირიჟორი სტეფანე ტურჩაკი. მხატვარია ბელორუსიის სახალხო მხატვარი ევეგენი ჩემოდანოვი.

თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი გიორგი ალექსიძე მუშაობს სულხან ცინცაძის ახალ ეროვნულ ბალეტზე „სვანური ლეგენდა“, რომლის ლირიკით თვითონ მას ეკუთვნის.

გარდა ამისა, ახალ შენობაში გადატანილ იქნება ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“, რ. ლალიძის „ლელო“. როგორც მოგხსენებთ, ეს ოპერა წარდგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაზე და მისი ჩვენება განხორახულია მოსკოვში ა. წ. 19 ოქტომბერს.

ს. ცინცაძის „განდევალი“, რახმანინოვის „ოტწი რაინდი“ (ამ სპექტაკლმა საკავშირო კულტურის სამინისტროს საპატიო დიპლომი დამსახურა), ვერდის „აიდა“, „ტრუბადური“ და „ტრავიატა“, პერგოლეზის „ქალბატონი მსახური“, მოცარტის „ჯადოსნური ფლეი-



ტა“, ვაგნერის „ლოენგრინი“ და „მფრინავი ჰოლანდიელი“, დონაეტის „დონ პასკუალე“.

საბალეტო საქმეებიდან უნდა გადავიტახოთ დ. თორაძის „გორდა“, ს. ცინცაძის „ანტიკური ესკიზები“, პ. ჩაიკოვსკის „ვედენა ტბა“, დელიბის „კოპელია“, მიხეულის „დონ-კიხოტი“, აღანის „უჩხელა“. (სოლიო ვირსალაძის განახლებული დეკორაციებით), ერთაქტიანი ბალეტის სადამოები, ბალეტები დადგმული ბახის, მოცარტის, შოპენის და პროკოფიევის ნაწარმოებებზე.

თეატრს გააჩნია სამი წლის მუშაობის პერსპექტიული სარეპერტუარო გეგმა.

შემდეგ ორატორი ეხება ოთარ ეგაძის და ი. ნოხევილის მოსაზრებებს, უცხოური ოპერების ქართულ ენაზე დადგმის თაობაზე და ამბობს, რომ ამ მიმართულებით გადადგმულია ნაბიჯები, მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“ ქართულ ენაზეა ნათარგმნი და გახსორციელებული. ყველაფერს ერთბაშად ვერ გავაკეთებთ, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საზრდო ოსეთის განყოფილების თავმჯდომარე **ზ. ჩახიბვა** დაწერილებით ლაპარაკობს განყოფილების იმერ გაწეულ მუშაობაზე, აღნიშნავს, რომ განყოფილება ცხოველ მონაწილეობას იღებს ოლქის მთელ კულტურულ ცხოვრებაში, ხელს უწყობს ქართული და ოსური დრამატული კოლექტივების შემოქმედებითი ურთიერთობის გახმატყვებას, მსახიობთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას და პროფესიულ დახელოვნებას, ეხმარება თვითშემქმედ კოლექტივებს, აწყარებს კავშირს თბილისის თეატრალურ კოლექტივებთან, ცხინვალის თეატრს მსახიობებს უჩვენებს თბილისის წამყვანი თეატრების საუკეთესო სპექტაკლებს, აქტუარ მონაწილეობას იღებს ოსური და ქართული დასების რეპერტუარის შედგენაში, აწყობს მათი სპექტაკლების განხილვას და სხვ. ენერგიულ მონაწილეობას იღებს საზრდო ოსეთში ქართული თეატრის შექმნას 100 წლისთავისა და ოსური თეატრის შექმნის 70 წლისთავის იუბილის ჩატარებისათვის მზადებაში.

— საანგარიშო პერიოდში, მეცხრე ხუთწლეულის მეორე ნახევრიდან, — ამბობს ქუთაისის განყოფილებს თავმჯ-

დომარე **დ. ქვიციანი**, — საგანგებოდ შეიცვალა და გადახალისდა მთელი თეატრალური ცხოვრება. ქალკის თეატრების კოლექტივებში გაერთიანებული ხუთასზე მეტი მუშაკი მთელი თავისი შესაძლებლობით, თავდადებით ილწვეს იმისათვის, რომ მხარი დაუშვენოს ქუთაისის დღევანდელ მჩქეფარე ცხოვრებას. მისი ინტელიგენციისა და მუშათა კლასის უკვე საქვეყნოდ აღიარებულ სადღეისო გაქანებას. სწორედ ასეთი სწრაფვის შედეგია ამ ბოლო წლების მუშაობაში გამოვლინებული ზოგიერთი საიმედო მონაცემები.

მესხიშვილის სახელობის თეატრმა, რომელსაც რემონტის გამო ორი სეზონის მანძილზე არ ქონდა სტაკოინარი, მაინც შესწავლია სეზონში სამი ახალი დადგმა განხორციელებინა. მათ შორის საგულმსახირო „სარდაფის“ საერთო სადადგმო კულტურის დონე (რეჟისორი ვ. ძალაფერიძე) და „ქაშუშაძის გაჭირება“, ახლებურად წაყთხვის კარგი ცდა (დადგმელი თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტი შოთა კაკაბაძე).

ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ტექნიკურ დაბრკოლებათა პირობებში უხდება მაღზე დაძაბული მოღვაწეობა საპროფესიო თეატრის მეტად ნიჭიერი, თავდადებული შრომით გატაცებულ ახალგაზრდა მხარდ კოლექტივს, რომელმაც მიმდინარე სეზონში პუჩინის „ტოსის“ უაღრესად საინტერესო დადგმა განახორციელა (რეჟისორი ვ. ნიკოლაძე, დირიჟორი დ. შირცხულავა, მხატვარი გაფრინდაშვილი). ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თოჯინების სახელმწიფო თეატრი. თეატრალურ სახანაბლად დაწესებულებების სრულიად საკავშირო სოც-შეჯიბრში 1975 წლის 11 ნახევრის შედეგების შეჯამებისას თეატრმა მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე **ბ. ფოფხაძე** თქვა:

თეატრის აღმზრდელობითი ფუნქციის სასკოლო ცხოვრებაში განხორციელება მარტო ჩვენი პრინციპული მოსაზრება როდი ვახლავთ, ამასთან ჩვენ ვასრულებთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანბ. ე. შევარდნაძის კონკრეტულ დავალებას, რომელიც მან ამ 2 წლის წინათ მოგვცა.

პარმონიულად განვითარებული ადა-



მიანის აღზრდისა და ჩამოყალიბებას რთული პროცესის სარბიელზე ხელოვნებაში, ლიტერატურის გვერდით, თავისი კუთვნილი, სრულფასოვანი ადგილი უნდა დაიკავოს. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენს სკოლაში ეს ასე არ არის.

ამ მიმართულებით ბოლო ხანს გადაიდგა პირველი ნაბიჯები. თქვენი ცნობილია შინაარსი იმ დადგენილებისა, რომელიც განათლების სამინისტრომ მიიღო კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად. განათლების სამინისტრომ შეისწავლა ეტრონების, მოსკოვისა და ლენინგრადის გამოცდილება, შევეფარდეთ ის რესპუბლიკის სინამდვილეს და შევეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში ზოგირამ გავეკეთებინა.

ჩატარდა სკოლის მუშაკთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის რეკომენდაციებს გავცნო სკოლათა უმრავლესობა. ბევრგან შეიქმნა სასკოლო დრამატული წრეები. პრაქტიკაში დაინერგა საკლასო და საკონტროლო წერები თეატრის თემატიკაზე, ჩატარდა თბილისის ნორჩ რეცენზენტთა პირველი საქალაქო კონკურსი. აღდგენილ იქნა სასკოლო თეატრალური კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერების ტრადიცია. ჰიონერთა სასახლემ პატარებისათვის პირველად მოაწყო ინსცენირებული ზღაპრების ზეიმი — კონკურსი. ბავშვთა ხელოვნების გალერეაში მოეწყო რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი დევიზით: „მე რომ თეატრის მხატვარი ვიყო“. გამარჯვებულებმა მიიღეს საჩუქრები აწ განსვენებული დიდი მხატვრის ელენე ახვლედიანისაგან, რომელიც ამ კონკურსის სულუს-ჩამდგმელი გახლდათ. მრავალფეროვანი იყო სასკოლო კედლის გავრცელების კონკურსიც, რომელიც თეატრის თემას ეხებოდა. საინტერესოდ ჩატარდა ღონისძიებათა ციკლი — „მოსწავლეთა თეატრი პროფესიულ სცენაზე“.

დიდი გამოძახილი ჰქონდა და მრავალფეროვანი პროგრამით ხასიათდებოდა რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები“, რაც აღინიშნა საქართველოს კომპარტის 25-ე ყრილობის საახვარის-ში მოხსენებაში.

განათლების სამინისტრომ რაწლიან და საშუალო სკოლების პროგრამებში უკვე ნათლად ასახა თეატრალური საცხოვრები: IX კლასში შეტანილია ქართუ-

ლი თეატრის აღდგენა მე-19 სუკულა. 50-იან წლებში, გიორგი ერისთავის შემოქმედება. ლიტერატურის ისტორიიდან ისწავლება დრამა და მისი სახეები, სამოციანელთა შეხედულებები ხელოვნებაზე და კერძოდ თეატრზე. 80-იანი წლების ქართული პრესა, ჟურნალი „თეატრი“, მუდმივი ქართული თეატრა და დრამატურგია.

X კლასში ქართული ხელოვნების აყვავება — კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი, ქართველ საბჭოთა დრამატურგთა პოლიკარზე კაკაბაძის, ვ. დარაბელის, ა. მოსაშვილის, მ. მრეწლიშვილის შემოქმედებათა ზოგადი მიმოხილვა, კლასგარეშე საციტხავ ლიტერატურაში შეტანილია ესქილეს, ევრიბიდეს, სოფოკლეს, შექსპირის, კორნელის, მოლიერისა და ბერნარდ შოუს, ალ. ცაგარლის, შ. დადიანის ნაწარმოებები. გაძლიერებულია ამ მიმართულებით თავკულტურთა მეცადინეობის პროგრამებიც.

მაგრამ ეს ყველაფერი თერ არის. კარგი იქნებოდა თუ თეატრალური საზოგადოება ჩვენთან ერთად დააყენებდა საციტხის იმის შესახებ, რომ უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ეს თეატრული ციკლის დისციპლინების სწავლებისას სისტემატური ყურადღება მიექცეს თეატრალურ ხელოვნებას.

რამოდენიმე სიტყვა კვირეულზე „თეატრი და ბავშვები“, რომელიც ტრადიციულად ჩატარდება. ბევრგან კვირეული გადაიქცა ბავშვებისათვის უდიდესი სიხარულის მომგვრელ ზეიმადა. არ შეიძლება ჩვენი ბავშვების გაულწრეველი აღტაცება სათანადო გამოძახილის გარეშე დარჩეს თეატრალურ მოღვაწეთა შორის.

სიტყვას იღებს ახალგაზრდა დრამატურგი **ლ. თაბუკაშვილი**. იგი ლაპარაკობს იმ უყურადღებობაზე, რომელსაც, ჟურნალების რედაქციება და გამოცემლობები იჩენენ დრამატული ნაწარმოებების ბეჭდვის, კერძოდ ახალგაზრდა ავტორებისათვის ხელისშეწყობის და დახმარების საქმეში. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა დაამტკიცეს შრომაშიც და შემოქმედებით საქმიანობაშიც, რომ ძალუძთ დიდად უფრო ახალგაზრდა თაობათა ნამოღვაწარი.

— დღეს, ჩვენ ვართ იმ დიდი შთაბეჭდილების ქვეშე, — ამბობს საქართველოს



მხატვართა კავშირის პირველი მდივანი **ბ. ჯანბერიძე**, — რომელიც შეგვიქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, გულმოდგულად გახუტა „პრავდის“ ფურცლებზე რომ გამოქვეყნდა.

ეს დადგენილება კიდევ უფრო დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს გვიყენებს ჩვენს, შემოქმედებითი კავშირის კოლექტივებს, მათ ხელმძღვანელობას, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრის დარგის მუშაკებს. ეს დადგენილება მეტად მძლავრი სტატიული უხდა გახდეს ჩვენი შემდგომი მუშაობისა. მხატვრებს, კომპოზიტორებს განსაკუთრებული როლი ეკუთვნის თეატრალურ შემოქმედებაში. წარმოდგენილია ისეთი სპექტაკლის დადგმა, რომ მასში მონაწილეობა არ მიიღოს მხატვარმა, კომპოზიტორმა.

ეხება რა თეატრალური ხელოვნების მიღწევებს, ორატორი ამბობს, რომ ქართულ თეატრალურ მხატვრობას წინ მიუძღვია და მისი ლიდერია სოლიო ვირსალაძე, რომელმაც ბოლო ნამუშევრით „ივანე მრისხანეთი“ მართლაც თავისი წვლილი კი არ შეიტანა ამ სპექტაკლის დადგამარჩევებაში, არამედ გადაწყვეტი იყო ამ ბალეტის დიდი გამარჯვებისა.

ორატორი ეხება ქართული ბალეტის მიღწევებს, და — გაუმართლებლად ძინიხია ვახტანგ ქაბუციანის მიმართ ფულგოლობა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დავიწყებული ამ დიდი შემოქმედის როლი და დამსახურება ქართული საბალეტო ხელოვნების განვითარებაში. მისი ხიჭი და უნარი იაყვ და იაყვ უნდა იყოს გამოყენებული ქართული საბალეტო კულტურის წინსვლისათვის, გამარჯვებისათვის.

თეატრმოცდენ **ბ. შალუტაშვილი** თავის გათსვლაში ძირითადად ეხება საბჭოთა საზოგადოების პირობებში სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის როლს ეროვნული კულტურის განვითარებაში. კულტურული ურთიერთობის დამყარება, საბჭოთა ხალხებს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის განვითარება — ამბობს იგი — კომუნისტურ პარტიას მიაჩნია არა მარტო მნიშვნელოვან კანონზომიერებად ნაციონალური კულტურების განვითარებისა და სოციალისტური კულტურის ერთიანობისა, არამედ აგრეთვე უმნიშვნელოვანეს სა-

შუალედლ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა, ჩვენი მრავალრიცხოვანი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის განმატყელებისა.

ქართული თეატრი უწარმოიშვა და განვითარდა რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა თეატრებს მძიდრო ურთიერთობაში, მაგრამ ცარაზმის შავზნულ წლებში ქართული სასცენო ხელოვნების მიღწევები ნაკლებად იყო ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შესაძლებლობა მიეცათ მოძვე ერების სცენას მოღვაწეებს ვასცნობდნენ ქართულ დრამატურგებს, ქართულ თეატრს და მათ მიღწევებს. აქ ჩვენ მოვიამინეთ ჩვენი სტუმრების გამოსვლები, რამაც ერთხელ კიდევ ცხადჰყო, ამბობს ორატორი, ქართული თეატრისა და დრამატურგის გეოგრაფის სიფართოვე. ორატორი ფართოდ ჩერდება ქართული თეატრის გაატროლებზე მოძვე რესპუბლიკებში, ქართველ რეჟისორთა მოღვაწეობაზე რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში, ქართველ ავტორთა პიესების დადგმას მოძვე საბჭოთა ხალხების თეატრების სცენაზე, ჩერდება აგრეთვე იმაზე, თუ საქართველოს მშრომელები როგორ ცხოველ ინტერესს იჩენენ და ფართოდ ეცნობიან მოძვე ხალხთა თეატრალური ხელოვნების მიღწევებს, რა ცხოველ გამოხმაურებას პოულობს ყოველი მათი გაატროლები საქართველოში. შემდეგ ორატორი დაწვრილებით ჩერდება იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც სწარმოებს ჩვენში, კერძოდ თბილისის შ. რუსთაველას სახ. თეატრალურ ინსტიტუტში საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობის გამოცდილებათა შესწავლის, განზოგადებია და პროპაგანდისათვის.

ახალგაზრდული („მეტეხის“) თეატრალური საზოგადოებრივი ხელმძღვანელი **ს. მრეველიშვილი** ლაპარაკობს თეატრ-სტუდიის მუშაობაზე, მის წარმატებება და გვემეზე, მაღლობს უძღვან რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და საქართველოთა თეატრალურ საზოგადოებას იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივისადმი იჩენენ.

სიტყვა ეძღვევა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს **გ. ლორთქიფანიძეს**, თავის სიტყვას იგი იწყებს მაყურებლისა და თეატრის ურ-



თიერთობის პრობლემის გაშუქებით — დღეს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში, — ამბობს იგი — ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა, ის რომ მაყურებელი მიზრუნულა თეატრისაკენ, ჩვენ ვიქნებოდით ძალიან უმადურნი, რომ ეს მოვლენა არ დაგვენახა და სათანადოდ არ შეგვეფასებინა. ეს იმის მიმკვნივლიც არის, რომ ახლა მაყურებლის სულიერა მოთხოვნილება ბევრად უფრო გაიზარდა, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ იყო.

ორატორი ედავება ყრილობაზე გამოთქმულ მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის თეატრებს უნდა მიზაძონ რუსთაველის სახ. თეატრს.

რასაკვირველია, — ამბობს იგი, — ამ თეატრს შეაინიშნავი დადგმები აქვს განხორციელებული, საერთოდ, და განსაკუთრებით ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაგრამ ჩვენთან რომ მართო ამ ერთი გზით ვიაროთ და ყველა თეატრს ერთი მიმართულება ჰქონდეს შემოქმედებაში, ეს არც თეატრებს და არც ჩვენს ეროვნულ ხელოვნებას არაფერს სასიკეთოს არ მოუტანს.

რუსთაველის თეატრის შემოქმედება საინტერესოა, მაგრამ ეს უნდა იყოს მისი და მხოლოდ მისი შემოქმედებითი გზა. სხვა თეატრებმა თუ გაიმეორეს მათი ხელწერა, იგი დაკარგავს ინტერესს, როგორც ამ თეატრის, ისე სხვა თეატრების შემოქმედებისადმი.

მე მიმაჩნია, რომ დღეს ერთი საჯალალო მონა შემოვიდა — ხელოვანთ ემიგრაცია, რომ ნამდვილი ხელოვნების ნიმუში შექმნან, სკულპტურა თავის ორიგინალს დაუახლოვონ. თქვენს ნახეთ ხორაკის ბიუსტი. როდესაც სკულპტორი აკეთებდა ამ ძეგლს, მას, ალბათ, შეეშინდა — ვაი თუ სკულპტურა თავის ორიგინალს დაავსავსავსო და სულ სხვა, შეუფერებელი რამ გააკეთა. ალბათ, ის ახლა სრულიად დაწყნარებულია, გაიგორა რომ სკულპტურა თავის ორიგინალს, ამ შემთხვევაში, ხორაკის არ ვავს. ამას თვლიან ხელოვნების ნიმუშად.

ასეთივე ამბავი მეორდება მუსიკაში — თუ კომპოზიტორს რაიმე მელოდიური ნაწარმოები გამოუდის, შეძირუნებულია, რადგან მელოდია ახლა მოდური, თანამედროვე ელემენტის არ არის და რაღაც ახალს, გაუგებარს თხზავენ.

სამწუხარო იქნებოდა, რომ ასეთი რამ თეატრალურ ხელოვნებაშიც დამკვიდრ-

დეს, ახალგაზრდა რეჟისორების მედობა ერთმანეთს არ უნდა გავდეს, ყველას თავისი შემოქმედებითი ხელწერა და თავისი გზა უნდა ჰქონდეს არჩეული და მხოლოდ მაშინ იქნება საინტერესო თეატრალური ხელოვნება.

— ამ რამდენიმე წლის წინათ თეატრალურმა საზოგადოებამ მხატვართა კავშირთან ერთად — ამბობს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი ფ. ლაპიაშვილი — მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — ყოველი წლის 14 იანვარს, თეატრის დღეს, მოეწყოს გასული წლის თეატრალური დადგმების ესკიზების და მაკეტების გამოფენა. ეს გონიერი გადაწყვეტილება ბედნიერ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს მხატვართა შემოქმედებითი ცხოვრებისა, რომელიც მომავალში თეატრალური მხატვრების მთელ თაობებს მოიცავს და ჩვენი ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

ეს ყოველწლიური გამოფენები თეატრალურ მხატვრებს საშუალებას მოგვცემს უშუალოდ, ყოველგვარი დეკორაციების გარეშე შევივარძნოთ ის არსებითი, რაც შეიძლება სტიმულატორი გახდეს მომავალი წლის შემოქმედებისათვის.

დღეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებრიობამ იცის, რომ თეატრები თბილისისა თუ პერიფერიებში მთლიანად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მხატვრებით, რომლებმაც სულ ახლახანს დამთავრეს სამხატვრო აკადემია და წარმატებით უძღვებიან მთავარი მხატვრისა თუ დამდგმელი მხატვრის კეთილშობილ მოვალეობას.

ქართველი თეატრალური მხატვრობის დღევანდელიობას ამ ახალგაზრდობის შემოქმედებითი პათოსი და ტემპერამენტი განსაზღვრავს და ხვალისდელი დღეც ხომ მათ უნდა გამოსჭედონ! ვუსუსრვით მათ გამოარჩევა შემოქმედების ფართო გზაზე.

საქართველოს ტელევიზიის პროგრამების დირექტორის მოადგილემ გ. ძანელაძემ ყრილობას დაწვრილებით მთავრობის იმ ფრიად ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც საქართველოს ტელევიზია ქართული თეატრალური ხელოვნების პროპაგანდისათვის ეწევა.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი მ. თაქაიშვილი. — გულმინ ჩვენი რესპუბლიკის წარმომად-



გენლებმა, ჩვენთან ჩამოსულმა სტუმრებმა — ამბობს ორატორი — ნახეს და მოისმინეს დედაქალაქის თეატრებში სპექტაკლები, ოპერები და დიდი მოწონება გამოთქვეს ამასთან დაკავშირებით. ეს იმას მოწმობს, რომ ქალაქ თბილისის თეატრების შემოქმედებაში ერთგვარი შემობრუნება მოხდა, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება რესპუბლიკის სარაიონო თეატრებზე.

უკვე 4-5 წელია ახალგაზრდობა აღარ მიღის რაიონის თეატრებში სამუშაოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ რაიონების ადგილობრივი ხელმძღვანელობა მათ უყურადღებოდ ეცილება, ვერ აჩენს მათდამი სათანადო დაინტერესებას, არ უქმნის მსახიობებს ნორმალურ საყოფაცხოვრებო და მუშაობის პირობებს, ასეთი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

შეიძლება რაიონის თეატრების მდგომარეობის ერთგვარი გამოსწორება, რომ იქ კარგი რეჟისორები გავგვზავუნა სამუშაოდ. ხომ იყო გავზავნილი ბატონი აკაი ვასაძე პერიფერიაში სამუშაოდ, წლების განმავლობაში, და რა შესანიშნავი წარმატებები ჰქონდა მაშინ იმ თეატრს!

მის მაგალითს მიყვნიენ სხვა რეჟისორებიც, იგივე არჩილ ჩხარტიშვილი—ეს მეტად ჩუმი კაცი, რომელმაც რატომღაც ხელი აიღო თეატრებზე და ახლა სხვაგან ხარჯავს თავის ნიჭსა და უნარს.

მაუხედავად იმ წარმატებისა, რაც თბილისის თეატრების შემოქმედებაში მოხდა, ჩვენ კმაყოფილი არა ვართ; ამის ვერ დავკერდებით, საჭიროა დიდი აქტიუზაცია, რომ ასეთივე წარმატებები მოიპოვოს სარაიონო თეატრებმაც.

მაგალითად, ახალციხეში კარგი თეატრის შენობა მიიღო, მაგრამ აბა დამისახელებთ რა წარმატებები აქვს ამ თეატრს. ერთ კაცსაც ვერ დამისახელებთ, რომ ახლა იქ წავიდეს სამუშაოდ ან სავასტროლოდ.

თავის დროზე ეს თეატრი კარგი, ახალგაზრდა დასით დაკომპლექტდა, თეატრალური ინსტიტუტის მთელი კურსი წავიდა იქ სამუშაოდ, მაგრამ ახლა იქ განხეთქილება მოხდა, და მათ დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ. თქვენ ვერ მეტყვიით, რომ ეს თეატრი ასეთ დახმარებას ღებულობს ჩვენგან, თბილისის შემოქმედებითი მუშაკებისაგან, თეატრმცოდნეებისაგან, მაშინ, როდესაც

მათ სწორედ ჩვენი ყურადღებამ მზრუნველობა სჭირდებათ.

მთავარ ვიწრო ადგილად მიიხსივრება კადრების პრობლემა რჩება.

ძნელია ადგილზე შეარჩიო სათანადო კადრი, შეარჩიო ახალგაზრდა, ჩამოყვანილი თბილისში, ჩარიცხო ინსტიტუტში და მერე ისევ უკან დააბრუნო. კურსდასრულებულებს აღარ უნდა უკან დაბრუნება, იმიტომ, რომ იციან იქ, თეატრებში არც თუ ისეთი სასიკეთო მდგომარეობაა. რაიონების ადგილობრივმა პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელობამ ამ მხრივ უნდა გარდაქმნან მუშაობა და მეტი ყურადღება მიაქციონ თეატრების მდგომარეობას, მათში მომუშავე მსახიობებს, მათს საყოფაცხოვრებო და შემოქმედებით მდგომარეობას.

დღეს თავის გამოსვლაში ნუგზარ ფოფხაძემ ძალიან საინტერესო საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. ისიც მართალი იყო, რომ განათლების სამინისტროს წარმომადგენელი პირველად გამოდიოდა ამ ტრიბუნაზე და ამ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას, არც ჩვენი სამინისტრო უთმობდა წინააღმდეგობას საჭირო ყურადღებას. ამიტომ კულტურის სამინისტრო ახლო მომავალში კოლეგიის სპეციალურ სხდომას მიუძღვნის ამ თემას.

„მეგობრობის“ თეატრზე ბევრი ილაპარაკეს, ეს საინტერესო და კარგი ღონისძიებაა. კარგი იქნება თუ მომავალში ეს საქმე ასევე გაგრძელდება, მაგრამ არა ისეთი ხანმოკლე გასტროლებით, როგორც ეს ახლახანს მოხდა ჩვენი დედაქალაქის თეატრალურ ცხოვრებაში, არამედ უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რათა ჩამოსული გასტროლორების მიღწევებმა უფრო დიდი შთაბეჭდილება და ზეგავლენა მოახდინონ ჩვენს საზოგადოებაზე, ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაზე.



ეროვნული

საპარტვილო სსრ ზეივნიერთა

დამსახურებული არტისტისა

არუთიანოვს რაფეილ სერგოს ძეს —

თბილისის შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გუნდის უოფილ მსახიობს, ამჟამად პენსიონერს.

ბასილაშვილს ევგენი ლეონის ძეს — თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოწარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.

ბაგნიძეს ჯემალ ვლადიმერის ძეს — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

პასხაძეს კახი დავითის ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ლოლაშვილს ქანრი გიორგის ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

მგალობლიშვილს ნოდარ ალექსანდრეს ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

მდივნიშვილს დავით ვლადიმერის ძეს — თელავის ს. ორგანიკიძის სახელობის სარაიონთაშორის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ტაკიძეს ამირან რომანის ძეს — ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

უშრაშვილს სიმონ დიმიტრის ძეს — ფოთის ვ. გუნიას სახელობის სარაიონთაშორის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს. ჩანტლაძეს თენგიზ ვასილის ძეს — ესტრადის მსახიობს, თბილისის მინიატურების სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს და დირექტორს.

ხარაბაძეს გიორგი ეშქის ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

საკვატიო ყოღებათა მინიჭება

საპარტვილო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულებით ქართული საბჭოთა ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭათ სააკადიო წოდება.

საპარტვილო სსრ სახალხო არტისტისა

არეშიძეს ვახტანგ მოსეს ძეს — თბილისის მოწარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

კობახიძეს ბადრი პეტრეს ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს. ლაფაჩაძეს ჯურაბ გრიგოლის ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

საპარტვილო სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

ალექსიძეს გიორგი დიმიტრის ძეს — თბილისის შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ ბალეტმეისტერს.

გუმბაზნიძეს ნოდარ სარდიონის ძეს — თეატრმცოდნეს.

კინაძეს ვასილ პავლეს ძეს — თეატრმცოდნეს.

მესხს თამაზ ბენიამინის ძეს — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს. სტურუას რობერტ რობერტის ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის რეჟისორს.

ჩხეიძეს თეიმურაზ ნოდარის ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის რეჟისორს.



ეკლვნება დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს

კონსერვატი საუკეთესო მუსიკალური და ღრამბატული ნაწარმოებებისათვის

განსაღ ჩვენი ქვეყნის ხალხები დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს აღნიშნავენ.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადეს კონსერვის ყველა ფანრის დიდი და მცირე ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნისათვის. საკონსერსო ნაწარმოებები უნდა მიქმდნას თანამედროვე თემატიკას, ასახავედ ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებს, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ წარსულს, მის შრომითს გმირობას, ჩვენი თანამედროვის — კომუნაზმის მშენებლის სახეს, მის საუკეთესო თვისებებს, პატრიოტიზმს, კომუნისტური საზოგადოების იდეალებისადმი ერთგულებას.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ოპერა — პირველი პრემია 5000 მანეთი, მეორე — 4000 მანეთი, მესამე — 3000 მანეთი, ოპერის ლიბრეტო — პირველი პრემია 1500 მანეთი, მეორე — 1000 მანეთი, მესამე — 800 მანეთი.

ბალეტი და მუსიკალური კომედია — პირველი პრემია 2500 მანეთი, მეორე — 2000 მანეთი, მესამე — 1500 მანეთი, საბალეტო ლიბრეტო — პირველი პრემია 500 მანეთი, მეორე — 300 მანეთი, მესამე — 200 მანეთი, მუსიკალური კომედიის ლიბრეტო — პირველი პრემია 1000 მანეთი, მეორე — 800 მანეთი, მესამე — 500 მანეთი.

დიდი ფორმის სიმფონიური და საგუნდო ნაწარმოებები: პირველი პრემია — 2000 მანეთი, მეორე — 1500 მანეთი, მესამე — 1000

მანეთი, მცირე ფორმის სიმფონიური და საგუნდო ნაწარმოებები: პირველი პრემია — 800 მანეთი, მეორე — 600 მანეთი, მესამე — 400 მანეთი, კამერულ ნაწარმოებთა (ჩოგორც საინსტრუმენტო, ისე ვოკალური) ციკლები: პირველი პრემია — 650 მანეთი, მეორე — 400 მანეთი, მესამე — 250 მანეთი, მცირე ფორმის კამერული ნაწარმოებები: ერთი პირველი პრემია 200 მანეთი, ორი მეორე — 150-150 მანეთი, სამი მესამე — 100-100 მანეთი.

საკონსერსო მასალების წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1977 წლის 1 ოქტომბერი. ნაწარმოებები უნდა გაიგზავნოს მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 19, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა განყოფილება, „საკონსერსოდ“.

კონსერსო გამარჯვებული მუსიკალური ნაწარმოებები შევა შემსრულებელი კოლექტივების რეპერტუარში.

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ გამოაცხადეს რესპუბლიკური კონსერსო საუკეთესო დრამატურგიული ნაწარმოებების შექმნისათვის, რომლებიც ასახავენ ჩვენი ხალხის ისტორიულ-რევოლუციურ წარსულს, ჩვენი თანამედროვეების ცხოვრებასა და შრომითს გმირობას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, სკკპ 25-ე ყრილობის მიერ დასახულ აქტუალურ პრობლემებს.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები და წამახალისებელი ჭილდოები: ერთი პირველი პრემია — 2000 მანეთი, ორი მეორე — 1500-1500 მანეთი, ორი მესამე — 1000-1000 მანეთი და ორი წამახალისებელი ჭილდო — 500-500 მანეთი.

საკონსერსო ნაწარმოებთა წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1977 წლის 1 თებერვალი.

პიესები დევიზით, მანქანაზე გადაბედილი, ორ ცალად წარმოდგენილი უნდა იქნეს საქსსრ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილებაში, წარწერით „პიესების კონსერსოზე“. მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. 19, კულტურის სამინისტრო. ამასთანავე ცალკე კონვერტში უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და პიესის ხათაური. პრემირებული ნაწარმოების ავტორები ცალკე მიიღებენ აგრეთვე საავტორო მონორარას ამ ნაწარმოებების სცენური განხორციელების შემდეგ.

კონსერსის შედეგებს ფიური შეაჯამებს და გამოაქვეყნებს პრესაში თეატრის საერთაშორისო დღეს — 1977 წლის 27 მარტს.



თავიდანვე შეიგრძნო თანამედროვეობა და მას დაუმორჩილა ყველაფერი ის, რასაც მისი პ. ოცხელს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული მხატვრულად დამოუკიდებელი ჩანაფიქრი, რომელიც სხვათაგან გამოარჩევდა და ამავე დროს საშუალებას აძლევდა ყოფილიყო თანამედროვე.

პ. გარჯანიშვილი და პ. ოსხელი

13900

სპეციალისტის შექმნის პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო და არის რეჟისორის და მხატვრის მუშაობის შემოქმედებითი მეთოდი, მათი შეთანხმებული შემოქმედებითი კავშირი. მხატვარი ღრმად სწვდება რეჟისორული კონცეფციის არსს და რეჟისორული ჩანაფიქრის და პრინციპების რეალიზაციას ახდენს სცენაზე. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მხატვრულ-დრამატორზე, ჩვენს წინაშე წარმოდგება სახე სპეციალისტის მქონე არა შეზღუდული პიროვნებისა, არამედ შემოქმედისა, რომელსაც შეუძლია გამოხატოს პროგრესული იდეები და ფერწერის პრობლემები თეატრის იდეურ-ზენობრივ ამოცანებს შეუთანხმოს. რეჟისორისა და მხატვრის მხოლოდ ასეთ საერთო იდეურ-მხატვრულ პლატფორმაზე შეიძლება შეიქმნას თეატრალური შედეგრი. ასეთი შემოქმედებითი თანამეგობრობა ჰქონდათ მარჯანიშვილსა და ოსხელს.

რეჟისორი და მხატვარი, მასწავლებელი და მოსწავლე, ორივე ძიებით აღსავსე ხელოვანი, ყოველთვის ღრმად გრძნობდნენ თეატრის რიტმს, მის არსს. თუ ერთი ბოლოლობდა სპექტაკლის ახლებურ გადაწყვეტას, მეორე ეხმარებოდა მას, რაც შეიძლება მკვეთრად გამოემყდებინა ნოვატორული ჩანაფიქრი. ორიგინალური დეკორაციების და კოსტუმების გაფორმებით, მისი ფანტაზია ყოველთვის ჰარმონიულად ერწყმოდა სპექტაკლის არსს.

პეტრე ოცხელი მთელი არსებით იყო დაკავშირებული თეატრთან, თეატრმა დაიპყრო ოცხელი თავისი მაგიური ძალით. ახალგაზრდა მხატვარს ბედმა გაუღია — მან მიიპყრო ყურადღება ისეთი აღმზანისა, რომელსაც შეეძლო მისი ნიჭისათვის შემოქმედებითი გეზი მიეღო. კ. მარჯანიშვილის მეშვეობით მხატვარმა

მარჯანიშვილის და ოცხელის ერთობლივი შემოქმედება ვითარდებოდა მაშინ, როდესაც მათივე მონაწილეობით იზადებოდა საბჭოთა თეატრი, ყალიბდებოდა ქართული საბჭოთა თეატრალურ-დრამატული სკოლა, ეს შემოქმედებითი თანამეგობრობა ხასიათდებოდა შემოქმედებითი ძიებებით და ექსპერიმენტებით. ამ რთულ შემოქმედებით პროცესში დიდი რეჟისორის გვერდით დაიბადა დიდი მხატვარი, რომელიც თავისებურად იწყებს შემოქმედებით ცხოვრებას თეატრში, ამის თაობაზე შესანიშნავად თქვა პროფ. ნ. მოროზოვმა: „მხატვარი ოცხელი, მისი არჩეულდებრივად ნიჭიერი ნაშუაევრები ჩვენ, ხელოვნების სპეციალისტებს არ ვგაძლევდნენ საშუალებას მისი შემოქმედება რომელიმე მიმართულებას მივაკუთვნოთ, მისი შემოქმედება რაღაც ახალი და სპეციფიკურია“. როდესაც სცენაზე დაიდა მარჯანიშვილის შემოქმედებითი სიდიდის უტყუარი მაჩვენებელი კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და მაყურებლის წინაშე წარმოსდგა სრულიად ახლებურად და შთამბეჭდავად გაფორმებული სცენა, სპეციალისტებმა აღიარეს, რომ თეატრის შეემატა ნიჭიერი და თავისებური მხატვარი, რომელიც მაშინ მხოლოდ 19 წლის იყო. „ურიელ აკოსტა“ ხომ არ არის ნიჭიერი ახალგაზრდის ნაშუაევარი, რომლისებრც მოხალში დიდ ხელოვანს მივიღებთ, — „ურიელ აკოსტა“ უკვე მოაზროვნე მხატვრის ნაშუაევარია“. ეს იყო დასაწყისი იმ დიდი ნაყოფიერი, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზისა, რომელიც ამ ორმა დიდმა ხელოვანმა განვლო. პეისის არსის გამოხატვა, მისი აზრიდან გამომდინარეობა, სტილის აღმა, თვითიულ სპექტაკლში რეჟისორული ვარაუქმნის უნარი — მარჯანიშვილის რეჟისორული ხელოვნების განუყოფელი კომპონენტია. თვითიულ სპექტაკლში მას ჰქონდა თავისი მიდგომა, ყოველთვის იყო ლოკალიზური და ზუსტი და ანსვე ითხოვდა სპექტაკლის მხატვრისაგან.

რეჟისორის და მხატვრის შემოქმედებითი ურთიერთობა იზადება მაშინ, როცა იწყება პეისის კითხვა. ამ ძველი თანავტორობის ბუერი პრობლემა მაშინვე წყდება და აქედანვე სწანს თვითიულის რომი სპექტაკლის შექმნის პროცესში. მეიერჰოლდის სპექტაკლებში გაბატონებული იყო ე. წ. რეჟისორული დეკორა და რეჟისორი ცვლიდა ფერმწერს, რომე

კ. მარჯანის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო არქივბულოკი



ფორმებაც ზოგიერთ შემთხვევაში რეჟისორულ-აზრის პროექცია გახლდათ, რის გამოც იგი პლასტიკური დასრულებულობის მიმდევლობას კარგავდა, ტარიოვის შემოქმედებაში მთავარი იყო მხატვრულ-ესთეტიკური სანახაობა. კ. სტანისლავსკი ბევრი დრო მიუძღვნა „შემწიწველი დეკორაციების“ ძენას, რომელიც არ „თამაშობდა“, არ მოქმედებდა, მაგრამ ხელს უწყობდა მსახიობს, როგორც ცოცხალი, აქტიური ფონი. მარჯანიშვილის შემოქმედებაში კი მხატვარი ხელშეუვალი ნაწილი მისი ჩანაფიქრისა, მასთან მუშაობაში რეჟისორი იცავდა შემოქმედებით თანავატორობის პრინციპს. იგი მხატვრისაგან თხოულობდა არა მარტო დეკორაციების ფერებში შესრულებას და კოსტუმების ფერწერულ შეხამებას, შუქჩრდილების გამოყენებას, სტილის და ხასიათის მკვეთრ გამოხატვას, არამედ პერსონაჟის ადამიანურ გრძნობებში წვდომას და მის გამოვლენას, რადგან მხატვარი მუშაობს არა სცენის გაფორმებაზე, არამედ სპექტაკლის ფორმაზე, არა პასიურად აფორმებს მორე შემოქმედის ჩანაფიქრს, არამედ რეჟისორთან ერთად აქტიურად ადგენს სპექტაკლის იდეურ ჩანაფიქრს და მის ხასიათს, ხსნის სპექტაკლის დრამატული მოქმედების იდეურ ჩანაფიქრს ხელოვნების გამოხატაველი საშუალებებით და ხდება სპექტაკლის შექმნის მონაწილე ისევე, როგორც რეჟისორი და მსახიობი.

პეტრე ოცებელმა თავიდანვე იგრძნო მარჯანიშვილისეული ხელოვნების თავისებურება და მას შეუთვისა თავისი ხელოვნება. დრო თითქოს არ ეხებოდა ამ მხატვარს. მან აღერ იპოვა თავისი თავი ფერწერასა და თეატრში, თავისებურად აღიქვა საწყარო და შესთავაზა მკურნებელს. იგი კჰმნიდა ორიგინალურ სცენურ სახეებს, რომლებიც გამოხატავდნენ პიესის იდეას, ისე რომ კი არ არღვევდა სპექტაკლის საერთო წყობას, არამედ მძაფრად შეეფარებოდა მას. თვითუფლი სპექტაკლის ფორმა იყო უბრალო და დლაკონური, რომელიც ორგანულად უკავშირდებოდა დადგმის ძირითად პრინციპს. პ. ოცებელი უკველთვის მზად იყო ყოფილიყო გაბედული შემოქმედებაში და ამითაც ძლიერ უყვარდა კ. მარჯანიშვილს. იგი უკველთვის იზვიათ გონებაშახვილობას აშეღანებდა ისეთ წვირღმანებშიც კი, რომელიც მაკეტში ან ექსპიზებში არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ აუცილებლად შეხვდებოდა სცენაზე. მისი ერთ-ერთი ძვირფასი თვისება იყო, რომ უკველთვის აღიქვამდა მოძრაობას და დროს, რომელშიც ცხოვრობდა, პოულობდა საკირო ფორმას და მის ახალ თვისებას. მისი სპეციფიკურად დამუშავებული სპექტაკლის არქიტექტურა იყო მართალი თავისი განლაგებით და

ფრიალ ძლიერი სულიერი სიმდიდრით, პეტრე ოცებლის დეკორაციები არის დასრულებული შემოქმედება, რომელსაც შეუძლია იარსებოს სპექტაკლის გარეშე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს მის თეატრალურ თვისებას. მხატვარი მოიცავს სპექტაკლის ყველა მხარეს, მთელ პიესას, ამიტომ მის დეკორაციებში ყოველთვის არის ადგილი, სადაც შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მოცემული შემთხვევა, შეეძლოთ გაჩენილიყვნენ, ეცხოვრათ მხოლოდ მოცემულ გმირებს. ყველაფერი ეს დადასტურებდა იმის, რომ პ. ოცებელი აზროვნებს ისევე, როგორც რეჟისორი, მათ ჩანაფიქრს შორის ყოველთვის არსებობდა უხილავი კავშირი, შემოქმედთა შესანიშნავი პარამონიული შერწყმა, რომელიც ვლინდებოდა თვითეულ სპექტაკლში. („ურიელ აკოსტა“, „კაკალ გულში“, „მხატრიჩე ჩენჩი“ და ასე შემდეგ). პეტრე ოცებლის შემოქმედება ანკვიფრებს დღევანდელ მკურნებელს თავისი ცხოვრებისეულობით, აქტუალობით, ფორმების სრულყოფით, კ. მარჯანიშვილის ძლიერ დაულებდა პ. ოცებლის მოუსვენარი ხასიათი აღუსრულებელ ძიებაში. ეს შეიძლებოდა იმით დასრულებულიყო რომ მხატვარი მოხვედრილიყო რომელიმე უცხო მიმართულების ძტევაში. ამიტომ ერთ-ერთ წერილში კ. მარჯანიშვილი წერს: „შენ გაწუბებს ახლის ძიება, არ იცი, როგორ იპოვო იგი, სრულიად უბრალოდ: არ ითადლითო, სიმართლე მუდამ ერთია, როგორც სტანისლავსკისთან, ისე მიერხოლდთან, ნებისმიერ კეთილსინდისიერ მხატვართან...“ და მართლაც, პეტრე ოცებლის თვითეულ ნამუშევარში ჩვენ ვხედავთ, რომ იგი მისწვენლოვანდ მიიჩნევდა ჩასწვლდომოდ ნატურას, აღიქვა მისი ცოცხალი დეტალები, ეგრძნო იმ ქვეყნის კოლორიტი და დამახასიათებელი ნიშნები, მოეგროვებინა უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილებანი, თავისუფლად წარმოესახა ცხოვრების მხატვრული სინამდვილე. სკულპტურული არქიტექტურა, ფერებისა და ზავების სიღუნწე — არის დამახასიათებელი მისი თეატრალური ნაწარმოებებისათვის. არა სიმდიდრე და ფუფუნება, არამედ დამახასიათებელი ნიშნების აღმოჩენა და ტიპიურობა არის მისი ძიებების მიზანი. თამარ ვახვაშივილი თავის დღურში წერს: „ახალგაზრდა შემოქმედის აღზრდა მხოლოდ კოტეს შეეძლო ეკისრა, რადგან რა პირობითაც არ უნდა ყოფილიყო მხატვრის ნამუშევარი, კოტე ყოველთვის ახერხებდა ყოველ დეტალში რეალისტური შინაარსის ჩასვლას. და თანაც პეტრე თვითონ შესანიშნავად ერკვეოდა ნაწარმოების სკოლაში. მის თავისებურ დეკორაციებს არასოდეს პირობითად არ აღიქვამდნენ, რადგან პეტრე გამოდიოდა ზოლმე ეპოქის სტილიდან და პიესის შინაგანი

არსიდან. კ. მარჯანიშვილი ვერ ეგუებოდა სექტაკლური ისეთი ელემენტების შეტანას, რომლებიც არ ემსახურებოდნენ პიესის ძირითადი აზრის გადმოცემას. ამ მხრივ პეტრემ შენაიშნავად გაუგო კოტხე...

კოტხე კიდევ იმიტომ უყვარდა პეტრე, რომ ახალგაზრდა მხატვარი მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო, დიდი უნარი ჰქონდა სწრაფად მოენახა ამა თუ იმ სცენურა ამოცანის გადაწყვეტა⁴.

პეტრე ოცხელი ისწარფვის, რაც შეიძლება ღრმად და სრულყოფილად ჩაწვდეს პიესის არსს, თვით პიესაში ეძებს იმის პასუხს თუ როგორ შთამბეჭდავად, მართებულად, რიტმულად გამოიყენოს გაფორმების დეტალები („ურიელ აკოსტა“, „კაკალ გულში“), გამოავლინოს ძირითადი დამახასიათებელი გამოხატველობითი შტრიხი და ამ გზით შექმნას თანამედროვე სექტაკლი, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მხატვრის როლზე თეატრში, აქ არ უნდა დავივიწყოთ მსახიობის არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი მის შემოქმედებაში. კოსტიუმებს პეტრე ოცხელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა („ურიელ აკოსტა“, „ბეატრიჩე ჩენჩი“, „ოტელიო“, „ჩატეხილი ხიდი“, „აბაკუნე ჭიმჭიმელი“ და სხვ.). მის შემოქმედებაში კოსტიუმების შექმნის პრინციპები ყოველთვის უშუალოდ ამოკიდებულია დეკორაციასთან, ვინაიდან სცენაზე აკრებული კონსტრუქციები კარნახობდნენ სამგანსომილებიანი კოსტუმის შექმნას, რომელიც განიხილებოდა მის მიერ, ერთი მხრივ, როგორც საერთოდ კომპოზიციის რიტმული ელემენტი და, მეორე მხრივ, შესაძლებლობა შეიტანოს მასში ეპოქის შეგრძნება ან ისტორიული გარკვეულობა, რადგან კოსტუმი უფრო კონკრეტულია, ვიდრე დეკორაცია. კოსტუმი არის მოძრაობა და ფეროვანი ელემენტი. ეს ფაქტორი ართულებდა მხატვრის მუშაობას და, ამავე დროს უფრო საინტერესო ხდებოდა, იგი საოცრად ღრმად გრძნობდა თვითთელი მსახიობის შინაგან სულიერ ცხოვრებას ამა თუ იმ სექტაკლში, ითვალისწინებდა თვითთელ დეტალს, მოძრაობას. მის მიერ ჩაცმული მსახიობი საფუძვლიანად გარდაიქმნებოდა, მისი კოსტიუმი კი არ ზღუდავდა, არამედ ხელს უწყობდა მსახიობს სრულყოფილად და ბოლომდე გამოემჟღავნებინა თავისი ნეჭი. ამის დამადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ კ. მარჯანიშვილის ფრაზა, რომელიც ჩაიწერა თამარ ვახვახიშვილმა 1929 წლის 12 ოქტომბერს — „დახედეთ ჩვენ პეტუშოვს! ყველაფერი გაუყეთებია — ხასიათები და სახეები მზად არის! მსახიობებმა რაღა უნდა აკეთონ?! („ურიელ აკოსტა“).⁵ მის მიერ ჩაცმული მსახიობი ყოველთვის გამოირჩეოდა მონუმენტუ-

რობით, გეგმის სიმკაცრით, სიზუსტით, მოცულობით, თვითთელი დეტალის გამოხატველობით, რითმის დამაბულობით. მის მიერ მოწოდებული ყოველი კონსტრუქცია კი არ ზღუდავდა, არამედ ამდიდრებდა, აფართოებდა სასცენო მოედნის სივრცეს, (ვინაიდან კ. მარჯანიშვილი გამოფორმებისაგან თხოვლობდა მაქსიმალურად თავისუფალ სასცენო მოედანს), რის გამოც მსახიობს, სექტაკლის ერთ-ერთ მთავარ წამყვანს, საშუალება ეძლეოდა ყოფილიყო, რაც შეიძლება ცხოვრებისეული, მართალი. კ. მარჯანიშვილის და პ. ოცხელის მიერ შექმნილ ნაყოფს მოჰყვება თანამედროვეობის უღერადობა, რის გარეშე ისინი ვერ გრძნობდნენ თეატრს, სექტაკლს. ეს იყო ძირითადი საფუძველი, რითაც გვიზიდავდა და გვიზიდავს მათი შემოქმედება.

პეტრე ოცხელმა დაიტირა მარჯანიშვილი. ეს იყო ოცხელისეული ტრაგედია, სევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ტრაგიკულმა შემთხვევამ შეწყვიტა ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედება. მას დარჩა ბევრი განუხორციელებელი სექტაკლი, მქონდა ბევრი ივენება, მის ყოველ ნახელავს თან დაყვება მისი სული, რომელიც ცოცხლობს და იცოცხლებს მარად. „სიკვდილი არ არსებობს. ის, რასაც დაკარგავ შენს შემდეგ, ერთგვარი ამარჯვება იქნება, რასაც ეწოდება სიკვდილი, ანუ სრული დავიწყება“. — სწერდა კ. მარჯანიშვილი პ. ოცხელს და ჩვენ სრული მოწმენი ვართ იმისა, თუ რაოდენ ბრძნულად განსწავლავდა დიდმა რეჟისორმა პ. ოცხელის არსება ჩვენს დღევანდელობაში.

1. პ. ოცხელის წერილიდან დისაღმი
2. ვ. ბერიძე, 1963 წ. პ. ოცხელის ნამუშევრების გამოყენის გახსნისას წარმოთქმული სიტყვიდან. (სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით).
3. კ. მარჯანიშვილი, კრებული, ტ. 1.
4. თ. ვახვახიშვილი, ლიტერატურული საქარ-თველო 1966 წ. № 16
5. თ. ვახვახიშვილი, იქვე

რესპუბლიკის თეატრალურ
ავიზსათან

ნანა ღვინევაძე

„რას იტყვის ხალხი?“

თეატრი ცხოვრების სარკეა, რომელშიც არა მარტო გვიჩვენებს მოქმედება ჩანს, არამედ მისი სულიც. ამ სარკეში არც ავი დაიმალება და არც კარგი, — სიკეთის თანაზიარობა თუ გვაძალღებებს, გასაკიცხისა და დასაგმობისა, — გვაფხიზლებს, ჩვენს ყოფაში უფრო დაკვირვებით ჩაგვახედებს.

ყველა დროის თეატრს ერთი მხრივ კლასიკურ შემოქმედებაში, მეორე მხრივ კი თანამედროვეობაში უძებნია ისეთი დრამატურგი, უტყუარ, მოუსყიდველ მემკვიდრე რომ წარსულგებობდა ხალხის წინაშე, ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც გაბედულად წარმოგვიდგება ცხოვრების ავ-კარგი, თუნდაც საყოველღეო საპირობოროტო საკითხები.

სადღესოდ ჩვენც არაერთი საპირობოროტო საკითხი გვაწუხებს, ბევრი მათგანი უკვე იქცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგნად. ამ მსჯელობის შედეგად შარშან მიღებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მანე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გამძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ ფრად დროული და მნიშვნელოვანი დადგენილებისათვის მხარი უნდა აემა თეატრსაც. ასეც მოხდა, — თეატრი არ ჩამორჩა ცხოვრებას. ერთი პირველთაგანი რუსთავეის თეატრი გაზღავთ, რომელსაც 1975-76 წლების სეზონში სათავეში ჩაუდგა რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე.

არსებობდა თუ არა ქართულ დრამატურგიაში ამ დადგენილების შესატყვისი ნაწარმოები? ასეთი პიესა გახლდათ „რას იტყვის ხალხი?“, დრამატურგ რევაზ თაბუკაშვილის მიერ ოცი წლის წინათ დაწერილი. პიესაში ავტორმა გა-

მართა მოქარბებელი, ანგარებით გამორჩეული ღრეობები, სხვათა დასანახად გამართული ასევე ხალხმრავალი ქელეხოხანა და ყველაფერი ის, რაც მოჩვენებითი პათვისცემისა და ვითომ ტრადიციისადმი ერთგულების სახაბით კეთდებოდა ხოლმე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ პიესასთანა დაკავშირებული ანზორ ქუთათელაძის სარეჟისორო დებიუტიც. ოცი წლის წინათ მან სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგა რევაზ თაბუკაშვილის დასახლებული კომედია. ეს პიესა იმავე ხანებში წარმატებით დაიდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში (რეჟისორი ლილი იოსელიანი). ახლა, როცა ასე გაღრმავდა მანე ტრადიციებთან ბრძოლის აუცილებლობა, ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ მარჯანიშვილებიც მიუბრუნდნენ რევაზ თაბუკაშვილის კომედიას (რეჟისორი ალ. ნიკოლაძე).

— „რას იტყვის ხალხი?“, — რას იტყვის ხალხი? — ვინ იცის რამდენჯერ მეორდება პიესაში ეს სიტყვები სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა კილოთი — ხან სერიოზულად, ხანაც დამკინავად. ამ რეფრენში ჩანს ავტორის ირონიზირებული დამოკიდებულება იმ ადანაწების მიმართ, ვინც ნესტორის, ლილის, თამარის, ელენეს, თონისკეს მგავსად სხვათა თვლის სახვევად და გასაოცებლად აწვიადებენ თავის პირსა თუ ღხინს.

— შენ რომ დაგიკირონ, რას იტყვის ხალხი? — მიმართავს ნესტორის „დასარებით“ შემოფოთებული თამარი ძმას.

— გახსოვს, თავს რომ იკლავდი, სოფელში მამაჩემის საფლავზე მარშალიოს ძეგლი იხებოდა უნდა იყო, რომ მატარებელთანაც მოჩანდეს, თორემ რას იტყვის ხალხიო, გახსოვს? — თავს მართლებს ნირწამხდარი ნესტორი, რადგან მან ეს „ძეგლი“ სახელმწიფო ფულით ააგებინა.

— ჩვენს სოფელში გაღმა-გამოღმა ყველამ გააპროფესორა შვილები და მე რომ გამოვსხლტე, რას იტყვის ხალხი? (ჭურბის მამის წერილიდან).

— სამოცი წელი შეუსრულდა ამ პათიოსან სამსახურში და ახლა გავუშვავ? საუნესიო კია, მარა ცოდავა, ცოდავა. როგორ მოვიქცე, აღარ ვიცი, მე ვერ დავეწერ მაგ ბრძანებას, რას იტყვის ხალხი? ნათესავი კაცი არ დაინდო და გაათავისუფლაო — პირფერობს და თავს იკატუნებს ნესტორი „ლუკიჩიან“ ტელეფონით საუბრის დროს.

— თუ ვერ ჩავაბარე, ასმათ, იქნებ მართლა დაბრუნება ჯობდეს, ა? ბოლოსდაბოლოს, რას იტყვის ხალხი ამნაირს? — საგონებელში ჩავარდნილა სოფლიდან ჩამოსული ჭურბია.

ახლა ლილის განცხადებასაც „ვეთანაგარძ“



ნოთ“. მეც მიყვარს, მასაც ვუყვარვარ და არა გვაქვს უფლება! ჩვენი ერთად უოფნა შეუძლებელია — შესწივის თავის მეგობარ ასმათს ლილი. ხომ იცი ჩვენი ქალაქის ამბავი, აუკუნდება მთელი საზოგადოება, ხომ გესმის, რას იტყვის ხალხი?

...თურმე მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ის უბრალო ბუღალტერია, ლილი კი ერთი წლის შემდეგ მეცნიერების კანდიდატი გახდება.

...რას იტყვის ხალხი? ეს სიტყვები აღმოხდებოდა ბოლოსიც, როცა გამოტირებული ბიჭიკო გამოცხადებოდა საკუთარ ქელეხზე.

მე ასე, პიესის სცენური ბიოგრაფია გრძელდება და ამ ბიოგრაფიაში ფრიალ მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსთავის თეატრი, სადაც რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ და მხატვარმა აიენგო ჭელიძემ შექმნეს ერთსულოვანი სატირული კომედია ავჩევთა და შეხედულმებაა, მომხვეჭელთა და პროტექციონისტთა მამხილებელი წარმოდგენა.

საინტერესო ფორმა გამოქმენეს სპექტაკლის ავტორებმა: ეველაფერი, რაც სცენაზე ხდება, ირეკლება დიდ, მრუდე სარკეში და ამით ძლიერდება, ღრმავდება პიესის დედაწერი, რომ ბევრი რამ რაც ტრადიციად და ჩვეულებად ითვლებოდა, დღეს დრომოქმული და ნირ-შეცვლილია.

როგორ გაჩნდა სცენაზე სარკე? ეს სარკე თავდაპირველად ფარდის როლს ასრულებს, ხოლო მოქმედების დაწყებისთანავე იგი ქერივით დაეცემა სივრცეში და მასში ჩანს სცენაზე მოფუსფუსე ადამიანების მრუდე გამოსახულება, ირეკლება ქირის თუ ლხინის სუფრასთან თავშეყრული ადამიანების სტერეოტიპული მოქმედება.

ამ გონებამახვილური მიგნების წყალობით კომედია გროტესკულ სპექტაკლად იქცა, მისი მამხილებელი ხასიათი გამაფრდა როგორც აზრობრივად, ასევე სახვითად. ეს გვაგონებს მაიაკოვსკის აფორისტულ გამოთქმასაც, რომ თეატრი გამაძილებელი უშუა! სპექტაკლში ადამიანებთან ერთად მონაწილეობს გრძელი, სცენის წრეზე მორგებული მაგიდა, რომელიც ხან ლხინის სუფრა და ხანაც ქირისა.

თითქოს ამ ადამიანებს სხვა საზრუნავი არა აქვთ, მათი საქმიანობა და მოქმედება სამაგიდო ასპარეზს ვერ სცილდება. სპექტაკლში უსიტყუო სცენებსაც თავისი აზრობრივი დატვირთვა აქვთ — სტილისტური მთლიანობა ახასიათებთ; ასეთია ბიჭიკოს დაკარგვის შედეგად ატებილი სატელეფონო განგაში, რაც რამდენიმე წუთს განსვლდება მბრუნავ სცენაზე, სამელოფირო ტანსაცმლის კერვის მოდების გამოფენასავით გააზრება, უმიცვალებული პროცესის ტაბატი

მსვლელობა, უცაბედი წვიმა და გაქცევა-გამოცევა, „მიცვალებულის“ პორტრეტის ქვეშ შემოფარება; ქელეხის სუფრასთან „ღრმისუღრმად“ ჩამწკრივება და მუსიკის რიტმში თევზებზე დანა-ჩანგლის წყარუნით შესრულებული „შესანდობარი“.

რეჟისორის მიერ დასახულ ამოცანას გროტესკულად წარმოუსახა პიესისეული მოვლენები და სახეები. მსახიობებმაც კარგად აღემა ალღო. ამიტომ არის ასე დამაჭერებელი ოთარ სეთურისის ნესტორი, მკაფიოდ გამოკვეთა თამარის მემჩანური ბუნება ლილა შოთაძემ, მის მოქმედებასა თუ საუბარს გროტესკულად ერთად იუმორიც ახლავს, რის წყალობითაც თამარის სახე სისხლსაცვს და ცხოვრებისეული ხდება. გროტესკის თავშეკავებულ, სერიოზული აღქმის წყალობით ზეინახ გზორიჭვიშმა გვაჩვენა ლილის, ამ ყალბი კეთილშობილებით, მზრუნველობით შეინდებული ახალგაზრდა ქალის ქირვეული ბუნება. ამავ ბანაქში დგანან ელენე (გენერა ნეფარიძე) და ნინო (მანანა გულდრეძი-შვილი).

კეთილშობილებისა და პატიოსნების განსახიერება ნუგზარ ხიდურელის ბიჭიკო. მსახიობი დინჯად, ზომიერი სევდა-ლირიზმით ძერწავს თავისი გმირის სცენურ პორტრეტს და ახერხებს მაყურებელს შეაყვაროს ეს შრომაში გაქალაჩავებული, პატიოსანი და უკომპრომისო ადამიანი, რომელიც უპირისპირდება მემჩანობისა და სიყალბის აპოლოგეტებს. ბიჭიკოს ბანაკს აძლიერებენ ნანა დათუაშვილის ასმათი, ბადრი კაკაბაძის სურია, გაი ტყუელაშვილის თამაზი, რომელთა გმირები სიმპათიას იხვევენ პირდაპირობით, უშუალოდ, პატიოსნებით.

პიესაში არის კიდევ ერთი მოქმედი პირი — თორნიკე — უსაქმური, მოქიფე, გაქნილი კაცი, რომლის როლსაც ოსტატურად ანახიერებს ლერი მიშველიძე. შემპარავი კილო, ლაქუცი მიშველამის თორნიკეს დამახასიათებელი ნიშნებია.

...დაკარგული ბიჭიკო მოულოდნელად დაბრუნდება შინ და საკუთარ ქელეხს შეეწირება. მაშინ გაისმის უკანასკნელი აკორდი კომედიისა: „რას იტყვის ხალხი?“..

ლილიმ ხომ ეველაფერი გაყიდა იმისთვის, რომ „პატივი ეცა“ მამის სსოვნისთვის და ხალხის უბაში არ ჩავარდნილიყო.

ფარდის ნაცვლად სცენაზე ისევ ის სარკე ჩამოეშვება, რომელიც აქამდე ცერად ეკიდა და მრუდედ ირეკლავდა გამუდმებულ სუფრაბანს და ფუჭ ფუსფუსს. სარკე ნათდება პროექტორებით და მასში მოულოდნელად მაყურებელთა დარბაზი ჩნდება. ამ დიდ სარკეში ეოველი მაყურებელი ხედავს თავის თავს და ეს კი აძლიერებს დარბაზის რეაქციას იმის მი-

საზოგადოებრივი და სასწავლებლო

ამ ბოლო დროს თეატრებში იდგება თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები, რომლებიც არც შეტის მებ ქებას და არც შეტის მებ განქიქებას იმსახურებენ. ასეთ სპექტაკლებს საშუალო სპექტაკლებად მიიჩნევენ და ამასზე რატომღაც არავინ ხმაშალდა, გულწრფელად და პრინციპულად არ აღაპრაყობს.

თეატრალური კრიტიკის ამგვარი წაყრუება შეუწყურებელია, რადგან ე. წ. საშუალო სპექტაკლებში თუ, ერთი მხრივ, ბევრია საღაო პიესის ავტორთან და დამდგმელ რეჟისორთან, ანდა საერთოდ მთელ კოლექტივთან, მეორე მხრივ, ბევრია მისაბძიცი, განზოგადოებას რომ იმსახურებს. ამასთან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს თეატრმა ხომ უნდა იცოდეს საზოგადოების აზრი თავის წაწარმოებზე?

ყურწაყრუება ჩვეულებრივი ამბავია რო-

მართ, რაც სცენაზე ვაითამაშდა, რაც გაიკილა და რითაც ავტორებმა თქვეს, რომ ყურადღება, სითბო და დახმარება აღამიან სიცოცხლეში ქირდება მერე კი ყველაფერი ამაოა. ეს ის ხალხია, ვინც დაფიქრებით, განსჯით გვიტყვის რაა მხარდასაქერი და რა უნდა უარვყოთ.

ასე ნათლად დაინახა რუსთავის სცენის დიდ სარკეში მაყურებელმა ჩვენს დროში შემორჩენილი ზოგიერთ გაუალებელ ჩვეულებათა მავნე შედეგი.

სპექტაკლის მხატვრულ მთლიანობაში თავისი წვლილი მიუძღვით დ. ტურიაშვილს თავისი მუსიკალური გაფორმებით, კოსტუმების მხატვარს გ. მღებრიშვილს, ქორეოგრაფ ბ. მონავარდისაშვილს.

აქვე მინდა მოვიხსენიო უსიტყვო როლებში გვი ჩუგავილი, ვია ლეჟავა, სოსო რუხაძე, სპარტაკ კიკნაძე, რომელნიც ორგანულად შერწყმიან სპექტაკლის გროტესკულ ხასიათს.

სპექტაკლით „რას იტყვის ხალხი?“ რუსთავის თეატრი დროულად გამოეხმაურა საქირბოროტო საკითხს და ამით კიდევ ერთხელ გაამართლა თეატრის, არა მარტო როგორც სარკის, არამედ როგორც მაღალი კათედრის როლი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გორც დედაქალაქის თეატრების, ისე პერიფერიებშიც დადგმების მიმართ.

მეგობრული, მაგრამ პრინციპული შეხება ყველა თეატრს ისევე სჭირდება, როგორც პერი, ამის გარეშე თეატრს ძალიან გაუჭირდება იმ დიდი ამოცანების შესრულება, რომლებიც მას აკისრია.

ამ წერილში სწორედ ერთ-ერთ საშუალო სპექტაკლზე გვინდა ვისაუბროთ. ეს სპექტაკლი ახლახან დაიდგა თბილისის ს. შაუშიანის სახელობის სომხური თეატრის სცენაზე და გარკვეულ ინტერესს იმით იწვევს, რომ მასში იგრძნობა სურვილი მაყურებელს უჩვენონ დღევანდელი დღის სატიკვარი, ადამიანების ერთი ნაწილის მიერ ეგოისტური მიზნების განსახორციელებლად ზნეობრივი ნორმების დარღვევა, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება, საზოგადოების წინაშე მორალური პასუხისმგებლობის აღმშფოთებელი მოღუწება.

სარცენზიო სპექტაკლი გახლავთ „ოპერაცია გუბუშ“.

ერთ-ერთი დიდი საყოფაცხოვრებო ობიექტის დირექტორი თავის თანაშემწედ წამოუყვებულ კანდიდატთან ქრამის გამოძალვას შეეცდება. რედაქციას ხელში ჩაუვარდება ჩაფიქრებული მაქინაციის მამხილებელი საბუთი და თავის თანამშრომელს, გამოცდილ უურნალისტს მიავლენს, რომელიც კომინატორებს გუგუშის სახელით გამოცხადება და ფარდს ახდის დაწესებულებაში მოკალათებული ნაძირალების საქმიანობას.

სატირული კომედიის ავტორია პოპულარული სომეხი კომედიოგრაფი გ. ტერ-გრიგორიანი, ცნობილი დრამატურგი-სატირიკოსი. მისი პიესები გამოირჩევა ჩვენი ცხოვრების ნეგატიური მოვლენების მხილებით და მათი მძაფრი კრიტიკით, რითაც ენსარაფვის დაამკვიდროს პოზიტიური.

„სატირა სიკეთეს ემსახურება. ჩვენ ეთილის, კარგის, სამართლიანისა და სინდისიერის გამარჯვებისათვის მივმართავ სატირას“.

დრამატურგის ამ სიტყვებს, რომელიც უსიტყვად გამოხატავს აგრეთვე სარცენზიო სპექტაკლის დედააზრსაც, არ შეიძლება არ დავთანხმდეთ. მაგრამ არც ისე შეიძლება იქნეს დავიწყებული, რომ სატირაც ესთეტიკის ნორმებით შემოზღუდული მხლოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს, რომ მხილებასაც თავისი ზომიწონა აქვს და ამის ოდნავ დავიწყებას, ფერების მეტრისმეტრე გამოუქება მოსდევს შედეგად, რაც როდი ამიღირებს ნაწარმოების მხატვრულ შემეცნებას, პირიქით, ასუსტებს.

ფერების გამოქება შეინიშნება როგორც პიე-



საში, ისე სექტაკლშიც. შობაქედლივითა ისეთია, თითქოს დაძვებულ რევისარს (ჩ. ჩალტკიანი) კიდევ უფრო გაუმჟებია ავტორისეული ფერები — თუნდაც იმით, რომ სექტაკლის მხატვრობა (მხატვარი ი. ხუროშვილი) ნატურალისტური სიმბოლური არის გადაწყვეტილი: უნიტაზის მსგავსი სკამებისა და მაგიდების სიმრავლე სცენაზე მყურებელს უნებურად სთიშავს ხელოვნების სამყაროდან და ესეთიკური ტკობის საშუალებას უსპობს...

ვინ იტყვის, რომ გოგოლის „რევიზორში“ მოიხსენიებს მხილების სატირული პათოსი, მაგრამ იგი პიესაში ისეთი საოცარი მხატვრული ტაქტი არის გამოხატული, ისე რომ არსად არ ირღვევა მხატვრული სიმართლის ზომიერება, ურომლისოდაც არცერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს არსებობს არ შეუძლია.

ეს შორეული შედარება, რა თქმა უნდა, პირობითია, მაგრამ, მგონი, ზუსტია — ნეგატიური მოვლენების შეუწყნარებლად მხილების მოქალაქეობრივი პათოსი სულაც არ ნიშნავს აქცენტის გადატანას ესთეტიკის ნორმების დავიწყებაზე, მათს იგნორირებაზე.

სხვაფრთვ სექტაკლის რევისორთან ჩვენ სადა არაფერი გვაქვს, პირიქით, ჩანს, რომ მას ბევრი უმუშავია, სწორედ გაუგია და სწორად გაუხსნია მოქმედ გმირთა ხასიათებში მანიკური მხატვრობა და ეს ამოცანა, გროტესკულ ფერებში, ზედაპირულად როდესაც დადუწყდება, არამედ შინაგანად, ესე იგი, პერსონაჟები პირველ რიგში თავიანთი ეგოისტური მისწრაფებების დაქვემდებარებას ესწრაფვიან და როცა ამას აღწევენ, აღმინათრი თვისებების გამომუდვანებასაც ცდილობენ. ეს ხაზი, რევისორის ფხიჯელი თვალის წყალობით, არასოდეს არ იჩქმალდება და სექტაკლს ცხოვრებისეულ ელფერს აძლევს.

გ. ტერ-გრიგორიანის კომედიის პერსონაჟები მკვეთრად ჩამოყალიბებული განზოგადოებული ხასიათებია. ისინი ერთმანეთისაგან რაიმე ღრსებით, ადამიანური უპირატესობით არ გამოირჩევიან, არამედ ერთ მიკრო კოზმში თავმოყრილ ნაძირალებს ჰგვანან, ამიტომ ტიპაჟის მიგნებულად შერჩევის, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

პართე ბარიშინის როლს თამაშობს რ. ჰოვანისანი. ჩვენ ეს მსახიობი მეტწილად დრამატულ როლებში ვინახავს, ამ სექტაკლში კი დირექტორის გროტესკულ სახეს ქმნის, დირექტორისა, რომელსაც რაღაც მანქანებით ხელში ჩაუგდია დანქსებულება, თანამშრომლებითურთ, და ზომიერი წინდახედულებით საწველ ფურად გაუხდია — გამოძალავს ეწევა. გარეგნულად იგი ზღარბს გვაგონებს, რაც ზუს-

ტად მიგვანშნებს იმაზე, რომ მას ეცალღვეთ ჩხვლტაკე შეუძლია, თუ დასქირდა მხატვრობა დინამიური სახვა ასტრა (ა. ჟამოქირიანი-რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი). ამაღლარი და ბოროტი დედაკაცია ასტრა. მაგრამ გაცილებით ემოციური იქნებოდა ეს სახე, რომ თავისი გმირის გამოძქრვისას მსახიობი მეტნაკლებად არ იმეორებდეს ამავე სცენაზე სხვა სექტაკლებში ნათამაშევი უკვე ნაცნობ პერსონაჟებს.

რთული ამოცანების წინაშე იდგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ყარაჩიანი მგლოვიარე პიკუსის როლში. იგი გროტესკული მიხანსცენებით დამუხრულ სცენაში ხვდება გროტესკულ პერსონაჟებს. სიტუაცია განსაკუთრებულ ტაქსა და გარდასახვის მოთხოვდა ძაძებით მისილი პიკუსისაგან. ერთი წინდაუხედვეი ნაბიჯი და რელიეფურად გამოჩნდებოდა გროტესკულ სიტუაციასთან დრამატული ელემენტის შეუსაბამოა. მსახიობმა ზომიერი წიაღსვლებით ვაშშიშვლა თავქარიანი ქალის შინაგანი ბუნება და ბუნებრივად „ჩაქდა“ გროტესკულ რკალში.

მსახიობ ა. ადღსნაინის პაპაშას არ ახასიათებს მიხვეულ-მოხვეული ბლიკებით სიარული, იგი პირდაპირ მოქმედებს: „ნუ მიედ-მოედები, პირდაპირ მითხარი, რამდენს თხოვლობს დირექტორი?“ — ეუბნება იგი „შუაწავალს“ და მუდამ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ადამიანებთან ურთერთობის დროს.

კოლორტული სახვა ყურნალისტი ვარდანი (მსახიობი ჟ. კარაბეტიანი). ლილიკის ეპიზოდურ როლში თავის სიმაღლეზე დგას მსახიობი ვ. აბრამიანი, ხოლო რედაქტორის — მსახიობი ი. თათარიანი.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მსახიობი ა. ქორჩიანი ანონიმების შემთხვევის როლში მისი ამბიკი ავუია, მზაკვარი კაცის ტიპური სახეა. იგი იმდენად მთლიანია, იმდენად გამოკვეთილი, რომ ძნელია უპირატესობა მინიქოს რომელიმე ეპიზოდში. გაკვირვებას იწვევს, წი წელს მიტანებულ მსახიობის ნიჭი დღემდე რად დარჩა თეატრის კოლექტივს შეუნსწავია.

უცხოური მანერებითა და ფსიქოლოგიით დაავადებული დენდის — სერჟიკის როლს წარმატებით ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი გ. ოვაკიმიანი.

ასე ვრცლად იქნებ არც გვესაუბრა ამ სექტაკლზე, რომ მისი რევისორი ახალი კაცი არ იყოს თეატრში. ამიტომ სჯობს აქედანვე ვუთხრაოთ მას საწველ და სასიამოვნოც, რადგან ისე არავის სქირდება მართალი აზრის გაგება როგორც იმას, ვისაც თანამედროვე თეატრში სექტაკლების მომწადება ეკისრება.



„იისფერა“

ახლახან ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითა კოლექტივმა ნორჩ მკურებელს მორიგ პრემიერად შესთავაზა საბავშვო პოეტის გივი ჭიჭინაძის ორმოქმედებანი პიესა „იისფერა“, რომლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა მურმან ფურცხვაანიძემ.

შემთხვევითი არ იყო, რომ სარეცენზიო პიესა დასადგმელად იქნა შერჩეული. პიესა ამხანაგობის, თავდადების, ერთობის ძალასა და ბოროტებაზე სიკეთის ძლევაზეა აგებული. ფრაზები თავისუფალი, დახვეწილი ენითაა შესრულებული, რაც პატარებისათვის ადვილად გასაგებს ხდის პიესის სიუჟეტს.

მარტოხელა კაცის ოთახში უპატრონოდაა დარჩენილი კოპწია ყვავილი ქოთანში, აკვარიუმში ოქროსფრად მოელვარე თევზი, გალიაში ლამაზი ჩიტები და კედელზე ბებერი გენერლის სურათი, რომელსაც მტკერი უქვე ისე აწუხებს, რომ თანდათან ცხვირის დაეცხიხებით თუ მკვიდდება მას, თორემ აღარვინაა, რომ სურათის მტკერი მოაცილოს, ყვავილი მორწყას და თევზსა და ჩიტებს საყვები მიუტანოს. ამიტომაც არის, რომ ყვავილი განერვიულებულია, ჭკნება დარღვისაგან და თავის ლამაზს ფოთლებს თანდათან ჰკარგავს. ჩიტები უფრო მომთმენი არიან და ანუგეშებენ ერთმანეთს, თევზი კი, საერთოდ როგორც ნაკლებად მოლაპარაკე, ხანდახან თუ გატყუდება ძველ მეგობრებს, მაგრამ აი, ოთახში გაჩნდება თავი, რომელიც პირველად სამელწმეში მოხვდება და იისფრად შედებილი წურწურა იატაკზე დაყრილი გამხმარი პურის ნატყუებით დააპურებს თევზსა და ჩიტებს, მაგიდაზე მდგარი ჭამიდან მზისაგან ამოშრობას გადარჩენილ წულის წვეთებს ყვავილს შეაპურებს, მოასულიერებს და ფანჯარასაც გაუღებს მეგობრებს, რომ სული მოითქვან. საბედისწერო აღმოჩნდება სარკმლის გაღება. მას მალე ჩამოაბნელებს ცალთვალა კატა, რომელსაც მუ-

დამ არიღებდა სახლის პატრონი თევზებისადგან იგი აკვარიუმიდან თევზებს იპარავდნენ მუქებოდა გალიაში მყოფ ჩიტებს და ხალხი კი, როცა კარგად იცის, რომ სახლის პატრონი საავადმყოფოშია, თამამად ნებებობს ხხვის ბინაში და ყველას ემუქრება. პირველად შეიპყრობს თევზს და შექმას დაუპირებს. და აი, მაგიდის გადასაფარებელში ჩამალული იისფერა მეგობრისათვის წირავს თავს. იგი გალიის კარს გაუღებს ჩიტებს, თვითონ კი გააღწიანებს კატას, რომელიც მიატოვებს თევზს და იისფერა და მისი მეგობრები ერთიან ძალით ცალთვალა კატას გააქევენ ოთახიდან. თუმცა იისფერა უკუდოდ რჩება, მაგრამ იმდენად დიდა ამხანაგობისა და მეგობრობის სიყვარულის ძალა, თვითონ კატის მსხვერპლიც რომ გამხდარიყო, არ ინაღვლებდა, ოღონდ დაღუპვას მეგობრები გადაერჩინა. ბებერი გენერლის სურათი კი, რომელიც კედლიდან უცქერდა ყველაფერს, ამ უღიდვის თავდადების ნიშნად იისფერასათვის საკუთარ ორდენსაც კი გამოიტებს.

იისფერას კეთილი გული, თავგანწირვა, მეგობრების სიყვარული და მათთვის თავდადება ოსტატურად წარმოგვიდგინა მსახიობმა ი. ქელოძემ, რომელიც ძალზე თავისუფლად ფლობს თოჯინას და თავისი უშუალო თამაშით კიდევ ერთი დასამახსოვრებელი სახე შემატა თოჯინურ ხელოვნებას.

გალიაში გამოწვევებული მოქიქიკე ჩიტების — ჭრელასა და დაბუს ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეები შექმნეს მსახიობებმა მ. ჭინჭველაშვილმა და ლ. ფარულიამ.

კოპწია ყვავილისა და თევზის ტივილი და დარდი კარგად გამოგვიცვს მსახიობებმა ე. თოდუამ და ლ. ხინგავამ.

გაბოროტებული ცალთვალა კატა მშვენივრად დაგვიხატა მსახიობმა ან. ფანცხავამ, ხოლო ბებერი გენერალი სურათიდან — მსახიობი ლ. გიორბელიძე, საერთო ანსამბლს კარგად ერწყმის.

დამდგმელი რეჟისორის მ. ფურცხვაანიძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ სწორად და ლამაზად მოფიქრებული მიზანსცენებით, გენერლის სურათის ეფექტური გაცოცხლებით პიესის ძირითადი აზრი, იდეა ბოლომდე იქნა მიყვანილი მკურებელამდე, ამას ხელი შეუწყო საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის გ. ბერეჟიკოძის სადა, რბილ ტონებში გადაწყვეტილმა მხატვრობამ. ლ. ხინგავას მუსიკამ აკომპანიატორ ე. კოჩინის შესრულებით კი თავისებური ელფერი შემატა სექტაკლს, ხოლო პატარა მკურებელის სწორი რეაგირება წარმოადგინა მსულელობის დროს დრამატურგისა და სექტაკლის შემქმნელი შემოქმედებითი კოლექტივის წარმატების დადასტურება.



დიდ დარბაზში გურამ სალარაძის საღამოე
მასხენდა...

თბილისელებს უყვართ პოეზია. ქართველებს
ემაყებოთ თავიანთი მწერლობა და დახეობ, და-
ნატრულები კი არიან მხატვრული სიტყვის
მადლს. პარადოქსია!

როგორც იქნა, დარეკეს მესამე წარი.
სცენა ძალზე კოლორიტულად არის მოწყო-
ბილი. სადაც ურმის ფერსო ავღია, სადაც წნე-
ლის ღობის მინიშნებაა. ფურჩი, სურა, სავარ-
ძელი, თავახდელი როიალი, ტაბლა და, რა თქმა
უნდა, დაბალი სამფენა სკამები.

დარბაზში ქრება შუქი. ნათდება სცენა და
სიღრმეში გამოიკვეთა ცისფერი ფონი. რეჟენ
წარები. „შვილი“ და „შვილიშვილი“ წარების
ბულბულისებრი კენესაა. არ არღვევს ამ საზეი-
მო გარემოს დედო-წარის მრისხანება.

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს

შევედრები.

იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთხილად დაიფარე — ამას გვედრები..

ღელღელს ფონოგრაფა წარების წკრაილში და
ცისფერ ფონზე ამოისარკა მალაქიტისფერ სა-
მოსელში გახვეული მსახიობი. იგი ფრთხილი,
თითქოს მიწასდაუყარებელი ნაბიჯით მოემარ-
თება ავანსცენისაკენ. გამჭვივრავალი, უხორცო
ფურესა გადმოსულა თითქოს ჩაგრეცილი კედ-
ლიდან. უხორცო და მკეროვანი.

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის.. და
არ ხმარობს ქარი, არ წვიმს ცოცხალიღელად,
ქალსა და რბილში გამტანად, შემციავანად.
აქ მხოლოდ — „სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ“,
— არის მთავარი და კიდევ: „მე შენი სახება
დამდეგს თან, ყოველ დღემს, ყოველთვის, ყო-
ველგან!“ გრძნობ, რომ მთელი ეს ქარაშოტი
და წარღვნა ადამიანის სულშია, იქ ლეკს თურ-
მე წვიმა და თოვლი ყველაფერს. ზუსტი და
მიზანმიგნებულა აზრი ლექსისა და მერე „იმ
ვარდისფერ ატმებს“ — ისხენებს მსახიობი.
დაიხ, ისეთი შთაბეჭდილება დამჩრა, თითქოს
ისხენებდა და ვგონებ, აქაც ზუსტად გადმოგვა-
ცა მსახიობმა პოეტის აზრი.

მომძრობა მუნწი, დარბაისლური. ხმა მუდერი
და ამოდ სასმენი. დახვეწილი, გამართული მეტ-
ყველება და, რაც მთავარია, აზრის ზედმიწევ-
ნით ზუსტი მისამართი. აი, მსახიობის შესაშური
საშუალებანი, რითაც წარსდგა მსმენელის წინა-
შე თათა ხანდრავა.

კანტი-კუნტი, გაუბეღვი ტაში გაისმა აქა-იქ
და უტეხ მიწყდა. არ იყო საჭირო ტაში. ტაშს
შეუძლია სულ სხვა გარემოში გადატარცნოს
მსმენელი და აი, მსახიობი დადის სცენაზე.
ექებს თავისი გმირების ნაკვალევს, ნააზრევს.
მიავნო კიდევ. მაგდიდან იღებს რვეულს და

„მზეო, თიბათვისა...“

თუმცა არა, ასე არ დაწყებულა. კონცერტის
დაწყებას რამდენიმე წუთი აკლია და სალა-
როსთან რიგია. დაწყების დროც დადგა, მაგრამ
მესამე წარს არ რეკავენ — სალაროსთან ისევ
რიგია და იცით ვინ დგანან რიგში? მსახიობები,
რეჟისორები, თეატრმკოდნეები და თეატრის
მოყვარული, დამფასებელი ხალხი, ხალხი, რომ-
ლებსაც აქვს საშუალება ბილეთის შოვნისა, მაგ-
რამ ახლა დაძაბულნი მისჩერებთან სალაროს
ვიწრო საკემელს და ბილეთთან მაყურებელს
მორცხვად არიდებენ თვალს.

რა ხდება?

დღეს რუსთაველის თეატრის დარბაზ-
ში პრემიერაა ლიტერატურულ-მუსიკალური
კომპოზიციისა, „მზეო თიბათვისა, (რეჟისორი
რობერტ სტურა, მხატვარი მირიან შველიძე,
გამოყენებულია კომპოზიტორ გია ყანჩელის
სიმფონიები), კითხულობს თათია ხანდრავა.
ასე, ყოველგვარი ტიტულებისა და წარ-ზეიმის
გარეშე, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოა.

პოდა, რა მოხდა?

მოხდა ის, რომ დღეს მხატვრული სიტყვის
ზეიმია. პროგრამაშია: ვუთა, ილია, გალაკტიონი
და კონსტანტინე ვამსახურდია. ამ საღამოს
ყავს რეჟისორიც, მხატვარიც და კომპოზიტო-
რიც. ეს იმდენად უჩვეულოა თბილისელი მა-
ყურებლისთვის, იმდენად საჭირო, რომ ეს „ჩი-
ნისი“ ხალხი რიგში ჩამდგარა და უკანანი წი-
ნებს ევედრებთან, — ერთი ბილეთი გამომიტა-
ნეო.

გამახსენდა ჩ აპრილს პოეტ ვეგენი ვეტუ-
შენკოს საღამოზე ზღვად მომსკდარი თბილისე-
ლები. დიდი ხნის წინანდელი ამბავიც გამახსენ-
და — ოპერის თეატრის სცენაზე სერგო ზაქა-
რიაძის საღამო. ახლანხან კონსერვატორიის



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ძვირფასო თამარ! გახსოვს, საქართველოს მუზეუმში რომ გაჩვენე პალიმფსისტიები? შენ იმ დღეს უყურადღებოდ მისწენდი...“

მთელი დარბაზი გალურსული, სუნთქვაშეკრული მიჩერებია მსახიობს, რომელიც ძველი და ახლად დანერგული წარწერებია პალიმფსისტიის აღსარებას გადმოსცემს და... „გული ტკივა ახლა თამარს, ძლიერ სწუხს უყურადღებოთ რომ არ უსმენდა მას იმ საღამოს...“

ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მოურიდენს, სული მოუვლინე ისევ შენმეორე, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანყოთა მიეც შენმეორე...

ვინ შეძახის, ვინ!.. იძახდა ძილდაკარგული სნეული თავის გულში... კიდევ! კიდევ შეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს! მოვდივარ, მოვდივარ, — „გმინავდა ოთარაანთ ქვრივი“.

ჩემი ზრით, აქ მთავრდება რაღაც ნაწილი საღამოსი. ჩაბნელება და ხანგრძლივი მუსიკალური გადასვლა. შუქი ირთება და დაბალ, სამფხვსა სკამზე წამოჩნტული მოგვევლინა ია. — „უღრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სიღამაშით დავატკობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდან გადმოსქერაღს გულხავსიანს კლდესა, სურნელებს მოვაფრქვევ არემარეს...“ და იმ აღრინდელი მელანქოლიური ნაწილიდან განსხვავებით, თვალნათლივ შეიცვალა მკითხველი. ლოყები აუფარკლდა, სახე გაეხსნა, სიცოცხლის სხივი ჩაუდგა თვალებში, ხმა დაუნახავდა მეტად და მზემ ჩამოანათა თითქოს დაბურულს ტყეში... „განა მარტო მათ უხარიათ ჩემი სიცოცხლე?“.

მაგრამ სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელბულა დაწვანებული სიყისკასე მკითხველის. — „დამაბდებელო, დამიფარე, შემიჩახე უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი“.

მერე დიდოსტატის პორტრეტის წინ წაითხული — „ხეკორძულას წყალი მისვამს“ „ღამეს ნაბღის კარავი დაედეგა მუხნარში“ და ქარაფიდან მხრებგაშლილი გადაეშვა შუშანიკ-შორენა.

ხან უნდობარმა, გზა რომ შეეღება უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეედრება, მზეო თიბათვისა, ამას გვევდრები.

„ლაინისფერი ვადაკვროდა ზღვას მშვიდად მთვლემარეს.. მთავრ არ ჩანდა ცაზე. ერთადერთი ღრუბლის ფთილა შერჩენოდა მალაქიტის ცას, კოლხური ოქროს საწმისის ფერისა“.

და იდგა სცენაზე მალაქიტისფერ სამოსელში გავხეული დალილი, ნაჭაფი და დაქანცული კაუნადარა ქალი და ოძირებოდა მეწამულისფერ მიხაკებში. იყო ტაში. ბევრი, ხანგრძლივი ტაში. (ეს აუცილებელიც იყო და დამსახურებულიც)

და იძახებდა კვლავ და კვლავ მადლიერი ნაყოფი რებელი განცდით დაქანცულ მსახიობს იძახებდა და კრძალვითა და მოწინებოთ შესტკროდა ჭერი კიდევ აფორიაქებულ ხელოვანს. რა მოხდა?

მოხდა ის, რომ მსახიობმა მხატვრული სიტყვის საშუალებით ერთხელ კიდევ გვავიარა სიტყვის მშვენიერებას. მოხდა ის, რომ თბილისელებმა კიდევ ერთი ფასდაუღებელი ესთეტიური ტკობა განიცადეს.

ათია ხანდრავას მხატვრული კითხვით დაინტერესება ახლა არ დაწყებულა. არც რომერტ სტურუას რეჟისორული ტაქტი და სიფაქიჯე ახლად აღმოჩენილი, არც გია ყანჩელის სიმფონიება გასაკვირველი და არც მირიან შველიძის სათვის იყო ეს პირველი ნამუშევარი სცენაზე. თუმცა, დროდღერო მსახიობს უჭირდა კიდევ გზის გაკვლევა და სასურველ მიზანსცენამდე დაუბრკოლებლად მისვლა, იმდენად გადატვირთული იყო სამოქმედო არე, თუმც, ისევ ვიმეორებ, საოცრად დახვეწილი გემოვნება იგრძნობოდა, მაინც გულსტკივილით ვამბობ ამ საუვედურს, შეპარვით. თან ვფიქრობ, იქნებ არც ღირდა მეთქი თქმად იმდენად შესანიშნავი იყო მთელი საღამო. და კიდევ, მთავარი და აუცილებელი სათქმელი: ხომ შესანიშნავი თვალმარგალიტი იყო თავმოყრილი რეპერტუარში, მაინც სევდისა და განრიდების სარტყელით იყო იგი შეტრული. უბედურებასთან და ტრაგიკულთან იყო იგი წილნარია და ობოლი მარგალიტივთ გაიქვდა მასში სიცოცხლით სავსე იამ. რა კარგი იქნებოდა ამგვარი სიცოცხლითა და ღიმილით სავსე ცოტა მერე რომ უოფილიყო. ამასაც შეპარვით ვამბობ.

პოდა, რა დიდებული ნაყოფი გამოიღო მსახიობის, რეჟისორის, მხატვრისა და კომპოზიტორის ერთიანმა შრომამ. და აქი თიბათვე უოველ წელს დგება? იაც ხომ უოველ გაზაფხულზე ამოიკვირებტება და სურნელებით დაგვატკობს? ეს არის მთავარი. და კიდევ ის, რად უნდა იყოს მხატვრული სიტყვის საღამოები თითებზე ჩამოსავლელი და დიდი ხნით სალოდინო პიუჯის ქვეყანაში.

გვიმრავლდეს ამგვარი სიხარული. მადლობა უვლას, ვინც მოგვანიჭა ეს სიხარული, მადლობა მსახიობს, რეჟისორს, მხატვარს, კომპოზიტორს და გვიმრავლდეს ასეთი შესანიშნავი საღამოები. მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა ამას გვევდრები.



სახალხო თეატრები

რეპაზ ლორიძე

„დიკლომატიის მოყვარულნი“

სინარულიც სიყვარულივითაა, რაც უნდა მალო, თავს მაინც ვერ დამალავს. ჩვენც დაუფარავად გვიჩვენა ვითავე იმ სიხარულზე, რაც განვიცადეთ ლანჩხუთის თეატრის ახალი დადგმით, დღეს ყველას აღელვებს სოფლის ბედი, იქიდან რომ ახალგაზრდობა გარბის, ქალაქს ეხიზნება და ამოღენა ველ-მინდვრები, ბაღები და პლანტაციები ხანდაზმულ ადამიანთა მოსვლელ-დასამარებელი რჩება, უფრო მეტიც, მათზეა დამოკიდებული ქერის ცეცხლის შენარჩუნება. დიპლომის სიყვარულმა დააკარგვინა ბევრ ადამიანს ადამიანობა და ადამიანური თვისებები. მათ სწავლა-განათლება დიდად არ აწუხებთ, მთავარია უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ჰქონდეთ, შვილები „სწავლულებიდ“ სცნონ და იმუშავენ თუ არა, ეს სულიერთია. ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდების ნაწილი ქალაქში უსაქმოდ დაუიარაღებ, დროს უნაყოფოდ ხარკავს, ინსტიტუტში ორ-სამეტი აპარებს მისაღებ გამოცდებს, ვერ ხვდება, მაგრამ თავს მაინც არ ანებებს, ასეთები აღარც სწავლისანი არიან და აღარც ოჯახისანი. პიესის ავტორი ამ შემთხვევაში უპირატესობას ოჯახის შექმნას, ერის გამოკვლევას ანიჭებს.

თითქოს ყველაფერი რიგზეა, თითქოს წინააღმდეგი არ უნდა ვიყოთ, როცა ახალგაზრდები ერთ საქმეს ვერ აწესრიგებენ, მეორე საქმე აირჩიონ, თანაც ადამიანს სწავლა-განათლება ხომ ოჯახისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ უნდა. მაგრამ პიესაში ეს იდეა მშრალადაა მოცემული, მოქმედ პირად არაა გამოყვანილი ახალგაზრდა, რომელიც ოჯახს ადრინა მოეციდა, კოლმეურნეობაში შრომით სახელი გაითქვა,

ისწავლა, დიპლომი მიიღო და თავის ადგილზე გამოვა ცხოვრებაში. მასში მხოლოდ უბრალოდაა ერთ-ორჯერ ნათქვამი, რომ ახალგაზრდებს დაუსწრებლადაც შეუძლიათ უსაღესი განათლების მიღება. მთელი სექტაკლის მანძილზე ერთხელაც არ იგონება სოფლის მშრომელთა ბრძოლა მათ წინ შე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, არ მოქმედებს ხალხი, მ. ა. ა. არ ისინება თანამედროვე სოფლის მაჩისცმა.

ღამატურგს შოთა როყვას აქ აერთი კარგი და ამაღლვებელი პიესა დაუწერია, არა ერთი მათგანი აღუნიშნავთ სრემითა და დიპლომით, მაგრამ მისი კომედია დიპლომების მოყვარულნი ერთგვარად ნაჩქავეად დაწერილი გვიჩვენება. თუ იგი მაყურებელმა მაინც გულთბილად მიიღო, უდაოდ დიდი დამსახურება მიუძღვით დამდგმელ-რეჟისორსა და მსახიობებს. აღნიშნულმა სექტაკლმა და, ვარწმუნა, რომ სახალხო თეატრი აღმაღლობის გზაზე დადგა, თეატრში მოვიდნენ ნიჭიერი, თეატრალური მონაცემების მქონე ახალგაზრდები, რომლებმაც ისაღი იხტერისი და რწმენა დაუბოუნდით გამოცდილ მსახიობებსაც.

პირველი, რაც თვალში საცემია, ესაა სექტაკლის მხატვრული გაკარგება. მხატვარ შალვა კუნჭულიას მიერ შეჩენული პიესაში მიმზადვლი და სოფლისათვის დამაასიათებელია, მოსაწონია კოსტუმებაც, ერთი სიტყვით, მხატვრობა საამო განწყობილებას გვაძლევს.

დამდგმელ-რეჟისორს, კულტურის დამსახურებული მუშაკის ალიოზა ჭორბენიძის მიერ მოწყობილი მონაცემები, მსახიობთა კვების მოძრაობაში ძნელად იყო იპოვით შედგმეს, უადგილოს. მან თავისი ძიებით და მოვსით მთელ სექტაკლს მაინაქა სიცოცხლის უნარიანობა, ერთიანობა და ემოკურობა

ჩვენ შევეჩვიეთ მაყურებლისთვის კარგად ცნობილი და შეყვარებული მსახიობების თამარ სარსიასა და გვიო ურუშიძის მოსიბვლელ თამაშს. ისინი უოველთვის დრმა სწვდებიან თავიანთ გმირების სულიერ სავრცელს, დიდი განცდილობა და ოსტატობით განსახიერებენ მათ და ამჭერადაც ასეთი. თამარ არსიას ქეთევანი ვიწრო, პირადელი ინტერესების მქონე ქალია. მართალია, იგი ადრე მასწავლებლობდა, მაგრამ ახალგაზრდობას მისგან ბევრი ეტყვეობი უსწავლია, რადგან თვით დამზარდელს სათანადო ცოდნა და მომზადება არ გააჩნდა. ახლა ერთადერთი ქალიშვილის — ინოს შემყურეს დიპლომანი, განათლებული სასიძო სურს, თავის ქალიშვილსაც მესამეჯერ აზნადებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, პროტექტორებსაც კი ეთებს. ქეთევანი სოფელში ავ და ენამწარე ქალადაა ცნობილი, საზაგვიროდ მისი



მეუღლე ბეჟანი, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი შოთა თოდუა განასახიერებს, კეთილია, მუყაიბი კაცია, სოფელში აგრონომად მუშაობს, ზოგჯერ კომპიუტერობის თავმჯდომარის მოვალეობაც ასრულებს. გამოცდილი მსახიობის თამარ ნარსიას გვერდით შ. თოდუას გამოყვანამ აამოწოა ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა და როგორც, მისი სქემატურობის მიუხედავად, წარმატებით იქნა დაძლეული.

პიესაში შედარებით სრულყოფილიადა მოცემული მემედ-პაპას სახე. იგი წლებით დაბრძენებული, სოფელზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია, აღელვებს ის, რომ სამი წელია სოფელში ბავშვი არ დაბადებულა; ქორწილი არ ყოფილა, ახალგაზრდობა კი მიდის და მიდის ქალაქისაკენ, არც იქ აკეთებენ არაფერს და არც მშობლიურ ენო-კარს პატრონობენ. გივი ურუშაძის მემედ-პაპა კეთილი, ადამიანთა მოსიყვარულე კაცია. თავისი ცხოვრება აკვნების გაკეთებაში გაუტარებია და გული სტიკია, რომ ბოლო წლებში მის ნახელავს არავინ ეტანება. გ. ურუშაძის მემედ-პაპა მოსწონს მაყურებელს, იგი ბუნებრივი, ძალდაუტანებელია, ფსიქოლოგიურად მალალი და თანამედროვე ცხოვრებისათვის შესაფერისი.

ციცილო სულ რაღაც ორ-სამჯერ გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ ყოველთვის უფრადებს იმ-გაზრდებს. ახალგაზრდა მსახიობს მანანა ხიტირს, რომელიც მას თამაშობს, კარგი მონაცემები აქვს, მაყურებელი პატივისცემით იმსჯელებს მისდამი.

აიშე სოფლელი ქალია, შეჩვეული მის ყოფას, წეს-ჩვეულებებს. ბუკავს შვილიც, მაგრამ სხვებივით დიპლომსა და ქალაქურ ცხოვრებას როდი ეძებს. ახალგაზრდებს ხელს უწყობს, მათი ბედნიერების უშუალო მონაწილეა. თავის ჩვეულებას არც ახლა ივიწყებს. იგი მემედ-პაპასთან ერთად ყოველმხრივ ეხმარება ახალგაზრდა შეყვარებულებს რამაზსა და ნინოს. აიშეს ლელა მგელაძე, ნინოს ნათელა კუცია, ხოლო რამაზს-ბადრი ბუჯალაძე თამაშობს, სამივე, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი გამოცდილების გარეშე, საშუალო სკოლის მერხიდან მოვიდა თეატრში და პირველი როლითვე მოხიბლეს მაყურებელი. ბ. ბუჯალაძეს რამაზი გამოუცდელი, ალალი, მოსიყვარულე უმაწვილია ნინოც თავაზიანი, გულთბილი გოგონაა, მათ ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთის ბედს თუ უბედობას მწვავედ განიცდიან. თითქმის არც აინტერესებთ სწავლა, მაგრამ მშობლების სურვილს წინ ვერ ეღობებიან და სამ წელიწადს ზედიზედ აბარებენ გამოცდებს უმაღლეს სას-

წავლებელში. მემედ-პაპასა და აიშეს წყალობით ისინი უღლებიან. ლ. მგელაძის აიშე თავისუფალი, მოაზროვნე და კეთილისმყოფელია. უღაოდ მისი გამარჯვებაა, რომ აიშეს სახე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

სხვა როლებშიაც გვიხანავს ნიჭიერი ახალგაზრდა ვახო უღენტი, მაგრამ ამ სპექტაკლში მის მიერ შესრულებულმა ლემო, რამაზის გურულმა ამხანაგმა, ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. მისი მოქმედება მიზნობრივი, შეუბოქავი, ზოგჯერ იუმორგარეულიცაა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სახალხო თეატრის ახალ დადგმას წარმატება ხვდა, მაგრამ ისე ნუ გავიგებთ, თითქოს მასში ყველაფერი თავის ადგილზე იყოს, არ გააჩნდეს ნაკლი. აქ ზოგჯერ შეიმჩნევა მსახიობთა შეზღუდულობა, გაუბედავობა, უმოძრაობა, მაგრამ ისინი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სპექტაკლის დადებით მხარეებს ვერ ჩრდილავენ.



ფლორა ხორავა

„ნატერფალი“

ზრამის წითელი დროშის ორდენისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებულმა საკავშირო ფესტივალების ლაურეატმა, ს. ახმეტელის პრიზის მფლობელმა სტუდენტმა სახალხო თეატრმა თავის მსურველებს უჩვენა ა. დევიდის „ნატერფალი“.

დამდგმელმა რეჟისორმა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა რეს. დამსახურებულმა არტისტმა კუკური მუხრანაძემ ნატერფალის ძლიერება და ხელშეუხებელი სიწმინდე დაუდო დგრიტად სპექტაკლს. მან ერთმანეთს დაუპირისპირა მოვლენები, რათა უფრო მძაფრი და თვალსაჩინო გაეხადა ის ტიპიკური და სეცდა, რომელიც აწუხებს სოფლის მოხუცებსა და ახალგაზრდობას.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ოთარ ასათიანის პიროვნებაში მიუყურებელი სინდისის ქექა იღვიძებს. მის ცხოვრებაში ბრალდებელივით შემოდის მისივე თანასოფელი და სურამის მეგობრის ვაჟი, ახალგაზრდა აგრონომი შოთა... ისევე სოფლის სატიკი... უფროსმა თაობამ, რომელიც ქალაქში წამოვიდა, ცხოვრებისათვის კარგი პირობები და საპატო თანადებობა განიხილა, სოფელზე ხელი აიღო. მომხვეჭელებს ფართო ასპარეზი გაეშალათ, არც შოთას უნდა მოშობილურ სოფელში დაბრუნება, რადგან ასეთ გარემოში ახალგაზრდობას უჭირს თავისი ადგილის მოძებნა.

ოთარი ამ ხნის განმავლობაში პირველად აუმხედრდა ცოლს, რომლისადმი თანაგრძნობაშიც მოსწევითა სოფელს. იგი მიდის შობილიურ ცისკარში და თავის სიტყვას იტყვის რაიონის ახალ ხელმძღვანელთან შალვასთან ერთად. ფარდა ეხდება მომხვეჭელთა ოინებს, ახალგაზრდა სპეციალისტს შოთას კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევენ. სოფელი თანდათანობით ისადგურებს რწმუნა და იმედი.

ამაღლეებლად არის წარმოდგენილი ოთარი ასათიანის პიროვნება საკ. ფესტივალების ლაურეატის რომან პრელაშვილის მიერ. იგი ღრმა შინაგანი მდღეობით, ხადა, გამოხსახველო-

ბითი ხერხებით წარმოსახავს თავისი გმირის ნაგან ტიპიკებს, სინდისის ქექნას.

საყურადღებოა შოთას სახე, რომელიც საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა მ. ბარსონიძემ განახორციელა. გრძნობების სიმართლე, მოქმედების სწორი მიზანდასახულობა მის გმირს მომხიბვლელობასა და დამაჯერებლობას ანიჭებს.

კოლორიტულია ლევან მაქავარიანისა და გუგუცა გურულის სცენური დუეტი. ლ. მაქავარიანი ბუნებრივობით ძერწავს როსტომ ასათიანის პიროვნებას. გ. გურული დებიუტანტია და ბებია ელიზოს როლით კარგ პარტიციპანს უწყევს ლ. მაქავარიანს.

დამაჯერებლობით გვიხატავს ზ. ნინუა გაქნილი საქმონის, პირწვარდნილი კარიერისტის ამირინდოს სახე. ნინუას გმირი სარგებლობს სოფლის გამკითხავთა უყურადღებობით და თავის ასპარეზზე ფრიად მოლბენილად გრძნობს თავს. ამირინდოს სახეს ერწყმის ზურაბის სცენური ხასიათი, რომელსაც რეს. ფესტივალის ლაურეატი ვ. მახანაშვილი განასახიერებს. იგი ძუნწი მხატვრული ხერხებით, წარმოგვიდგენს გაძევრ ალმასკომის თავმჯდომარეს.

კარგად აქვს დამუშავებული საკ. ფესტივალების ლაურეატს მედეა ლორთქიფანიძის მიზანდასახე. იგი ჩვენს თვალწინ საოცარი ოსტატობით აქანდაკებს მუშანია, ეგოსტი და თავივეს ქალის სახეს.

თანამედროვე პარტიული მუშაკის სწორი დახასიათება პპოვა რაიკომის მიდინის შალვას პიროვნებაში მ. ჩიგაიას სცენურ წარმოსახვაში.

ღალი იუმორით არის ნაძერწი ი. ილაშვილის მიერ გოგაის სახე. ვაჟს დასამახვილებელი კომედიური სახე შექმნა ზ. ქვთარაძემ, მომხიბვლელი იყო მ. ახვლედიანის ლაურა.

მასობრივ სცენებში მონაწილეობდნენ ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სტუდენტები: შ. ქოქრაშვილი, ა. ჩხაიძე.

რ. გორგაძის მიერ სწორად შერჩეულმა მუსიკალურმა ფონმა სპექტაკლს დინამიურობა და რიტმი შესძინა. დახვეწილმა ქორეოგრაფიულმა მონაზაზმა, რომელიც გულმოდგინედ შეასრულა რეს. კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ბესიკ სვანიძემ, გაამდიდრა სპექტაკლის სანახაობითი მხარე. ძუნწად და ლაკონურად გადაწყვეტილმა დეკორაციამ (მხატვარი თ. ქართველიშვილი) სინათლისა და ჩრდილის პარმონიულმა მონაცვლივობამ გარკვეულად განაპირობებს მსახიობებისათვის მართალი სცენური გარემოს შექმნა.

რა თქმა უნდა, სპექტაკლს აქვს საკმაო ხარვეზები, მაგრამ სტუდენტურ თეატრში წარმატებაზე უფრო ვამახვილებთ ყურადღებას, ვიდრე ნაკლებს.



ერთ ქვემო ღარბაზში კაფე მქონდა გამართული. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენტები, განსაკუთრებით კი მწერლები — საუბრობდნენ, ბჭობდნენ თანამედროვე ვითარებაზე.

მოგონებათა რეალიზაცია

პირველი — სსსიპ-მხმსო

საბავშვო საქართველოს გაიყარა ერთი ქართველებმა უდიდესი სიხარული განვიცადეთ, როცა ჩვენს ინჟინერულ ფეხს მემოდგა დიდმა რეესიონმა, კოტე მარჩანიშვილმა. რა დასამაღვია, იმ დროს თეატრი დიდ დაქვეითებას განიცდიდა. მართალია, ფრიალ დახელოვნებული და კარგი რეესიონი მაშინ საქართველოს მრავალი მუყავა: შალვა დაღანი, ალ. წუწუნავა, მიხეილ ქორელი, კოწო ანდრონიკაშვილი, აკაკი ფაღავა, სანდრო ხმელთაძე და სხვა... მაგრამ მენშევიკური მთავრობის უნიათობა ხელს უშლიდა რეესიონებს სათანადოდ გაეჩარხათ ქართული თეატრის საქმე. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამპყრობის შემდეგ დროის, სიმცირის გამო ვერ მოასწრეს თეატრის აღდგენა. ამიტომ კოტე მარჩანიშვილის საქართველოში ჩამოსვლა — ახალ საბჭოთა თეატრის შექმნის უღრიადა. მას საერთაშორისოდ უწოდებენ საქართველოში საბჭოთა თეატრის ფუძემდებელს.

პირველმავე წარმოდგენამ — ლ. ბე დე-ვიგას „ცეკრის წარმოება“, რომელიც მან 1922 წლის 25 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში დადგა, დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. ახალი ხმა შემოიჭრა ქართულ თეატრში, ახალი სცენურ სიტყვა წამოიყო. ეს იყო დასაბამი ქართული საბჭოთა თეატრისა, მისი განვითარების; სათავე. ყველამ გამოიქცა აღტაცება; კრიტიკისეტი თავიანთი მაღლიანი კალმით შეეგებნენ თეატრის აღორძინებას და კოტე მარჩანიშვილის „სასწაულებრივ მარტინას. ამ მოვლენამ მეც, დამაწერინა სონეტი „ლაურენსია“, რომელიც დაიბეჭდა უფროსად „ხელოვნებაში“ 1926 წელს და შემდეგ (1960 წელს) ჩემი ლექსებიც წიგნში შევიდა.

პირველი შემხვედრე კომპოზიციები

(რუსთაველის თეატრის პირდაპირ ეროვნული კულტურით გატაცებული ვინმე აკვეის, გვარად მღვდელმამის ოფიცერთა სახლს ერთ-

1922 წლის გაზაფხულს... ასე... საღამო უახს, როცა კაფეში რამდენიმე ინტელიგენტი და მწერალი ვისხედით, შემოვიდა საშუალო ტანის ბრგე. ოდნავ ქალაქაგარეული გრუსთაშინი კაცი, მიუჭდა მაგიდას და ყავა მოითხოვა. ვინ არის, ვინ უნდა იყოს? — ვფიქრობთ და ერთი მეორეს ვეკითხებით... მერე ისევ მევე გამოვიცანი; მისი სურათი მქონდა ნანახი ჭერ ისევ ადრე, ათი წლის წინათ, პეტერბურგში სტუდენტობის დროს და ჩავიხურჩულე ჩემად, ბიჭებო, მარჩანიშვილია, მარჩანიშვილი...

შეგვატეო რომ მასზე ვლაპარაკობდი და, ცოტა არ იყოს, დაირცხვირა. მერე ჩვენ ძალიან შორიდებულად, სიმწერის ოფლით, მივმართეთ: — რაკი სამშობლოში დაბრუნდით, მოდი, ნუ წახვალთ სხვაგან, თეატრი არა გვაქვს, ჩამოაყალიბებთ დასი, შექმენით ეროვნული თეატრი.

აღგა, მოვიდა ჩვენთან, ყველას სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა:

— სწორი ხართ, ჩამოვიდი, რომ ვუხელმძღვანელო ქართულ თეატრს და ეს მინებებული საქმე ავაიმუქმდო. — ჩვენც ვუსურვეთ ამ საქმეში წარმატება.

— თუ სათანადო მხარდაჭერა შექნა, საქმე ნამდვილად გაიჩარხებაო, დასძინა მან.. და დღეს თქვენც ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ამის შემდეგ კოტე მარჩანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ქართული თეატრი აღსდგა, აღორძინდა და სათანადოდ გაიფურჩქნა კიდევაც. ქართულმა თეატრმა თავისი სახე შექმნა.

რვა წლის განმავლობაში 1924-დან 1932 წლამდე კოტე მარჩანიშვილთან საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა.

ამ წლების განმავლობაში განათლების სახალხო კომისარიატის ფინანსიურ განყოფილების უფროსად ვმუშაობდი. თეატრები დოქტორის წინათ, ვიდრე ხელოვნების საქმეთა სამმართველო ჩამოყალიბებოდა, განათლების კომისარიატიდან იღებდნენ. კომისარიატი მთელ კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტს, ყველა ტიპის სასწავლებლებს ხელმძღვანელობდა, მოგეხსენებათ, ფინანსების მხრივ მაშინ გასაპირი განვიციდიდით, როგორც სასწავლებლებს, ისე თეატრებსაც ხშირად მთელი თვეობით ვუკვანებდით გამაგირებს.

უნდა გენახათ, თუ როგორ განიცდიდა კოტე მარჩანიშვილი ამ მოვლენას; მაგრამ გამოსავალს ყოველთვის იპოვიდა ხოლმე ან ვის შეეძ-

ლო კოტესთვის უარი ეთქვა. ისეთი მომზიბლავი პირიყვნება იყო, რომ მას ვერავითარი ძალით უარს ვერ ეტყოდი. ავადგებოდი და წყვილოდი ფინანსთა კომისარიატში და ორიყენი საერთო ძალით და ღონით გამოვკლებდი ზოლმე კომისარს დეტაკიას, ვაღწე ადრე გაყანსეიყნებოდი კრედიტებს მომავალი თვის ანგარიშიში...

— მა, ეხლა კი თავისუფლად ამოვისუნთქე, იტყოდა ზოლმე იგი, როცა ფინსახკომიდან გამოვიდოდი დამარკვებული, ამოიღებდა პორტიგარს და არხივად გააბოლებდა.

ერთხელ დამსსწარი მის რეპეტიციას

კოტე მარჩანიშვილი ყოველგვარ საქმეში მტკიცე და ენერგიული არისო გამეგონა, ზოლო ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ეს ჩვილი გულისა და კეთილი, მშვიდი განწყობილების ადამიანი უცაკერესი იყნებოდა თავის საქმეში.

— ისეთი დისციპლინა აქვს, რომ რეპეტიციის დროს ჩვენ ხმას ვერ ვიღებთ. დარბაზში და სცენაზეც ბუზის გაფრენსაც კი გაიგონებთ — ზნირად მეუბნებოდნენ არტისტები. ამას განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ძველად ბაქოში, ქართულ თეატრში ჩემთან ერთად სცენისმოყვარე მეგობრები — სანდრო ყორყოლიანი და უდროოდ გარდაცვლილი ნიქიერი მსახიობი ვეჩეკია.

კოტე მუდამ მებატიყებოდა: — მოდი, ლადო, ერთხელ მოიცალე და ჩემს რეპეტიციას დეესწარიო, მაგრამ, საუბედუროდ ვერ ვიცოდი, სულ ამ ჭამაგირებისათვის ფულის ძიებისა და საფინანსო აღრიცხვა-ანგარიშების მოგვარებაში მიდიოდა ჩემი დღეები, მოვახერხე და ერთხელ მაინც დავესწარი. შევეყერი დარბაზში და უკან, ცოტა განწე კედელთან ერთ სკამს შევეუყუე. გაიცა განგარულება-დაკეტოთ კარები.

— ვინ არის, ვინ გაბედა კარის გაღება? — შეუტია კოტე მარჩანიშვილმა.
— მე ვარ, მამა, მე. — უპასუხა შვილმა.
— მეგრე ვინ შემოიგევა უდროოდ დროს, ვინ გაბედა? იყურა. სინამეხე ჩამოვარდა, კარი დიხებოდა. რეპეტიცია ათიდან იწყება. ვაღმომცეს, რომ მეყარე დაუსჯია, შვილი კი სასტიკად დაუტუქსავს.

კოტე სამეურნეო სპეციალიზაცია

კოტე მარჩანიშვილი თვითონ ხელმძღვანელობდა ზუბნალაშვილის სახელობის სახალხო თეატრის შენობის სახელმწიფო თეატრის შენობად გადაკეთების საქმეს. დღედაღამ იქ იყო, იყინებდა-მშენებლებს ეხმარებოდა, უსწორებდა, მიუთებდა. ძალიან ზნირად მივსულვარე და დამიხებია სამუშაოსთვის, როგორც განსახკომის წარმომადგენელს და კოტე მუდამ იქ მი-

ნახავს. მრავალჯერ მომისმენია მისი ცხარე კამათება მშენებლებთან: — არა, ახე სჯობს, არა ისეო, და ახლა, თუ შენობა საგრაია და მან სავსებით თეატრის ნამდვილი სახე მოიღოს, ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის კოტეს დიდ გემოვნებას და მის უშრეტ ენერგიას.

კოტე ახალგაზრდობის აღმზრდელი

კოტე დიხხანს იყო მასწავლებლად აკაცი ფაღავას ინიციატივით დაარსებულ თეატრალურ სტუდიაში. აქაც იგი დიდ შრომას ეწეოდა. მრავალ სტუდიელს გაუცვლია ზნა მომავალ მუშაობაში. ახალგაზრდობის აღზრდაში იგი უზაღლო ოსტატი იყო. მან მრავალი კარგი მსახიობი შესძინა ჩვენს თეატრს. იგი დღად ზრუნავდა, აგრეთვე, მოზარდებისთვისაც; მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით ქუთაისში 1930 წელს, მისი ქუთაისში მუშაობის დროს, დაიდგა საბავშვო ოპერა კომპოზიტორ შლავა თაქთაქიშვილისა „პირველი მაისი“, რომლის ტექსტი რუსულიდან მე ვაღმომავარდეთლე. საქართველოს სინამდვილეში ეს იყო პირველი მაგალითი საბავშვო ოპერის ბრწყინვალე დღეებისა. ეს ოპერა მრავალჯერ გამიერეს ქუთაისის თეატრის სცენაზე, მას ათასობით მოსწავდე დავსწრო. განსაკუთრებით კარგი იყო მასობრივი სცენები და საბავშვო ცეკვები, რაც პირად კოტე მარჩანიშვილის მითითებებით სრულდებოდა. ამ ოპერაში მრავალი ბავშვი მონაწილეობდა, მათ შორის, ახლა უკვე ცნობილი თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე.

ვანო სარაჯიშვილი

სიმღერისათვის დაბადებულაო — რომ იტყვიან, სწორედ ასეთი იყო ჩვენი სასიყვალელო მომღერალი ვანო სარაჯიშვილი. ამ კურთხულ ადამიანს ხმა ზარივით კრიალა ჰქონდა, არასოდეს არ ეხლიჩებოდა, ყოველთვის ძალდაუტანებლად მღეროდა, ხალხი ტალანტი იყო. მისი ხმის ტემბრი ყველა ხმაში გამოირჩეოდა.

ერთხელ რევისორმა კოწო ანდრონიკაშვილმა მაიმბო:

— იტალიაში ერთად ჩავედით. მე იტალიის ნახვა მწყუროდა, მისი გაცნობა მეწადა, ვცდილობდი დამეთვალყურებინა იტალიის ქალაქები, მათი ქუჩები, მოედნები, ქანდაკებები. ერთად ვინახულეთ მუზეუმები, გავეცანით ელასიოსების ნახატებს, რაფაელის, მიქელ-ანჯელოს, ტიციანის და სხვათა შედევრებს, დავსწარი იტალიის თეატრების მრავალ წარმოდგენას, რამაც ბევრი რამ შემძინა, როგორც რევისორს.

როცა ვანო კონსერვატორიის პროფესორებმა გასინჯეს, სხვადასხვა არიები ამღერეს, გაიყვირეს.



— რა კარგა დაუყენებიათ შენი ხმა. კისთან სწავლობდიო — შეეკითხნენ.

— არავისთან, იტალიაში ხმის გასავარჯიშებლად ჩამოვედი. ხმა უნდა დამიყენოთო, — უთხრა ვანო.

პროფესორებს ეგონათ ვანო ხუმრობდა.

— ჩვენ სახუმაროდ როდი გვცალია, ან ვინ დაგიჭერებს, რომ ხმის დასაყენებელი ვარჯიშები არ ჩავიტარებო. ამ ხმას შეტი ვარჯიში არ სჭირდებაო და გამოგვისტუმრეს.

ხმის დიდი ბუნებრივი მონაცემები ჰქონდა ვანო სარაჯიშვილს. დღედაღამე პირად მახსოვს ჩემი ძმის ექიმ-პროფესორის ნიკოლოზ გიგეჭკორის ოჯახში წვეულებაზე 1920 წ. ვანო რომ მთელი დამე განუწყვეტელივად მდგროდა ურბულსა და სხვა სოლო სიმღერებს. უკვე გათენებულ იყო, რომ ოჯახის დიასახლისის მთელი ხმით ია კარგარეთლის რომანსი „მშვენიერთა ხელმწიფე“ უმღერა. ხმაში ოდნავი ბზარიც კი არ ემჩნეოდა. კარგად შეჯარხოვებული შინ ვაჟაკურად გაემგზავრა. მას ნადირობა უყვარდა. ეს მისთვის სპორტი იყო. ხშირად იქცა ბუნების წიაღში მძლავრად გაისმოდა მისი კრიალა ტერორი და მასთან ერთად ლეონ ისეცკის მქუხარე ბანიც.

ხელოვნების სახლიდან (ახლა მწერართა სახლი) გამოასვენეს. მთელი თბილისი გლოვობდა, ქუჩა უში ტევა არ იყო. დაკრძალვის მოწესრიგება და მთელი მისი ცერემონიული კოტე მარჯანიშვილმა აკისრა. მახსოვს კონსერვატორიის წინ რუსთაველ, პროსპექტზე წულუკიძის ქუჩის დასაწყისთან ცხედარი რომ დასვენეს, რათა კომპ. ე. ფოლგერაშვილის აკადემიურ გუნდს, სადაც იმ დროს მეც ვმღეროდი, ნ. სულხანიშვილის ქორალი „ღერეთო, ღმერთო“ შეესრულებინა.

შემდეგ კოტე მარჯანიშვილი შურდულივით გაკრა, შეჭაუფულთა წიქე გაარღვია და პროცესს ას ოპერისაკენ გაუღო. იქაც ვიმღერეთ იგივე ქორალი.

ხოლო ოპერის აივნიდან ორკესტრის თანხლებით მომღერალმა მოპოვამ მაროს ტრილი შეასრულა. ქვეთინით, ტირილით, დადამებულზე ოპერის ბაღში დაკრძალეს ჩვენი ბულბული.

სანდრო ახმეტელი

სანდრო ჩემი ხნისა იყო, რაღაც თვეები თუ გვაშორებდა ერთი მეორეს. სტუდენტობის დროს რუსეთში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხშირად გვექონდა ბაასი ჩვენი ერის წარსულსა და აწმყოზე. ყოველთვის მაფრთოვანებდა მისი ვაჟაკური შემართება, მისი მამულიშვილობა. ხოლო კარგა მოგვიანებით, როდესაც ჩვენ თბილისში აღმოჩნდით, აქაც მე-

გობრობის ქსელი გვექონდა ურთიერთშორის გაბმული. ეს მეგობრობა უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც მან თავისი ცხოვრება ნიჭირ მსახიობს თამარ წულუკიძეს დაუკავშირა. უკანასკნელის მშობლები ჩემთან ერთად მოღვაწეობდნენ ბაქოს ქართულ თეატრში და დიდი მეგობრები ვიყავით.

სანდრო ახმეტელზე ვარცელებულია აზრი, იგი დიდ რეჟისორად კოტე მარჯანიშვილმა გახადა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სანდრო, კოტეს სამშობლოში დაბრუნებამდე ცნობილი იყო, როგორც რეჟისორი. მის აღმრდელ დღეგმებშიაც იგრძნობოდა „ახმეტელობა“, მაგრამ ეს გამოკვეთილად არ ჩანდა, ვინაიდან მაშინ ამ საქმეს თავის დონეზე უყვარდებოდა არ იცოდა, ხოლო არტულმა დრომ იმ მარცვალს, რაც მაშინ სანდრომ თეატრის ყამირზე ჩააგდო, აღმოცენება არ დააცალა.

კოტე მარჯანიშვილს დიდი აღლო ჰქონდა, ამას ყველა ამტკიცებს. იგი პირველივე შეხედვიდან გამოიცნობდა ხოლმე მისთვის საჭირო მასალას და მის მიერ შერჩეულ პირებს სათანადოდ იყენებდა.

ცხადია, სანდრომაც ბევრი რამ აითვისა კოტესაგან, მაგრამ იმის თქმა, რომ თუ კოტე არა, სანდრო ასეთი დიდი ხელოვანი ვერ დაიბადებოდა, მართებული არ იქნებოდა. ადრე სანდროს შესაძლებლობანი ვერ განვეჭვრიტეთ, ხოლო კოტეს ქუთაისში გადასვლის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. ახმეტელმა საფუძველი მოუქმებნა ჰეროიკულ რეალისტურ თეატრს და, როგორც მკითხველს მოეხსენება, მრავალი შესანიშნავი დადგმა განახორციელა, ასახელა ქართული თეატრი და საქართველოს ხელოვნებას ფართო ასპარეზი გადაუშალა.

მორიდებულად მინდა ვთქვა, რომ აკაკი ხრავა და აკაკი ვასაძე ახმეტელმა აღზარდა, დიდ მსახიობებად აქცია ისინი; მანვე ხელი შეუწყო არჩილ ჩხარტიშვილის, შოთა აღსაბაძისა და სხვა მრავალი რეჟისორის წარმატებას, მათ წინსვლას.

მისი სიმდიდრე



მს ამბავში ოთხი წლის წინათ მოხდა, აგვისტოს მიწურულში. შვიზღვისპირეთიდან თბილისისაკენ მომავალი მატარებელი კოლხეთის ველზე ერთ პატარა სადგურში ორიოდე წუთით შეჩერდა. ვაგონებში ნემსი არ ჩაჯარდებოდა, მატარებელს კი სადგურზე ზღვა ხალხი ელოდა. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ატყდა აურზაური, შეხლა-შემოხლა, წვილიკივილი ვინ ვის შეასწრებდა ვაგონში. ასეთ დროს ისიც ხდება, რომ ადამიანის თვალი თითქოს განგებ გამახვილდეთ, ზღვა ხალხში უმაღლე გამოარჩევს ნაცნობს. ფანჯრიდან დავლანდი, ბაქანზე აქეთ-იქით დარბოდა შეშფოთებული გიგლა ხუხაშვილი, ვინმესთვის ხელისკვრას ერიდებოდა, არადა, ყველგან ხალხის ნიაღვარს ჩაეხერგა გზა.

მოუსვენარი სულის კაცად ვიცნობ ამ ადამიანს. — ერთ ადგილას დიდხანს ვერ სძლებს ხოლმე, მუდმივი მოძრაობაა მისი სტიქია, მაგრამ სირბილი — არა. პირველად ვნახე ასეთ მორბენალი. როგორც იქნა, მეზობელი ვაგონის კიბეზე შედგა ფეხი და... მატარებელიც დაიძრა.

მივეგებე. მისალმებამდე სხვა რამ კეთებ.

— ჩაირიცხა?

დავიდარაბით გატანჯულ-გაწამებულს უმაღლეს ღიმილმა გაუნათა თვალები და დადლილოზაკ ისე ჩამოერეცხა პირისხიდან, მისი ნიშანწყალად აღარ დარჩა:

— ჩაირიცხა, ჩაირიცხა!

სხვა არაფერი უთქვამს. ვიგრძენი: ბედნიერებით იყო აღვსილი ადამიანი, შვილის ცხოვრების გზაზე დაუენების ბედნიერებით... და ამ ბედნიერებას ახლდა მამაშვილური ჩაფიქრება.

— ესე იგი, ჩვენი შვილებიც ერთად ისწავლიან.

— კი, ერთად ისწავლიან.

— ჩვენს ნაკვალევზე ივლიან ისინი.

— კვალს კი თავისას დატოვებენ. ასეთია ცხოვრების ორომტრიალი...

ეს ერთმანეთს უსიტყვოდ ვუთხარით. ფიქრი გაესაუბრა ფიქრს, რადგან შეუძლებელი იყო იმ წუთას ორივეს ნათლად არ დაგვენახა, როგორ დაბიჯებდნენ ჩვენი შვილები იქ, სადაც ოცი წლის წინათ სხვა სტუდენტების გვირდით ჩვენც მიგვეჩქარებოდა ლექციებზე.

არა, მატარებელი არ გამჭრალა ჩვენი თვალთახედვიდან, არც ბორბლების ხმაური დაურუებულა უცებ (როგორც აღწერენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში), მაგრამ... ჩვენთვის არც მთლად ჩვეულებრივი მატარებელი იყო ახლა ეს, იგი გვექცა დრო-ჟამის შეუჩერებელ მატარებლად, რომელსაც ერთდროულად, მაგრამ სხვადასხვა ვაგონით მიეყავდით წუთისოფლის გზაზე ჩვენ და ჩვენი შვილები.

თითქმის ოცდაათი წლის წინათ ვიყავით უნივერსიტეტის სტუდენტები და „პირველსხიველი“ ახალგაზრდა მწერლები გვერქვა. ხშირად ვდავობდით, ერთმანეთს ვეკამათებოდით, რაღაც მოგვეწონდა, რაღაც არ მოგვეწონდა და ამას არც ვმალავდით, რადგან გულწრფელობა იყო პური ჩვენი არსობისა. სწორედ ამ ლიტერატურულმა დავა-კამათმა, ზოგჯერ ცხარემაც,

გაკვიცა ერთმანეთის ბიოგრაფიის განუერულ ნაწილად.

გორაკ ხუბაშვილი პირველად ოცდარვა წლის წინათ ვნახე, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში. შემდეგ ბედმა ერთი ლიტერატურული თაობის მწერლებად მოგვანათლა. ამ, არც თუ ისე მოკლე გზაზე, ერთმანეთს მრავალჯერ შევხვედრებოდით და იმ დღეებს მოხაგონარც ბევრი რამ დაუტოვებია, მაგრამ თუ ახლა საგანგებოდ გავიხსენებ მხოლოდ მგზავრებით დახუნძლულ მატარებელში ჩვენი შემთხვევითი შეხვედრა და, ასე ვთქვათ, უხიტყვო მონაცანი დიალოგი, ამასაც თავისი გამართლება აქვს. აღმაინა ერთი რამით გვაშახსოვრდება განსაკუთრებით, ეს ღე ჩემთვის ნიშანდობლივია — გზა არის გ. ხუბაშვილის, როგორც მწერლის, ხატი. ამ ფრიალ ნიჭიერი და ენერგიით აღსავსე ადამიანის მთელ შემოქმედებას წიფულ ზოლად გასდევს გზის, როგორც მარად მოძრავი ცხოვრების ხატის სიმბოლია: მატარებელი, გემი, თვითმფრინავი, უღელტეხილი, ლიანდაგი და ცხოვრების რთულ გზაზე თაობათა მარადიული ცვალებადობა და ურთიერთობა, ასე ვთქვათ, დიალექტიკური დაპირისპირებას წყვეტს მწერალი თითქოს დრო-ჟამის გარკვეულ მწვერვალზე ავა ხოლმე და აქედან ავიკრდება ირგვლივ რა ხდება, სად იწეება ამ მწვერვალზე მომავალი გზა და საით მიდის, ახლანაჟისის (შავი თუ თეთრი მთისკენ), თუ პირდაღებული ხრამისკენ, მინდორს მიჰყვება თუ სხვა მდებარეობაში, მაგან თაობას თუ სხვა მდებარეობაში ეჩვენება უფრო სწორად და მიწაზე უფრო ნათლად?

მწერლის საკვირველ ეს საფქრალი აირჩია დროისთვის და ვივლი ამ თემის მრავალწახნაგოვან ჯახსნა-გაშუქებას ესწრაფვის, საკუთარი მწერალური გზის ერთგული რჩება უვლანაჟის მდებარეობაში მკითხველს, გ. ხუბაშვილის მხრით შემოქმედებას თაობათა ბედ-იღბლის მარადიული ცვალებადობის სიმღერას დავარქმევდით, მკითხველ და სეველიან სიმღერას.

„ზღვის შვილები“ იყო ამ სიმღერის ფუნდამენტი და საფუძისი, რაკ ლიტერატურად გაშუქების ხუბაშვილის შემდგომ შექმნილ მრავალ პიესას.

„მელოდის შვილები“ სიკეთეზე არა მგონია მე უფრო ვიქნა, ვიდრე იგი შეაფასა თეატრმელოდის ვასილ კიკნაძემ, ამიტომ თავს ნებას ვძლევ დაუტყუებელი და ამით დავეთანხმო კიდევ მის აზრს:

„გაბაშვილის „ზღვის შვილები“ ქართულ დრამატურგიაში ერთი პირველთაგანი იყო, სადაც მკვეთრად გამოჩნდა „ომის პოეტიკა“. მწვერული დრამატული კოლონები, ომის საშინელებითა და სიმღერის პოეტურ განწყობილებათა და

დაწულა და ზღვის რომანტიკის სასაქველს გახვია. თითქოს მოხუცი მწვერვალის (ბოცო) სულში დავტო მთელი ომი. მან მოიქცია ზღვის უკიდევანო სივრცეებიც, შვილისა და შვილიშვილების მთელი ცხოვრებაც, ახლობლებისა და მეგობრების სახეებიც, გაკირვებაც და დაღობინებაც. ის ნავთის გრძელი რიგიც, რომელიც ომის სურათის მეტაფორულ სახეს ქმნის, თითქოს ბოცოს სულშია მოქცეული. აქ ყველაფერი მისეულია, მისი სულის ფანჯრიდან არის დანახული“.

აქვე მხოლოდ ერთს დავძენ: ნიჭიერი მხახიობის ე. მანგალაძის მიერ განსახიერებულ როლებში, ბოცოს, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. ეს, რა თქმა უნდა, დრამატურგის დამახასიათებელია.

ქიათულის თეატრში დადგმულმა პიესამ „ცხოვრება ქაცისა“ საკავშირო კონკურსის დიპლომი მიიღო, ხოლო პიესა — „ღვიძა, მამა და შვილები“ საკავშირო პრემია დაიმსახურა. რამდენჯერმე გაიმარჯვა გ. ხუბაშვილის პიესებმა რესპუბლიკურ კონკურსზე.

ავტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიესა „მოსამართლე“. იგი მწერლისათვის დამახასიათებელ ტიპურ ნაწარმოებად მიმანჩნა და რასაც ახლა ამ პიესაზე მოვახსენებთ, მეტ-ნაკლებად ეხება გ. ხუბაშვილის მთელ შემოქმედებასაც.

„მოსამართლე“ ინტელექტუალური დრამის პრინციპით არის დაწერილი, მაგრამ მასში დაყენებული საკითხები მარტოოდენ ცივი გონებით როდია განსჯილი, გმირთა მოქმედებას მარტოოდენ აზრის დომინანტობა როდი უდევს საფუძვლად. მათი ურთიერთობა გამთარაქ ადამიანური გულით, ამ გულში დატრიალებული ვნების ცეცხლით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ავტორი ახერხებს თავისი აზრის ჩვენს გონებას გულის ვავლით მოაწოდოს, გული და გონება ერთ ლოკალურ მოგვექციოს და ასე შეგვექმნას ინტელექტუალური ემოცია თავისი გულიანი გონებითა და გონიერი გულით. გველევებს არა მხოლოდ ნაწარმოების აზრის სიმდიდრე, — მისი გმირების ბედ-იღბალიც. მათი სულიერი თუ ხორციელი კრილოები ჩვენც ვვტყავა, სულის მდგომარეობა კი — გვახარებს. ავტორი ახერხებს ერთდროულად ააღმოს ჩვენი გონება და დააფიქროს ჩვენი გული.

პიესის ცენტრში დგას მრავალ ქარცცხლებამოვლილი მოსამართლე დავით ბარათელი. დგას იგი და საკუთარ სიცოცხლეს ახამართლებს, ცხოვრების გრძელ გზაზე ჩაღწეულ თავის ცოდა-მადლს ხელახლა წონის. მის გარშემო შექმნილი არაჩვეულებრივი სცენური გარემო, პიესა ამ დრამატურგისათვის ჩვეული ხერხი-ხედა დაწერილი. ესაა თავისებური დრამატო-

რებული თხრობა, რომელიც არ მოითხოვს კონკრეტულ, ყოფით გარემოსა და სივრცეს, კონკრეტულ დეტალოზაციას, რადგან გადმოგვცემს ერთი ადამიანის სულიერი მდგომარეობის ცვალებადობის ჩაქვს და თაობათა თავისებურ შუპირისპირებასაც. ვუსმენთ პიესის და გულში გვებეჭდება მისი ნათელი დედააზრი. ვიყოთ პატოსიანი და მართალნი თუნდაც ჩვენი თავის წინაშე. მაშინ ყოველგვარი ადამიანური შეცდომა გვეპატიება. თუ შენ გაბარია სასწორი სამართლისა (თუნდაც ამ სამართლის პატარა უბანი), პირადულსა და საზოგადოებრივ ინტერესებს ერთმანეთისაგან ნუ გაყოფ. ერთნაირად სამართლიანად მოიქეცი შენ, შენს ოჯახში და საზოგადოებრივ პოსტრეტც. რა პატოსონება და სამართლიანობასაც სხოვ სხვას, იგი. უპირვილეს ყოვლისა, მისთვისვე შენს თავს ჯერ შენს სულში ჩაიხიბდე, რამდენად პატოსნად და სამართლიანად იქცევი და მერც განსჯი სხვა. ნუ დავაიწოდებ, რომ საქვეყნო ინტერესები შენსა და შენს ოჯახურ ინტერესებზე მაღლა დგასო.

აი, ასე ეხმინება „მოსამართლე“ ჩვენს დღევანდელ ყოფასა და სულისკეთებას. ასე ეხმინებთან გ. ხუხუაშვილის სხვა პიესებშიც ჩვენი ცხოვრების საღირბოროტო, პრობლემატური საკითხებს. ამიტომაც გამოსცემენ ისინი ექვს მაყურებელთა გულში.

გიორგი ხუხუაშვილმა თავისი ცხოვრების ორმოცდაათი წლის ზღურბოზე გადაბეჭა. შემოქმედი ადამიანისთვის მასს შუადღესაც ეძახიან. რა მოიტანა მისი სიცოცხლის ელმავალში იმ სადაურზე „ნი წილი“ რომ ჰქვია? მე თუ მითხრავენ, საქმოდ მივადარი და მრავალფეროვანი რკინით. იქნებ ცოცხა გაბნეული იყოს მისი ნაჭირნახულები. მაგრამ თუ თავს მოვეუყრით, ამ ზეგს შორიდანაც კარგად დანინახვს კაცი.

აი, ზოგი რამე:
ხატვა უყვარს — ფანჭრითაც და ფუნჯითაც. ხატავს თავისთვის, მარამ ზოგჯერ მეგობარს, ახლობლოს თუ სტუმარსაც მიუძღვნის საჩუქრად. როგორც თავისი სულის ფერთა განსხეულობოვლ ნაწილს, ნიშნად გულითადი მადლიერებისა.

ყველა ჟურნალ-გაზეთი სიამოვნებით ბეჭდავს გ. ხუხუაშვილის ლიტერატურულ წერილს, თეატრალურ რეცენზიას თუ სადისკუსიო სტატეას. იგი ჰაიპარად არაფერს წერს, კალამს მხოლოდ მაშინ კიდებს ხელს, როცა რაიმე ცხოვრებისეული პრობლემის წამოჭრა სწადია, ან — განსჯა. მის ნაფიქრ-ნაზარეს იქნებ ყოველთვის არ დაეთანხმეთ, მაგრამ ზერელობას კი ვერ დასწამებთ, შეუძლებელია საინტერესოდ არ მიიჩნიოთ. მხოლოდ მშრალი მეცნიერ-

რული კატეგორიებით არასოდეს მხველობს ყველა მოვლენისადმი, უპირველეს ყოვლისა, თავის ემოციურ დამოკიდებულებას გვიშვავნებს (ხშირად პოეტურსაც) და ეს მისი ემოციური დამოკიდებულება მკითხველსაც გადაედება უშავლევ.

გ. ხუხუაშვილი არასოდეს მინახავს რაიმე ნივთით ალტაცებული, მავანი და მავანი მწერლის ლექსით, მოთხრობით, რომანით და პიესით მოხიბლული კი — ბევრჯერ. ვინ მოთვლის, რამდენი ქართული მწერალი გაუხარებია თავისი ალერსიანი სიტყვით. კარგის დანახვის უნარი მისი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. მისთვის ბედნიერების მომტანია მხოლოდ ქეშმარიტი შემოქმედება. სხვისი წარმატებებით აღფრთოვანებული უფრო ხშირად მინახვს. ვიღაც — საკუთარი, თუმცა, ამ ოციოდე წელიწადში სხვებზე ნაკლები წარმატებანი როდი რგებია წილად.

გ. ხუხუაშვილის პიესებმა კარგა ხანია კავკასიონის ქედი გადაიარა და ახლა თანდათან შორს და შორს მიაბიჭებენ. ასევე მოგზაურობენ ის კინოფილმები, რომელთა სცენარიც გ. ხუხუაშვილმა შექმნა.

აქვე მახსენდება შალვა დადიანის ასი წლის თავის იუბილე. დარბაზი გადაღალა ორატორთა სიმრავლემ და სწორედ ამ დროს მისცეს სიტყვა გიორგი ხუხუაშვილს. მშველად დადგა იგი ტრიბუნასთან და... მისი ორატორული ცეცხლით გამობარ-მოხიბლული დარბაზი დიდხანს უტარავდა ტაშს. ეს შემთხვევითი ამბავი არ იყო.

ერთი უშუქიც ადგას მის ნაწარმოებებს — ადამიანის სიყვარული. გ. ხუხუაშვილი ადამიანის სულში ეძიებს ავსაც და კარგაც, მაგრამ მხოლოდ სიყვარულით, რომ უფრო შეაყვაროს ადამიანს ადამიანი თავისი სიფ-კარგით, და აფიქროს ადამიანი ადამიანის ავ-კარგზე, რომ იგი უჩუთისი გახდეს.

სამწერლო ასპარეზო კრიტიკული წერილებით დაიწყო, ზოგჯერ პოეზიასაც თარგმნიდა, ახლა კი სულ სხვა ხვავი და ბარაქა უდგას კოლოზე.

აი, ამ გულით და ამ სიმდიდრით მიადგა იგი იმ სადგურს, „ირმოცდათი წელი“ რომ ჰქვია.

3
-ს
27
1900
ინტე
ს. ძიფ

ოცდაათი წელი თოჯინების თეატრში

თოჯინების სახელმწიფო ქართულ თეატრში ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების ნაკლებობამ განაპირობა თეატრის დირექციის მოთხოვნა, რაც ითვალისწინებდა თოჯინათ მათამაშებელ მსახიობების აღზრდას. ამის გამო იყო, რომ 1970 წელს რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტთან შეიქმნა ჯგუფი თოჯინების თეატრის მსახიობთა სპეციალობით.

თეატრალური ინსტიტუტის რექტორატის მიერ თოჯინების თეატრის მსახიობის ოსტატობის პედაგოგად მოწვეულ იქნა საქართველოს დამსახურებული არტისტი, თოჯინების თეატრების საკავშირო ფესტივალის ლაურეატი შოთა ცუცქერიძე.

შოთა ცუცქერიძე თეატრალური ხელოვნებით ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს იყო გატაცებული. ხშირად მონაწილეობდა სასკოლო წარმოდგენებში. წარმოდგენდნენ პატარა-პატარა სცენებს. ერთ-ერთი წარმოდგენისათვის მოსწავლე-მსახიობი ამზადებს თოჯინას. თოჯინის სახის დასამზადებლად იყენებს ორშიშო კვანძს. ორშიშო კვანძს მისცა სახის ფორმა: ამოჭრა თვალი, პირი, მიაწება სატირულ უურნალიდან ამოჭრილი უღვაშები, ჩამოაცვა მუთაქას, დააფარა ქუდი და მიიღო მეტად საინტერესო თოჯინა — ბიტლერი. მოსწავლე მსახიობის მიერ დამზადებულ და ქმედობაში მოყვანილ მის პირველ თოჯინას, მოზარდ მაყურებლებში ანტიფაშისტური განწყობილების შექმნის ძალა აღმოაჩნდა.

შ. ცუცქერიძის პირველი ნათლობა თეატრის სცენაზე შედგა 1945 წელს, ქიათურის სახელმწიფო თეატრში, მან ვანიას როლი შეასრულა კ. სიმონოვის პიესაში „ახეც იქნება“. 1946 წლიდან შ. ცუცქერიძე თოჯინების ქართული თეატრის მსახიობია და ერთგულად და თავდადებით ემსახურება ნორჩი მაყურებლის აღზრდის კეთილშობილ საქმეს.



როდელია პატარა მაყურებლის ყურადღების მიპყრობა პირობითი სამყაროსადმი. პირობითი სამყაროს სრულყოფით წარმოდგენისათვის თეატრიდან მოქმედი მსახიობი უნდა ფლობდეს სინთეზური სასცენო ხელოვნების ყველა ელემენტს, თოჯინების თეატრის თავისებურების გათვალისწინებით. შ. ცუცქერიძის თოჯინის მათამაშებელი, თეატრის ამოფარებული ხელი პოეტური შემოქმედების ძალითაა აღჭურვილი. მსახიობის ხელის გამომსახველობით შეპყრობილი და დატყვევებული ბავშვი, ფართოდ გახილი თვალებით შეუცნობლად ენაირება თეატრალურ ხელოვნებას. მსახიობი არა მარტო ფლობს თოჯინის ტარების ტექნიკას, არამედ დაუფლებულია დრამატული თეატრის მსახიობის ოსტატობას, გარდასახვის ხელოვნებას და ძალა შესწევს გვიჩვენოს მხატვრული სახე მის განვითარებაში. შ. ცუცქერიძის მიერ შესრულებული, 80-მდე როლი გამოირჩევა პირობითი კოლორიტულობით, მრავალფეროვნებით და მრავალსახიერებით. არ შეიძლება არ გავიხსენოთ უაღრესად ნატყვად ჩამოქნილი მხატვრული სახეები: სულთანი („ალადინის ჯადოსნური ლამპარი“), მელა („დაიყოფენ მამალო“), მღვდელი („დიდი ივანე“), მზეკაბუკი („მზეკაბუკი“), პეტრიკლა („ორი ქოსატყუილა“), უსიში („ალიბაბა და უჩაღლები“)... მის მიერ დადგმული სპექტაკლები: ლ. კოპაძის „ყოჩაღ ზღარბო“, გ. ლინდაუს „ფიფქას სკოლა“, ნ. გერენტიხის, ტ. გურევიჩის „ბატის ჭუკი“, ე. სერანს



კის „უჩვეულო შეგებრება“, ს. მინალოვის „სანი გოი“ და სხვა, შემოქმედებითად აძლიერებს თეატრს და გამოირჩევა მხატვრული განხორციელების მთლიანობით, შეკრული კომპოზიციით, კულტურით, მაღალი პროფესიულობით.

დღეს ცუცქირიძე ათეულ წლების მანძილზე მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას გულუხვად გადასცემს მომავალ მსახიობებს. თეატრალურ ინსტიტუტში ემსახურება თოჯინების თეატრის მსახიობთა ახალი თაობის აღზრდას. პროფესიული ოსტატობით, მხატვრული ალღოთი ავლენს სტუდენტის შემოქმედებით შესაძლებლობას. ლექცია-რეპეტიციავზე იზრდება პედაგოგის მოთხოვნილება სტუდენტის მიმართ, რითაც ის ეხმარება მომავალ მსახიობს სრულყოფით დაუფლოს გამომსახველობით საშუალებებს, თოჯინის ქმედითად წარმართვის რთულ ტექნიკას, გარდასხვის ხელოვნებას, რაც ხვალინდელი თოჯინების ქართული თეატრის შემდგომი განვითარების აუცილებელი და გარდევალ პირობას წარმოადგენს.

შოთა ცუცქირიძემ თოჯინების თეატრის მსახიობის ოსტატობის სწავლებას საფუძვლად დაუდო დრამატული თეატრის მსახიობის ოსტატობის პროგრამა პირველ და მეორე კურსისათვის. პირველი ორი წლის განმავლობაში მსახიობის ოსტატობის ლექცია-ვარჯიშებზე სტუდენტს ეუფლება მსახიობის ოსტატობის ელემენტებს, მსახიობის შინაგან ტექნიკას და, ამასთან ერთად, ინსტრუმენტის — თოჯინის გარეგულ მოქმედებას ეცნობინა. ამგვარად, სამსახიობო ოსტატობის და სცენური მოქმედების კანონები, შეთვისებული სტუდენტის მიერ მსახიობის ოსტატობის ლექციებზე, განმეორებით მუშავდება თოჯინებით საწვრთნელ ვარჯიშებზე. მესამე კურსიდან სტუდენტები ითვისებენ მსახიობის ოსტატობის საფუძვლებს, როლზე მუშაობის მეთოდს და ორთავე დისციპლინა საბოლოოდ ერწყმის ერთმანეთს, ერთიან კომპლექსში გვევლინება, როგორც თოჯინების თეატრის მსახიობის ოსტატობა.

შოთა ცუცქირიძის პედაგოგიური მოღვაწეობა გამოირჩევა მიზანმიწრაფებული და თავდადებული შრომით. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პედაგოგიურ მუშაობაში იდეურ-აღზრდელობით მხარეს, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მაღალკვალიფიკაციის მეთოკინე მსახიობთა მომზადების საქმეს. ჭგუფის ხელმძღვანელები შოთა ცუცქირიძე და რეჟისორი გვი სარჩიმელიძე სტუდენტებთან ერთად, სცენური ფორმებისა და გამომსახველი საშუალებების სიახლეთა მუდმივ ძიებაში არიან. ძიება რთულ და დატვირთვით შრომას მოითხოვს. მეთოკინე მსახიობი-სტუდენტები მათ ხელ-

მძღვანელობით ითვისებენ და ქმნიან მხატვრულ სახეს თეატრალური თოჯინით. ყოველ ლექცია-ვარჯიშ რეპეტიცია საკუროს თუ საღიბლომო სპექტაკლის საშუალებით, რაც საგამოცდო პერიოდში კოპებს მხატვრულ მთლიანობაში ხორცშესხმას. დაუცხრომელი ღროლვა თოჯინის მათამაშებელი მსახიობის ოსტატობის დაუფლებისაკენ პედაგოგის და სტუდენტების ერთობლივი შრომის ნაყოფიერებაზე მეტყველებს. მსახიობის ოსტატობაში თოჯინებით გამოსულ სტუდენტების ვარჯიში თუ წარმოდგენები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევენ თეატრალურ ინსტიტუტში. თოჯინების ჭგუფმა თავის არსებობის მცირე მანძილზე პირველი ნაბიჯებიდანვე წარმატებები მოიპოვა. აუკარა, რომ მსახიობის ოსტატობის კათედრა (კათედრის გამგე პროფ. მის. თუმანიშვილი), სწორად წარმართავს ამ ჭგუფის მუშაობას.

იზრდება სტუდენტ-მეთოკინეთა მხატვრული დიაპაზონი, რამაც უნდა უზრუნველყოს თეატრალური ინსტიტუტის მიერ თოჯინების თეატრისათვის თოჯინის ტარების სრულყოფით დაუფლებული მოქალაქე-მსახიობის აღზრდა, რომელთაც დაეკისრებათ განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანონ ქართული თოჯინების თეატრის ხელოვნება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ თოჯინების თეატრები სპექტაკლებს ნორჩი მაყურებლებისათვის ქმნიან და მით ხელს უწყობენ ნორჩი თაობის ჩანსად ესთეტიკურ მისწრაფებათა აღძვრას.

თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა, შ. ცუცქირიძის ხელმძღვანელობით, ათვისებს თოჯინების ქართული თეატრის მხატვრული გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ჭგუფის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში მომზადებული სპექტაკლი „ბატის ქუჩი“ აშევენებს თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის რეპერტუარს.

შ. ცუცქირიძე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში ჩაბმას. მისი ხელმძღვანელობით 1975 წელს სტუდენტ მ. მიქაელაძის შრომამ „თოჯინების თეატრის ზოგიერთი თავისებურებანი“ სტუდენტთა III რესპუბლიკურ კონფერენციავზე პირველი პრემია მოიპოვა, ხოლო 1975 წელს სტუდენტ დ. ნაკაიძის შრომა „მეთოკინე მსახიობის ხელი“ სტუდენტთა I რესპუბლიკურ კონფერენციავზე I პრემიით აღინიშნა და წარადგენილია სტუდენტთა საკავშირო კონკურსზე.

შ. ცუცქირიძე დაბადების 50 და შემოქმედების 30 წლისთავს ახალგაზრდული მხნეობით, ახალ მხატვრულ შინაფიქრთა განხორციელებასკენ დაუცხრომელი მისწრაფებით ეგებება.



ვანო გურგენის გავფშობა

პართლის გული — გორი ბენდირ ვარსკვლავზე დაარსებული ძველი ქალაქია, მის ნაყოფიერ მიწაზე აიდაც ფეხი მრავალმა გამოჩენილმა მოღვაწემ, რომლებმაც საყოველთაო აღიარება და დიდება მოიპოვეს. ერთ-ერთი იმათაგანია ცნობილი კომპოზიტორი ვანო გურგენი. სამწუხაროდ, ამ მეტად ნიჭიერი ხელოვანის ბავშვობისა და ყრობის წლებზე დღემდე ქართულად არაფერი დაწერილა. ამ მოგონებით მე მინდა ნაწილობრივ გამოვასწორო ეს ხარვეზი.

1905 წლის 6 აპრილს მურადაშვილების ოჯახში დაბადებულა ბავშვი, რომლისათვისაც ვანო დაურქმევიათ.

მამას — ილია პეტრეს ძეს, დაბადებულს პატარა გარეჯარში (გორის რაიონი), წერაკითხვა სოფლის მღვდლისაგან უსწავლია. ილია მეტად ნიჭიერი ყოფილა, თითქმის ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“, უმარავი ზღაპარი. კარგი მოსაუბრე ყოფილა. მისი მქვერმეტყველება მსმენელებს ხიბლავდა.

ვანოს მამის ბუნებრივი ნიჭი საოცრად შეესაბამებოდა მის ლამაზ გარეგნობას: თვალადი, ტანადი, ახოვანი, მართლაც რომ შესანიშნავი ვაჟაკი იყო. ნათესავ-მეგობრები სიამოვნებით ეპატივებოდნენ ილიას, რათა მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით დამტკბარებოდნენ. მისი თამაღობა ხომ ერთ რამედ ღირდა.

ერთი კია, გული ეთანადრებოდა, რომ კლასიკური განათლება არ ჰქონდა, ამიტომაც შვილებს ხშირად აგონებდა: „მე სწავლა-განათლების მიუღებლობამ დამაბრმავა და ხელ-ფეხი შემიკრა. მინდა, თქვენ მაინც ისწავლოთ, რათა ჩემსავით არ ჩამორჩეთ ცხოვრებას“.

და ვანოს მამამ თავის საწადელს მიადწია: მისმა შვილებმა თვლამ მიიღო განათლება, ზოგმა საშუალო, ზოგმა უმაღლესი, ვანოს და ევეგენია გამსახურდია საქ. სსრ დამახორებული მასწავლებელია.

ვანოს მამა რევოლუციური მოძრაობის ერთი აქტიური მონაწილე გახლდა. მისი სარდაფში იმყოფებოდა იატაკვეშელთა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ფარულად პროკლამაციები, ლოზუნგები, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული სხვა ლიტერატურა. რის გამოც ილია არაერთხელ ყოფილა დამატირებული და გადასახლებული. რევოლუციური მოღვაწეობისათვის ილია პეტრეს ძე გარდაცვალებამდე (1914 წლის 10 მარტამდე) დეზულობდა პერსონალურ პენსიას.

დედა — ელენე ზაქარიას ასული მეფრიშვილი (წარმოშობით ახალქალაქიდან, კასპის რაიონი), — სათნო, მეტად კეთილი ქალი იყო. ამავე დროს ამბის კარგი მოყოლაც იცოდა. წერდა კიდეც. ოჯახს დედის სამახსოვროდ შემონახული აქვს მის მიერ დაწერილი ზღაპრები, რომელთა კითხვა ვანოს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ვანოს მშობლები მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული. გიტარისა და მანდოლინის თანხლებით სიმღერების შესრულება ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ ოჯახში. დედის ტკბილი იავენა მსმენელთ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. უკვე აღიარებული კომპოზიტორი ვ. გურგენი ასე იგონებს ოჯახში გატარებულ წლებს:

„ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წუთებზე მიმანერა ის წუნარი საღამოები, როცა მშობლები გვერდით მოგვიჯდებოდნენ და მღეროდნენ ჩვესთვის, შვილებისათვის, მღეროდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, გლეხურსა და ქალაქურს, — გავრცელებულს ჩვენს მხარეში, მღეროდნენ იატაკვეშელ-რევოლუციურ სიმღერებსაც — „ვარშავიანკას“, „მარსელიოზას“, „დატანული ვარ მწარე მონობით“, „ყოჩაღად, ამხანაგებო, ფეხი აუწყეთ ერთმანეთს“, „მზე ამოღის და ჩაღის“.

ქართულ ხალხურ მანგებს შორის ჩვენს ოჯახში ყველაზე მეტად გვიყვარდა სიმღერები, რომელსაც მღეროდნენ მინდორში მუშაობისას, ჩვენს მშობლიურ სოფელში — ეს იყო „მროველი“, „მუთწიფი“, „აურმელი“.

ჩვენს ოჯახურ „რეპერტუარში“ ბევრი იყო ლირიკული სიმღერები — ქართული, სომხური, აზერბაიჯანული. მამა განსაკუთრებული სიყვარულით ეტყვიდა საათნოვას სიმღერებს. კიდევ ერთი საყვარელი სუფრული სიმღერა იყო, რომელსაც განსაკუთრებით მღეროდნენ საზეიმო მაგიდაზე. ეს იყო „ისევ და ისევ ღვინითა“. როგორც სათაურიდან ჩანს, ბავშვთა აუდიტორიისათვის არც თუ ისე შესაფერი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც გვიყვარდა, როგორც სხარულის მინი“.

მუსიკის სიყვარული შვილებსაც გადაეღო.



ყველ საღამოს მათ ოჯახში შინაური კონცერტი იმართებოდა, რომლებშიც მეტნაკლებად ოჯახის ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას. აქ გამოჩნდა, რომ შვილებსაც კარგი ხმა და შესანიშნავი სმენა დაჰყვათ. მეზობლებსა და ნათესავებს მოუხაროდათ ამ ოჯახისაკენ, სადაც გულლია და მხიარული მასპინძლები ეგულეობოდათ.

პატარა ვანო ხშირი სტუმარი ყოფილა ბიძის (მამის მხრივ), რომელსაც გრამფონი და ფირფიტები ჰქონია, ვანო გატაცებით უსმენდა სხვადასხვა მელოდიებს, მერე შინ დაბრუნებული თავისთვის ღლიზინებდა, ანდა მადლოინახე უქრავდა.

დაუცხრომელი და მოუსვენარი ბავშვი ყოფილა. მის ცელქობას სასლვარი არ ჰქონია. სწორედ ამიტომაც ერთხელ ვანოს მამას მეუღლისათვის უთქვამს: „ამ ჩვენს ვანოს უცნაური ხასიათი აქვს, ან სულ მღვრის და უქრავს, ან გარეთ მეზობლებს ფანჯრებს უმტვრევს.. მოდი, თბილისში წავიყვანათ, გამოართულს გავსინჯოთ, მეტის შეტეა ონავარიო“.

დედა ბევრს ედგა მეუღლეს, ჩვენს შვილს ექიმი რად უნდაო, მაგრამ მეუღლის სიჯიუტე ვერ გაუტეხია და 11 წლის ვანო თბილისში გამოართლისათვის მიუვგარიო.

ფერდაკარული მშობლების თანდასწრებით გაუსინჯია გამოართულს ვანო. შემდეგ საუბარი გაუბამა ბავშვთან ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, არითმეტიკაზე. ვანოს დაკვირვებული პასუხებით ექიმი კმაყოფილი დარჩენილა. ბავშვი დერეფანში გაუშვია და მშობლები გაუციხია: „მოგონი თქვენა ხართ მოჩვენებებით შეუპრობილი. ასეთი ნიჭიერი ბავშვი დღეი ხანია არ გამოიწვია, გაუფრთხილდით, მისგან კარგი კაცი დადგებოდა“. შემდეგში ექიმის წინასწარმეტყველებას ხშირად იგონებდნენ მშობლები, როდესაც ვანო სახელოვანი კაცი დადგა.

1920 წლის 20 თებერვალს გორს დიდი სტიქიური უბედურება დაატყდა. ეს იყო მიწისძვრა, რომლის მსგავსი არ ახსოვს გორის ისტორიას. ქალაქის ერთ მესამედზე მეტი დაინგრა. ბევრი ადამიანი დაიღუპა, ბევრიც მძიმედ დაშავდა. მნიშვნელოვნად დაზიანდა გორის ციხის კედლები — ძველი საქართველოს სიმბოციონა და უძლველოობის ძეგლი. შემინებული და თავზარდაცემული ხალხი გაიხიზნა სოფლებში, თბილისში, დაიხურა სკოლები. შეწყდა გორის მკისცემა.

ვისაც ბუნების ეს საშინელი მოვლენა — მიწისძვრა განუტყდა, არასოდეს დაავიწყდება.

მე ზოგჯერ დღესაც მესმის განწირული ხალხის თავზარდაცემი ყვირილი. თვალწინ მიდგას დედა, რომელმაც გულში ჩამიკრა და სხეულით ზედ გადამეფარა, რომ სიკვდილისაკან გადავირჩინე...

ყველა გორელმა დიდად განიცადა ეს ტრაგედია, გამოხალისის, რა თქმა უნდა, არც შეუძლია იყო. მასზე იმდენად უმოქმედია სწორი მხარე რომ მიწისძვრის მეორე დღეს გორის ციხისთვის ვის ასეთი სტრიქონები მიუძღვნია: გ ძნეოგი დაბინდულ თვალებს, ნ მომეც მამამს ავსებს, ნ ინფემი ციხე ნაშთებით, ბოტ. ეამ გულით მდღუძარე, ნ მომეც ბედით მწუხარე, ნ თელძეშ დამსხვრეულ ქვეებით... კი ინტეჯ

ამავე პერიოდში პოემაც კი დაუწერია „ღამე გრეული გორი“, რომლის ტექსტიც, საწუთნის როდ, არ შემორჩენილა.

მისი პოეტური ნიჭი ამაზე არ შეიგრძნობა. 1922 წელს გაზაფხულზე მარტის თვეში დასწრე მოწყობილ დიდ მიტინგზე წაუკითხავს სახელდახელოდ დაწერილი ლექსი „ვინ არის ჩვენი“ (ამ ლექსის ტექსტი ინახება ვანოს დასწრე ევგენია გამსახურდიასთან).

იმ დროს გორში მუსიკალური სკოლა არ იყო, არც პაინინო ჰქონდათ ოჯახში, ამიტომაც მასზე დაკვრა ვანო მოვლიანობით იმსჯელებს მუსიკის მასწავლებლები იშვიათი მოვლენა იყო და თუ იყვნენ ისინი უფრო შეძლებულნი იქნებოდნენ ბავშვებს ასწავლიდნენ.

ვანოს ოჯახში პაინინოზე დაკვრას უცხოისი და თენია (ევგენია) სწავლობდა. როგორც ევგენიამ პირად საუბარში გადამოცა, მან თავის უფროს მძას ახალბადის კინო-დარბაზში ნაწერად დაწვრიულ როიალზე ასწავლა სიმები ადრე კი ამავე როიალზე ვანო სმენით უკრავდა და კინოდარბაზის დირექტორის ნებართვით სამაგიეროდ, მხატვრობის ნიჭით დაკვირვებული ვანო აფიშებს და პლაკატებს უკრავდა. მუწკი ფლემების ჩვენების დროს დირექტორის თხოვნით ვანო უქრავდა. ამ ყოველიღობრმა იმპროვიზაციამ დიდად შეუწყო ხელი ვანოს მუსიკალურ განვითარებას. აღმწამ აწიშ უნდა აიხსნას, რომ მას ჭერ კიდევ საშუალო განათლება არ ჰქონდა, რომ უკვე მუსიკის სწერდა.

პატარა ვანოს ძალიან უყვარდა კინოსტუდოები და მშობლების ნებართვით დღეის სტუდოებში დადიოდა. ერთხელ ჩვეული ტრადიციულადარღვია და შინ გვიან, ღამით დაბრუნდა. სახლის კარი დეკტილი დახვდა, მამამ ფიფიყვბობისათვის გადაწყვიტა შვილის დასწრე დედა ვანო არ დაბნეულა, გახსენებია, ურწმუნოდ დღეს დედამ პუკი გამოაცხო, ჩასულა. ისტორიეში და ღამე ბუკი გაუთენებია. ენ იტყდ დილას, ბევრი ძენის შემდეგ, შემეგნებულმა მშობლებმა თონეში იპოვეს მძინარე ვანო. მცარში ამოგანგულთი. ეგ რატ ვანოს სხვა ამგვარი სიცელქე ბევრამაჩულე.



ნია, რის გამოც მამა საქმად მკაცრად სჭიდა. „მე ვუმაღლი მამას, რომ მკაცრად მეტყუოდა, თორემ შეიძლება ჩემს ბუნებას არასასურველ შედეგამდე მივყვანე“, — მოგვინებით იგონებს ვანო.

ვანოს მამა ძალიან უყვარდა და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი აქვს 10 სიმღერა, რომელსაც „გორული სიმღერები“ უწოდებდა.

ვანო ბუნებით მეტად კეთილი იყო, ერთ ზაფხულს 15 წლის ბიჭი სოფელ პატარა გარეჯარში ისვენებდა. მას უყვარდა დედულეითი და როცა კი ჩავიდოდა, სოფლის საქმიანობაში დაუზარელად მონაწილეობდა.

ერთხელ დედას სთხოვა: დედა, შენი ქირიმე, ზვალისათვის მ ბიჭის სამყოფი საქმელი მომიზადეო — თან უფხრა საიდუმლოდ: დედა, ხომ იცო, დეიდა კუქნელია ქვრივი, მარტოხელა ქალია, საბარალო მეზობლებს შეხრიოდა, გამოხრდა სიმინდი, არავინა შეავს გავთხინიო, არც ფული გამაჩნია მუშების დასაქირავებლადო. იმ ქალს მინდა დავებმაროთ და ზეალ „მამითადი“ გავჩალოთ. ქვრივი ქალისადმი ქომავლობა დედამ ძალიან მოუწონა და შეპირდა, ყველაფერს მოგიმზადებო.

ვანოს მოწყობილ მამითადის ამბავი გახმაურდა და მიმამკველებიც გამოუჩნდნენ.

ვანოს ძალიან უყვარდა მდინარე ლიახვი, იქ თევზაობა, ბანაობა. სადაც დიდი მორევი იყო, იქ გადაუშვებოდა. ეს სიყვარული წელისადმი დიდხანს შემორჩა და მე ძალიან კარგად მახსოვს (თუმც ჩემზე უფროსი იყო) და ახლაც თვალწინ მიდგას, თითქმის ყოველდღე ჩემი სახლის ფანჯრების წინ სიმღერით ლიახვისაკენ საბანაოდ მიმავალი ლამაზი, ტანშოლოტილი ახელგაზრდა.

ერთხელაც ლიახვზე წავიდა ბიჭებთან ერთად საბანაოდ. იქ დიდხანს შემორჩნენ. შუადღისას ამინდი შეიცვალა, ატყდა ქექა-ქუხილი, დაუსვა კოკისპირული წვიმა. ძეგამ ალექსანდრემ და მისი ბავშვობის მეგობარმა 10 წლის ვანო ურჭუმელაშვილმა (მწერალმა) ხეს შეაფარეს თავი, ვანო კი თბირილში ჩაწოლილა და დანარჩენებსაც ახსვე ურჩევდა თურმე. უცებ დაიქექა და მები დავიკა იმ ხეს, რომლის ქვეშ იდგნენ ალექსანდრე და პატარა ვანო ურჭუმელაშვილი, ალექსანდრემ თბირილსაკენ გაქცევა მოასწრო, ვანო კი უგონოდ დავიკა. ცეცხლწაიდებულნი გე გივსივებდა. ბიჭები არ დახეულან, სახელდახელოდ გაუთბრიათ მიწა. შივ ჩაუფლიათ პატარა ვანო, გაუტოებიათ მასაჟი, შემდეგ ხის ტოტებისაგან შეუქრავთ საკაცე, დაუწვევიათ და სასწრაფოდ წაუყვანიათ სახლში. მიეთე უბანი ფეხზე დამდგარა და პატარა ვანო ურჭუმელაშვილი სიკვდილისაკენ დაუხსნიათ.

ვანო მურადელი მეტად ნიჭიერი კეთილმისწობელი და გაკეთილიც მზად მკობდა. ამიტომ, როცა ბეჭითად მეცადინე დასწყისს დაინახავდა „ზუმბრაიკებს“ ეძახდა.

ვანო ყოველთვის დარწმუნებული იყო თავის ცოდნაში და უსამართლოდ თავის დანაგვრას არავის შეარჩენდა.

ერთხელ ალგებრასა და გეომეტრიაში მასწავლებელს ოთხიანი დაეწერა მისთვის. ცხარე ცრემლებით ტირიდა ვანო და დედას ემუდარებოდა სკოლის დირექტორთან მისულიყო, კომისია გამოეხიზოვა და ვანო მათ დაუმტკიცებდა თავის სიმართლეს — რა თქმა უნდა, დედამ არ შეუსრულა შვილს თხოვნა, რადგან მასწავლებლის მოქმედება მიიჩნია სამართლიანად. მაგრამ ვანომ მაინც თავისი გაიტანა: ამხანაგის მამას დაწერინა განცხადება საქართველოს განათლების კომისარიატის სახელზე. ერთი კვირის შემდეგ ჩამოვიდა განათლების კომისარიატის წარმომადგენელი და ვანო უკვლას თანდასწრებით გამოცადეს. „ნაზე მაღალი ნიშანი რომ იყო, ამ კარგ ბიჭს დაეწერებოდაო“-ო, უთქვამს განათლების კომისარიატის წარმომადგენელს.

მუდამ მოწინავეთა შორის! ასეთი იყო მისი მოწოდება და ამ რწმენის ერთგული დარჩა სიკვდილამდე.

თვდავიწყებთ უყვარდა ვანოს თეატრი და კიდევაც იღებდა მონაწილეობას სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ სპექტაკლებში: ვინ მოსთვლის, ამისაგან რამდენჯერ მწარედ მოხვედრია ამის გამო, რომ ის მაინც თავისას არ იშლიდა. ეს გატაცება მისთვის წმიდათაწმიდა იყო.

ვანო მეტად მგრძობიერი ყმაწვილი იყო. სკოლის ამხანაგებთან დიდი მეგობრობა ჰქონდა. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ, ამხანაგები, ერთად აშალებდნენ გაკეთილებს, საუბრობდნენ, კამათობდნენ.

ძალიან უყვარდა თავისი ამხანაგები, განსაკუთრებით მომავალი კომპოზიტორი ალექსი მაკავარიანი, მომავალი აკადემიკოსი ილო გვერწითელი, ვახტანგ ციხისთავი. ძმები რიაუხოვები და სხვ.

1925 წლის ზაფხულზე 17 წლის ვანო მურადელმა დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და იმავე წლის ზაფხულში გაემგზავრა თბილისში, რათა შესულიყო მუსიკალურ სასწავლებელში ფორტეპიანოს განხრით. თავისი განხრახვა სისრულეში მოიყვანა. აქ თავდება მისი ბავშვობისა და ყრმობის პირველი პერიოდი და იწყება ახალი, რომელსაც საწუკარი ოცნების განხორციელების დიადი გზა ჰქვია.



შეხვედრა მსახიობის სახლში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ყოველდღიურად ზრუნავს ხალხთა ინტერნაციონალური სულიკვებით აღზრდისათვის.

თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია. მკიდრო მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებთ ჩვენს დედაქალაქში მცხოვრებ მრავალი ეროვნების წარმომადგენლებს. ერთმანეთის მხარდახმარ, თანხმარ პირობებში ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები, რუსები, სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, ქურთები და ჩვენი ქვეყნის სხვა ერების წარმომადგენლები. ამ ერთიანობაში იქედება და მტკიცდება ხალხთა ძმური მეგობრობა. ძლიერია ინტერნაციონალური მეგობრობის ძალა, ამიტომაც ყოველი ერის წარმომადგენელი პატივს სცემს მომე ერის ენას, ლიტერატურას, ხელოვნებასა და თვითმოქმედებას.

ხალხთა ინტერნაციონალური თანამეგობრობის ნათელი გამოვლინება იყო საღამო, რომელიც მიეძღვნა ქურთულ პოეზიასა და მხატვრულ თვითმოქმედებას.

ქურთი ხალხის წარმომადგენლებთან შეხვედრა ტრადიციად იქცა აქ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. ამჟერად კი საღამო მოაწყო საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა და საქართველოს ალექს თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა ქურთ ახალგაზრდობასთან მუშაობის საბჭომ (ხელმძღვანელი შამილ ნადიროვი).

ფოიეში გამოფენილი იყო ქურთი მწერლების წიგნები, ქურთული ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო საგნები.

საღამო გახსნა და ხალხმრავალ აუდიტორიას მიესალმა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ბ. კობახიძე, შემდეგ სცენა დაეთმო ტბილისში მცხოვრებ ცნობილ ქურთ პოეტებს. აუდიტორიის წინაშე პირველი წარსდგა პოეტი აზიზე ისკო, რომელმაც ჭერ ილაპარაკა ქურთულ პოეზიაზე და შემდეგ წაიკითხა საკუთარი ლექსები. საკუთარი ლექსები წაიკითხეს აგრეთვე პოეტებმა ჯარდოე ასაღმა, ბახჩოე ისკომ და ახალგაზრდა პოეტმა სურენ იზანმა, რომელიც ლექსებს, მშობლიური ენის გარდა, რუსულ ენაზეც წერს.

საღამოში მონაწილეობა მიიღო სომხეთიდან ჩამოსულმა ქურთმა სტუმრებმა ქიმიურ მეცნიერებთა კანდიდატმა ტოსენ რაშიდმა და პედაგოგმა თემურ მურადოვმა. შემდეგ სცენა დაამშვენა წოთელუელსახვევიან პიონერებმა 7-9-ე რუსული სკოლის მოსწავლეებმა ქურთი პოეტის ლექსებზე მომზადებული მონტაჟით. პიონერები შეცვალეს კულტურის პროფკავშირის სასახლის ქურთული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობებმა (ხელმძღვანელი რაშივი შიკო), რომლებმაც მალა-მხატვრულად წარმოადგინეს ძველი ქურთული ცეკვები — „გოვანტა“, „ადლე“, „ლაჩი“, „იოხნარე“, „შეიხანი“ და სხვ.

სიმღერის ანსამბლმა შეასრულა ხალხური სიმღერები: „ოპ, საყვარელო“, „მღერის გული“ და სახუმარო სიმღერა „სიდერი და სიძე“ აგრეთვე ნაწევრები ქურთი დრამატურგების პიესებიდან.

ვაკრობის კულტურის სახლთან არსებულმა ქურთული ცეკვებისა და სიმღერების ახალგაზრდულმა ანსამბლმა „გათიანმა“ (ხელმძღვანელი ქორეოგრაფი მურაზ ბროიანი) შესაბამისად შეასრულა ქურთული ცეკვები და სიმღერები — „რატომ სტირის ჩემი გული“, „ჩემო ღამაშო გოგონა“, „შავთვალემა“.

საღამოს მხატვრული განუფილების დასკვნით ნაწილში თბილისის რკინიგზის სადგურის კულტურის სახლთან არსებულმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „დღანმა“ შეასრულა ქურთულ ეროვნულ სიმღერების მოტივებზე დამუშავებული მუსიკალური ნიმუშები (ხელმძღვანელი ქაროშ თეოვოვი).

საღამო საინტერესოდ მიჰყავდათ ქურთ ახალგაზრდებს. საღამოზე დაესწრნენ თბილისში სტუმრად მყოფი ლენინგრადელი ეთნოგრაფი ქურთოლოგი ტატიანა არისტოვა და ბაღდადის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შვილი ქურთ ასპირანტი მადელი საიდი.

საღამომ ფართო ინტერესი გამოიწვია და დაგვიტოვა სურვილი, რომ ეს კარგი ტრადიცია კვლავაც გაგრძელდეს.

ნიწო ხელაძე



საქონი ახალ შენობაში

თეატრალური ზუგდიდისათვის 1976 წლის 20 ივლისი საზეიმო დღე იყო. ამ დღეს, ორი წლის შემდეგ, ხარჩოები ჩამოესხნა თეატრის განახლებულ შენობას.

თუმცა კოკისპირულად წვიმა, მაგრამ თეატრის წინ იმდენ ხალხს მოყვარა თავი, გზას ვერ გაიკვდივდი. ჩანს ოდიშის ხალხმა, ზღაპრული ინგურჭესისა და ახალი კერამიკული ქარხნის მშენებლებმა, ჩაისა და ციტრუსების მაღალი მოსავლის ოსტატებმა კარგად იციან კულტურული დასვენების ფასი, თეატრის მაღალი დანიშნულება. მასპინძლებს ამ დღეს უამრავი სტუმრები ჰყავდათ მოწვეული დედაქალაქიდან და ახლო რაიონებიდან.

თეატრის განახლებული შენობის მოლოდინში ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა ბევრი სიმძლელ გადაიტანა, მაგრამ ამ საზეიმო დღეებმა უმაღლესი დავიწყებას მისცა. დადგა ნანატრი წუთი, ფარდა გაიხსნა და საზეიმოდ მორთულ სცენასა და დარბაზში გაისმა მქუხარ ტაში, რითაც დამსწრეები ერთმანეთს განახლებული თეატრის შენობის გახსნას ულოცავდნენ მშენებლებს, მადლობას უძღვნიდნენ.

საზეიმო სხდომა გახსნა ზუგდიდის თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ალ. ეგუტაიამ. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. კობახიძემ გულწრფელად მიულოცა ქ. ზუგდიდის მშრომლებს ეს მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელით დამსწრეთ მიესალმნენ მედეა ჩახავა და ელენე საყვარელიძე; თეატრში აღმაინები ავლენენ თავის საუკეთესო აზრებს და იდელებს, ეს ის ადგილია, სადაც აშენებენ, სადაც უყვარო, სადაც ოცნებობენ, სადაც ზეიმობენ. ზეიმი და ოცნებების განხორციელება არ მოკლებოდათ, — უსურვეს მათ ზუგდიდელ კოლექტებს.

დამსწრეთ თეატრის განახლებული შენობის გახსნა მიულოცეს საქართველოს სსრ კულტურ-

ის სამინისტროს სათეატრო განყოფილების გამგემ ა. შალუტაშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, გამოცემლობა „ხელოვნება“ დირექტორმა ო. ეგაძემ, დრამატურგმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აპარის განყოფილების თავმჯდომარემ ალ. ჩხაიძემ და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ნ. შვანგირაძემ.

ქალაქის ადგილობრივ მკვიდრთაგან თეატრის კოლექტივს მიესალმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. კაკულია და ჯედა ეწერის ჩაის მურყნობის ტექნიკუმის დირექტორი გრ. შონია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების აუზაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ გ. კალანდამ და გავთუ „საბჭოთა აუზაზეთის“ კულტურის განყოფილების გამგემ ევგ. აქუშარდიამ დამსწრეთ მოუთხრეს ზუგდიდის თეატრთან დაკავშირებული თავისი ყრმობის ეპიზოდები, გაუზიარეს პირველი თეატრალური შთაბეჭდილება, პირველი თეატრალური გატაცება.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. გურბანიძემ. მან ილაპარაკა თეატრის მაღალ დანიშნულებაზე. ნ. დანიანის სახელობის ზუგდიდის თეატრის ტრადიციებზე და წარმატება უსურვა კოლექტივს შემდგომ მუშაობაში.

მეორე განყოფილებაში თეატრმა მკურნებელს უჩვენა ნაწვევები თავის ახალი დადგმებიდან — ალ. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“ და რ. თაბუკაშვილის „რაიკობის მდივანიდან“. პირველ წარმოდგენაში ზუგდიდელი მსახიობების რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების ბ. ცომაიას, ს. ძიძიას, პ. წულაიას, შ. მოსიას ალ. როგავას, გურ. წერეთლის და მსახიობების ე. გაბისონიას, ბ. მუჟანაძის, ნ. კობტაშვილთან ერთად მონაწილეობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი კოტე მახარაძე.

მეორე წარმოდგენის პირველ სცენაში ბ. ცომაიას, მ. მოსიას, ს. ძიძიას და პ. წულაიასთან ერთად სიმონ გოდებრელიძის როლს ასრულებდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ედიშერ მაღალაშვილი, მეორე სცენაში კი იმავე როლში წარმატებით გამოვიდა ადგილობრივი მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალ. როგავა, დანარჩენ როლებში გამოვიდნენ რ. ცხადაია, კ. უვანიძე, ნ. ექიანი, ნ. უამუტაშვილი, გ. ტაბუა, გ. ჯვერნიძე, კ. წულაია.

დამსწრე საზოგადოებამ გულთბილი ტაშით დააქილოვდა მთელი კოლექტივი და მოწვეული მსახიობები კ. მახარაძე და ედ. მაღალაშვილი.

დასასრულს შ. დანიანის სახელობის ზუგდიდის თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბრამაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებასა და სტუმრებს.



ნაყოფიერი შრომის ნაშრომ

თუ ვინმე ერთხელ მინც ყოფილა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სოხუმის დასახელებულ სახლში, არ შეიძლება კვლავ იქ დასვენების სურვილი არ გაუნრდეს.

ვარდ-ყვავილნარში ჩამქდარი ორსართულიანი სახლი, რომელიც მხოლოდ 50-55 დამსვენებელს იტევს, ანდამატივით იზიდავს ხალხს. ამიტომაც დამსვენებლებს შორის შეხვედებით არა მარტო საქართველოს თეატრალური ხელოვნების მუშაკებს, არამედ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რიგიდან, ხარკოვიდან, კიევიდან, ტაშენტიდან, მახაჩკალიდან, ვოლგოგრადიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან. ამ პატარა სახლში დამსვენებლებს ჩეხოსლოვაკიიდანაც კი ნახავთ. მოდის უამრავი წერტილები, ითხოვენ საგზურებს...

„თეატრი საყიდიდან იწყებაო!“, — წერდა კ. სტანისლავსკი. თეატრალურ მუშაკთა ამ სახლის ავკარგიანობაც ეზოს ჭიშკარიდან იწყება. ეზოში შესვლისთანავე იგრძნობთ დასვენების კარგ ატმოსფეროს.

ნორა ნიკალაევსა! — ასე ეძახიან დამსვენებლები სახლის დირექტორს. იგი მანქანით საღვრზე დაგზავდებათ აუცილებლად. შემოგაგებებთ მომხიბლავ დიმილს და თავაზიანად გაგიღებთ სახლის კარს. შემდეგ საგზურის გასაფორმებლად ბუღალტერთან კლავდია ხორავასთან და მოლარე ეკატერინე დუპკოვასთან მივიწვევთ, მორჩებით თუ არა საგზურის გაფორმებას, სანიტრები ნათელა ბერია, ვერა სუდაკოვა, ანია ბოიო და ვერა რაშუვსკაია წავიძღვებთან და გასუფთავებულ-გაპირიალებულ ოთახებს ჩავაბარებენ, ხოლო თუ დამატებით თვითრეული დაგვირდებოდა, დარიკო ბესტაევა სიაშოვნებით დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.

მართალია, პატარა სასადილო აქვს სახლს, მაგრამ აქ ყოველთვის სისუფთავა და თავაზიან მომსახურებას გიწვევენ თვით ხალაითანი ქალები. — მობრძანდით! მობრძანდით! დიმილით გეგებებიან მზარეულები — გუგული ხურციღავა და რიტა მავროპულო, მათი მოადგილეები შურა კორძახია და ნორა კილაბერია, მიმტანები, მუდამ სიცილი რომ დასთამაშებთ სახეზე, ციალა მიქავა და ნინა მავროპულო.

იქნებ რაიმე საქმისთვის მანქანა დაგვირდებოდეს მძღოლი გია კალანდია არ დაგზარდებოდეს გისრულებთ თხოვნას.

ყოველდღე სადილზე სასიამოვნო მადს რომ გისურვებთ და საღამოს კინო-სურათის სანახავო გიწვევთ ამ სახლის კულტმუშაკი ვადიმ ნეკრასოვია. ან იქნებ უურნალ-გაზეთები და წიგნები დაგვირდებოდეს? ამ შემთხვევაში ვადიმს უნდა მიმართოთ. ვადიმი ექსკურსიებსაც აწყოებს. ეწყობა არა მარტო სოხუმის ღირსშესანიშნავ ადგილებში, არამედ ქალაქის გარეთაც, ახალი ათონის მღვიმეთი შობიბლული არიან დამსვენებლები. დილით უთენია შემოადებს ეზოს კარს და საღამოს გვიანობამდე ფუსფუსებს საწყობის გამგე ილია ტულუში. დღევანდელი დღის უღუფის გაცემას რომ მორჩება, ხვალისდღელს დამზადებას შუადგება, რათა უთენია მოსულ სასადილოს მუშაკებს საუწყის გასამზადებლად დროულად მიაწოდოს პროდუქტია.

სახლს ექთანი არა უავს, მაგრამ თუ თავი ატკივდათ ქალბატონი სორა მაშინვე წინევას გაგიზომავთ, თერმომეტრს გამოგიწვდით და სიცხესაც შეგიზომებთ. პირველ დახმარებას თითონ აღმოგიჩენთ, იგი ხომ კარგად ერკვევა მედიცინაში. შემდეგ, თუ საჭირო გახდა, სასწრაფო დახმარებასაც გამოიძახებს. ღიასი ყველადღერში იგრძნობა კეთილშობილი და ფაქიზი ქალის ხელი. სახლში ზოგჯერ ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრებიც კი ეწყობა. ასე იყო მწიფისსაც, სახლის თაამშრომლებმა და დამსვენებლებმა შეხვედრა მოუწყეს ქართული საბჭოთა კინოხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელს დიმიტრი ყიფიანს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სოხუმის განყოფილების თავმჯდომარემ გენო კალანდიამ, ხოლო ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების გარიჟრაჟზე, დ. ყიფიანის მოღვაწეობაზე და მის დამსახურებაზე საინტერესოდ ისაუბრა შ. რუსთაველის სახ. თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტმა პაატა იაკაშვილმა. მსახიობი მიხლამწინე: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნინო შვანიტაძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გიორგი ხარაბიშვილი, დრამატურგი გიორგი ზუხაშვილი, დასახლებული უჩვენეს კინოფილმები დ. ყიფიანის მონაწილეობით „სამი სიცოცხლე“ (მონტაჟი) და „ვინ არის დამნაშავე“.

კეთილშობილ საქმეს ემსახურება თეატრალური საზოგადოების სოხუმის დასახელებული სახლის კოლექტივი. დაე მათმა უანგარო შრომამ ხელი შეუწყოს ათასობით თეატრალური ხელოვნების მოღვაწეების ნაყოფიერ დასვენებას.



მონუმენტურობა და ფერწერულობა

თა ასეთი დიდი წარმატება შემთხვევითი აღიარება არ არის, რომ იგი უშუალოდ და მკაცრად რეზერვული დიდ ტრადიციებთან, მაგრამ, დღეს კიდევ უფრო საინტერესოდ გვესახება ის ფაქტი, თუ რა მიმართულებაშია ტრადიციული ნოვატორულთან ე. კუნსეცოვა უშუალოდ დადებითად მიიჩნია ის ორი მომენტი, რომელიც ასე თვალსაჩინოა იყო გამოვლენილი გამოყენებაზე წარმოდგენილ მხატვართა ნამუშევრებში — მონუმენტურობისა და წმინდა ფერწერულობისაკენ სწრაფვა, რაც შემდეგ ასე დახვეწილად წარმოუდგენს მათუკებელს მათს ეროვნულ კოლორიტს. ეს ორი მომენტი სწავს თითქმის თითოეული მხატვრის შემოქმედებაში. ე. კუნსეცოვი ლაპარაკობს გ. მესხიშვილზე და აღნიშნავს, რომ მის შემოქმედებაში სრულად თვალნათლივ იგრძნობა სწრაფვა ფერწერულობისაკენ. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ მის ხელოვნებას სწორად უკავშირებენ საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის ს. ვირსალაძის შემოქმედებას. გ. მესხიშვილის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ე. კუნსეცოვა განსაკუთრებით გამოჰყო ესკიზი სპექტაკლისათვის „კოპელია“, „ხანუმა“ და კოსტუმების ესკიზები სპექტაკლისათვის „ღალატი“.

რუსეთის თეატრალური საზოგადოების ლენინგრადის განყოფილებაში, საქართველოს თეატრალური საზოგადოებასთან, მხატვართა კავშირთან და სურათების სახელმწიფო გალერეასთან ერთად მოაწყო ქართველი თეატრალური მხატვრების გ. გუნიაის, მ. მალაზონიას, თ. სუმბათაშვილის, გ. მესხიშვილის, ო. ქოჩიაძის ა. სლოვინსკის და ი. ჩიკაიძის ნამუშევართა გამოფენა.

მხატვარი მ. მალაზონია, თუ კი შეიძლება პირობითად თქვას, მხატვარი — გრაფიკოსია, მის შემოქმედებაში, აღნიშნა ე. კუნსეცოვა, ოსტატურად არის შერწყმული ფერწერულობის მშვენიერი საწყისი. მან ვრცლად ილაპარაკა მხატვრის მიერ წარმოდგენილი ესკიზების მაღალ საშემსრულებლო კულტურასა და დონეზე. მაგალითისათვის დაახატა ესკიზი სპექტაკლისათვის „მინდია“, რომელშიც იგრძნობა პლასტიკურად გამოსახვის ხერხები, თითქოს სტატუიტი, მაგრამ ამასთანავე უაღრესად გამომსახველი საშუალებებით.

გამოფენა გახსნა მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მთავარმა მხატვარმა ე. კონერგინმა, ქართველ მხატვრებს გამოფენის გახსნა მიულოცეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ტოვსტონოვოვმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა მ. პოლარსკიამ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. კობახიძემ.

რაც შეეხება მონუმენტურს, ამ სიტყვის სრული გაგებით, ეს გახლავთ, კრედო გ. გუნიაის შემოქმედებისა, რომელიც იგრძნობა მისი ესკიზების თითქმის ყოველ უმნიშვნელო დეტალშიც. მან აღნიშნა, რომ გამოყენებულ წარმოდგენილი შეიძლება მხატვრიდან გ. გუნია უკულაზე მეტად „თეატრალური“ გახლავთ. იგი განსაკუთრებულად გრძნობს სცენას და დიდის სიყვარულით ეპურობა და გამოხატავს ყველა იმ ვარიანტს, სადაც უნდა გამოვლინდეს სპექტაკლის სახე.

მოწყო გამოფენის განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადელმა და მოსკოვიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა. განხილვის თავმჯდომარეობდა ქართული სახვითი ხელოვნების დიდი თავჯანსიყმელი, ხელოვნებათმცოდნე ე. კუნსეცოვი.

შემდეგ ხელოვნებათმცოდნე ე. კუნსეცოვა საკმაოდ ვრცლად მიმოიხილა „სამეულის“ — ო. ქოჩიაძის, ა. სლოვინსკის და ი. ჩიკაიძის მიერ წარმოდგენილი ესკიზები, აღნიშნა მათი კონსტრუქციული ხასიათი და დასძინა, რომ ამ გამოფენაში მონაწილე სხვა მხატვრებისაკენ

ე. კუნსეცოვა ვრცლად მიმოიხილა გამოყენებულ წარმოდგენილი თვითოეული მხატვრის ნამუშევარი და აღნიშნა შესრულების მაღალი კულტურა და პროფესიონალიზმი. ამასთან დასძინა, რომ ქართველ თეატრალურ მხატვარ-

განსხვავებით, მათ უკვლავ მეტად ახასიათებთ ის მახვილგონიერება, ის გროტესკი თუ ირონია, რომელსაც თითქმის უკვლა მათ ნამუშევარში ვგრძნობთ და განსაკუთრებით კი ამ გამოფენაზე წარმოდგენილ ესკიზში სპექტაკლისათვის „კვაკი-კვაკანტირაძე“. სცენური მახვილგონიერება კონსტრუქცივიზმთან ერთად! — აი, რა გახლავთ მათ შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი მომენტი, რომელიც ხშირად განაწეობს და ამზადებს მათურებელს უაღრესად მოულოდნელი სცენური გადაწყვეტისა, თუნდ მკვეთრი მახვილგონიერებისაკენ.

მიმოიხილა რა თვითული მხატვრის შემოქმედება, ე. კუხნიცოვმა დიდი გულსტიკივლით დასძინა ის ფაქტიც, რომ მეტად ორიგინალური ხელწერების მქონე მხატვარი თ. სუმბათაშვილი მხოლოდ ორი ესკიზითა და ძირითადად ფოტო მასალით წარსდგა მნახველთა წინაშე, და მაინც, მიუხედავად ამისა, აღნიშნა მან, თუნდ არ შეიძლება არ ჩაწვდეთ, თუ რაოდენ ძლიერ ოსტატთან გვაქვს საქმე. აღნიშნა, რომ იგი კარგად იცნობს ამ ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრებს, რომლებშიც მძაფრი კონსტრუქციული გადაწყვეტა პარადოქსალურობამდე, გამოხატვის საშუალებების უკიდურესობამდეა მიყვანილი და ეს უკვლავფერი მიღწეულია ფერწერულად გამოხატვის მთელი სიმღიერით.

შემდგომ სიტყვით გამოვცა და გამოფენის შესახებ საინტერესოდ ესაუბრა მსმენელთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პროფესორი მ. პოჟარსკაია. მან აღნიშნა, რომ გამოფენა უაღრესად დიდ ინტერესს იმსახურებს თავისი თეატრალური ძიებებით და ახალი მიგნებებით სცენოგრაფიის დარგში.

მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში არსებულ ტრადიციებს, რომლის ერთგვარი გადასინჯვა თუ გადახალისება მოხდა ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე.

მან გაიხსენა მოსკოვში რუსთაველის თეატრის გახტროლები 1961 წ. და ამ გახტროლებთან დაკავშირებით ნ. კრიოვას მიერ გამოქვეყნებული ფრიალ საინტერესო სტატია, რომელშიც სწორედ ტრადიციის პრობლემებზე იყო გამახვილებული ყურადღება. მ. პოჟარსკაიამ აღნიშნა, რომ დღეს ახალგაზრდა ქართველ მხატვრებზე საუბრისას შეუძლებელია არ გავიხსენოთ გამრეკელისეული „უჩალები“, „ანსორი“, „ლამარა“. ამ ქმნილებებში სწორედ

მთლიანად არის გამოხატული ეროვნული ხასიათი.

მან ისიც აღნიშნა, რომ დღეს არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ს. ვირსალაძის მიერ შემოქმედება, რომელიც გვევლინება სწორედ იმ საწყისად ღრმად რომ უნდა გაიაროთ და შემდგომ ინდივიდუალურ ხერხებით ახასიონ თავიანთ შემოქმედებაში ახალგაზრდა მხატვრებმა.

პროფესორმა მ. პოჟარსკაიამ გამოსთქვა სურვილი, რომ ეს გამოფენა ასეთვე სახით წარსდგეს მოსკოველი მათურების წინაშე.

ხელოვნებათმცოდნე ლ. იასულოვიჩმა აღნიშნა, გ. გუნიას ესკიზები გვიქმნის საინტერესოდ შეკრული შინაგანი სამყაროს მთლიანობის შთაბეჭდილებას, რომელიც მის მეთოდად უნდა ჩაითვალოს, ხოლო რაც შეეხება გ. მესხიშვილის მცირე ზომის ესკიზს სპექტაკლისათვის „ხანუმა“ — იგი უაღრესად შთაბეჭდილია, რადგანაც მასში იგრძნობა დრამატული ენარის ზუსტი აღქმა.

ნ. იასულოვიჩმა განსაკუთრებული ხაზგასმით ილანარაკა ო. ქოჩიაძის, ა. სლოვისკის, ი. ჩიკვაძის ნამუშევრებზე. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ესკიზების მიხედვით მნახველს საშუალება ეძლევა ზუსტად განსაზღვროს მათი ხელწერა. მან საუბრადღებოდ მიიჩნია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ თუნდაც ერთი ესკიზის მიხედვით ვგრძნობთ მთელი სპექტაკლის თეატრალურ დეკორაციულ გადაწყვეტას. ეს, რასაკვირველია, საინტერესოა, მაგრამ, მეორეს მხრივ, თითქმის იკარგება სპექტაკლში ძლიერად გამოკვეთილი დეტალები.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდატი ე. რაკიტინა ამბობს: ამ გამოფენაზე ქართველმა მხატვრებმა წარმოადგინეს ნამუშევრები, რომლებიც დაახლოებით ათი წლის წინათ შექმნეს, მაგრამ ისინი დღესაც არ კარგავენ ინტერესს და მშვენიერი სახილველი არიან. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ამ ნამუშევრებს ქმნიდნენ ნამდვილი მხატვრები და არა უბრალოდ მოდის მიმდევარნი. ამაში ვხედავთ ქართველი მხატვრების დიდ ღირსებას, რომელზეც ლაპარაკობდა სსრკ სახალხო არტისტი ტოცტონოვოვი. ისინი ქმნიან სწორედ იმას, რაც უაღრესად დიდ შემოქმედებით სიამოვნებას ჰგვრით და ეს განცდა ასეთივე სიმღიერით გადაეცემა მათს მხილველებს.

შემდგომ ლ. რაკიტინამ მოკლედ მიმოიხილა ზოგიერთი ნამუშევარი და განსაკუთრებულად აღნიშნა მათი შესრულების მაღალი დონე.

ახალგაზრდა ლენინგრადელი თეატრმოდენე ო. სავიცაია ამბობს: ქართველი მხატვრები, შეიძლება ითქვას, ტრადიციებში ცურავენ, მაგრამ არახოდეს არ იძირებიან მათში.

მხატვარი მ. მაღაზონია, აღნიშნა, მან, ნამდვილი გრაფიკოსია თავისი ხელწერით, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორი მოაქვს მას თეატრალურ სამუაროში სიბრტყობლივი გამოსახვის საშუალებები. მხატვარ მ. მაღაზონიას მიერ წარმოდგენილ ესკიზზე ცოცხლობს ფრესკა მთელი რიგი ყოფითი, ცხოვრებისეული პოცენებით — იქნება ეს, ბავშვის დაბადება, ცხენის გახედნვა თუ ნადირობის სცენები და სხვა. მე ვფიქრობ, ეს არის ფრიალ საინტერესო და ყურადსაღები საშუალებები პიესის გასცენურებისა.

თუ ერთმანეთს შევადარებთ მხატვარ მ. მაღაზონიასა და თ. სუმბათაშვილის ნამუშევრებს, ვგრძნობთ, მ. მაღაზონიას ესკიზები ეპიკურია, თ. სუმბათაშვილი კი დღევანდელივით ცხოვრობს. მის ესკიზებს რომ ვუცქერით, გვეჩვენება თითქოს იგი სულ ახლახან წარმოიშვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მზადაა დაინგრეს და სრულიად სხვა ხარისხში წარმოგვიდგეს.


რაც შეეხება გ. გუნაის, მან წარმოადგინა შექსპირის პიესების მიხედვით შექმნილი ნამუშევრები. ეს არის მხატვარი, რომელსაც ასე აინტერესებს მარადიულის თემა. მაგალითისათვის მომხსენებელს მოჰყავს ესკიზები სპექტაკლისათვის „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „თანადარიკი“ და სხვები

ო. ქოჩაიძის, ა. სლოვინსკის და ი. ჩიკვიძის ნამუშევრები — აღნიშნავს ოცნებულ კომიშიმითა და პლასტიკურებით ხასიათდება. მათ ესკიზებზე წარმოდგენილია გარდასახვის სრული სამყარო. მათი გმირები განუწყვეტელ ქმედებაში არიან, ისინი უჩვეულო დინამიით გვხიბლავენ, წარმოდგენილ ესკიზებზე ისპექტაკლისათვის „რომეო და ჯულიეტა“ — ისინი გამოიყურებიან როგორც ჩვენი თანამედროვე მოზარდი ქაბუკები და თითქოს მათი თანამედროვეობა ენათესავება დღევანდელ წუთიერებას. თუ მხატვარ გ. გუნაის მიერ შექმნილი ესკიზი უ. ანუის — „ანტიგონესათვის“ აახლოვებს მას სოფოკლესთან, ამ მხატვრების მიერ წარმოდგენილი შექსპირისეული გმირები ჩვენი თანამედროვეები არიან.

საბოლოოდ მათს მიერ შექმნილი ნაწარმოებები იძლევა ცოცხალ შთაბეჭდილებას, ეს მოწმობს, რომ ისინი ცხოვრობენ იმ სისხლსავე ცხოვრებით, რომელიც ისე ნათლადაა ასახული მათს ქმნილებაში.

დასასრულს, საინტერესოდ ესაუბრა მსმენელთ ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ლ. ზლატკევიჩი.

ქართველ მხატვრებს მადლობა გადაუხადეს ესოდენ საინტერესო გამოფენისათვის კოლეგებმა: ე. კოჩერგიშმა, ვ. დორერმა ს. ბარხინმა და სხვ.



ლ. გულაშვილი. „არსენას ლექსი“ ტიპაჟების ესკიზი. ებრაელი. ადიუტანტი. იმერელი. (წერილი ლ. გულაშვილის თეატრალურ მხატვრობაზე იხილეთ 55-ე გვერზე).

ვ. გაფრინდაშვილი მსახიობის ხელოვნებაზე

ბამოქანილი ქართველი მწერლის ვალდებულად გაფრინდაშვილის სახელი ძვირფასია ქართული თეატრისათვის. მან თავისი მოღვაწეობით თეატრალურ ხელოვნებაშიც შესამჩნევი კვალი გაავლო. ამიტომ ვ. გაფრინდაშვილისა და ქართული თეატრის ურთიერთობის საკითხის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია და იგი გარკვეულ წილად შეავსებს ქართულ თეატრის ისტორიას.

ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ვ. გაფრინდაშვილის ერთ წერილზე. ამ წერილზე საუბარი მით უფრო უპრიანია, რომ პრობლემები, რომელიც ვ. გაფრინდაშვილს აღელვებდა, დღესაც დღის წესრიგში დგას.

1919 წლის ნოემბერში თურნალი „კრონოსის სარკე“ (№ 2) საგანგებოდ აღნიშნავდა: „ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისში გამოვიდა თურნალი „ხელოვნება“. თურნალში მოთავსებულია ვალერიან გაფრინდაშვილის წერილი „მსახიობი“, სადაც შეგიოვდ და მარტივად არის დახასიათებული მსახიობის დანიშნულება“. წერილი პოეტი წერს:

„მწერალი, რეჟისორი, მკურნებელი და მსახიობი — აი, ის ვერაინტები, რომლებსაც ეყრდნობა თეატრი, როგორც რთული ესთეტიური კოლექტივი. მაგრამ ამ ესკიზში მე ვილაპარაკებ მხოლოდ მსახიობზე, რადგანაც ის არის თეატრის ცენტრალური ფიგურა. ცნობილია, რომ უდიდესი დრამატურგები შექსპირი და მოლიერი მსახიობებზე იყვნენ, ისენი ხელმძღვანელობდა თეატრს, როგორც რეჟისორი, ამდენად სცენა დაკავშირებულია დრამატურგის შემოქმედებასთან, მაგრამ ესეც არ შეადგენს ჩემი წერილის საგანს. მსახიობი ჩემთვის არის დიდი ესთეტიკური და ფსიქოლოგიური პრობლემა.“

წერილში მთელი რიგი საკითხებია დასმული: მსახიობი და როლი, ძალა მსახიობის სულიერი სამკაულისა; მსახიობის განათლების დონე; მსახიობის ახარება; ინდივიდუალიზმი ხელოვნებაში; თეატრი და ცხოვრება; მსახიობის მიზანი; სუბიექტივიზმი და ობიექტივიზმი

მსახიობის ფსიქოლოგიაში; რას გულისხმობს მსახიობის ტალანტი, მსახიობის დანიშნულება და სხვ. და მინც უყვლა ეს საკითხი პოეტის მსჯელობისა, ერთ რაკლშია თავმოყრილი — მსახიობი, როგორც ესთეტიკური და ფსიქოლოგიური პრობლემა, რადგან აქ წარმოჩინდება იგი თავისი მრავალსახეობით, თავისებურებებითა და შესაძლებლობებით, როგორც განსაკუთრებული ფენომენი.

ავტორი საინტერესოდ პასუხობს დასმულ კითხვას და მარტივად და ნათლად წარმოაჩენს ამ ფენომენის სახეს.

„მისი (მსახიობის ც. ხ.) პიროვნება ჩვენს წარმოდგენაში, — წერს იგი, — დაკავშირებულია მრავალი გმირის პიროვნებასთან. ეს გმირები ჰფარავენ, ხანდახან ანადგურებენ მსახიობის პიროვნებას. მისი დანიშნულება ხომ იმაშია, რომ უარი სთქვას თავის პიროვნებაზე, თავისი პიროვნება გახადოს ფონად და ნიდაგად, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს სხვისი პიროვნება...“

ოთხი საათის განმავლობაში იფიქრებს თავის „შეს“ მსახიობი, — განაგრძობს პოეტი — თამაშობს ოთარბეგს. თანამედროვე მსახიობისათვის ოთარბეგის ტიპი უცხოა, მაგრამ მან უნდა შეითვისოს მისი ციური სისასტიკე, მიღწეული მისი პიროვნება უნდა ენაცვალოს ოთარბეგის პიროვნებას, თუ მსახიობი დონციხოტს თამაშობს, მან უნდა გამოიჩინოს დიდი პათოსი, უნდა დაგვანახოს ფანტომი კეთილშობილებისა და უსაზღვრო ვაჟაკობისა. პირველ და მეორე შემთხვევაში მან უნდა ნახოს თავის სულიერი სამკაულში იმდენი ძალა, რომ ამ ტიპებს შეუფარდოს თავისი პიროვნება.

თუ რაოდენ ძალას მოითხოვს მსახიობი თავისი „სულიერი სამკაულებიდან“, მკაფიოდ გვაგრძობინებს პოეტის ნათქვამი — „როდესაც მსახიობი დოსტოევსკის იდიოტს ან კაპამაზოვს თამაშობს, მან ყალუხე უნდა დააკენოს თავისი სული. უნდა გაიმეტოს თავი. ჩვენ ვხვდებით, რომ მსახიობისათვის საჭიროა თავის გამეტება — თავის დავიწყება. ის მსახიობი, — დასძენს იგი, — რომელიც პაუტოვს თამაშობს, აქ ქეკუც დილია საჭიროა და ტემპერამენტიც. ბევრი მსახიობი უარს იტყვობდა პაუტოვს თამაშზე, რომ ესმოდას, როგორი უფსკრულია ამ როლში... აქტირობა მით უფრო ძნელია, საპასუხისმგებლო, რამდენადაც უფრო განათლებულია მსახიობი-ძვირფასია მსახიობი, რომელიც სიმბოლიურად გრძნობს თავის დანიშნულებას და უცხო ნიღბებში ატიკიცებს თავის „შეს“.“

მსახიობის შეხვედრა თავის როლებთან პოეტს წარმოდგენილი აქვს, როგორც თავდავიწყებული ორთაბრძოლა მსახიობსა და როლს



შორის — „დეული ორეულთან დეული მსახიობსა იმ პიროვნებასთან, როდესაც ის აქანდაკებს. ამ დეულს ინსტიტუტი ხასიათი აქვს და ის შეუმჩნეველია უზარალო მაყურებლისათვის. ყოველი დიდი მსახიობი კმნის თავის ოტელოსს, რომელიც არ ჰგავს არც შექსპირის, არც როსის, არც ოლრიჯის ოტელოსს. ყოველი რომელი არის ნიღაბი და თუ ეს ასეა, მსახიობს შეუძლია გამოაჩინოს თავისი მე და შექმნას ახალი ნიღაბი.“ — ვკითხულობთ წერილში.

„ჩვენ ეს ტრაგედია გავიგეთ არა მხოლოდ როგორც გაცრეხებული ნდობის, გაუზიარებელი სიუვარულის ტრაგედია, — წერს ერთ-ერთ წერილში აკაკი ხორავა, — არამედ უფრო ფართოდ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოტელო ორმოცდაათი წლისაა, ბრძოლებში დაქრალი სარდალი, მოატყუა არა მხოლოდ იაგოვ, არამედ მთელმა განვლილმა ცხოვრებამ, მის გარშემო მყოფმა მეგობრებმა და მტრებმა. უდავანაულო დეზდემონას სარკელის წინაშე ის თითქმის აჯამებს ყველა მოვლენას, ყველა მიღწევას და განვლილი ცხოვრების მიწნებსა და იდეებს. იგი თითქმის ეკითხება თავის თავს, რატომ იცოცხლა განვლილი ორმოცდაათი წელიწადი, რას მოუტანა მსხვერპლად მთელი თავისი სიცოცხლე. წუთში თითქმის მას ეხილება გონების თვალი და ხედავს, რომ მის გარშემო ცხოვრობენ არა ნაშვლილი ადამიანები, რომ მათთვის უტოვო ყოველივე ადამიანური, ისინი არ იცნობენ, მათ არ უყვართ ოტელო, არ ესმით მისი (შალვა აფხაიძე „აკაკი ხორავა“, გვ. 86)..."

ზომ დაუვიწყარია სასცენო შემოქმედების ტიტანების ოლრიჯის, როსის, ტომაზო სალინის, მოჩალაოვის სახელები, რომელთაც შესძინეს თეატრის ისტორიას ოტელოს ახალ-ახალი, განუმეორებელი ნიღბები!

სწორედ სასცენო ხელოვნების ამგვარი ინტერპრეტაცია აქვს მხედველობაში ვალერიან გაფრინდაშვილს თავის ამ შესანიშნავ წერილში „მსახიობი“.

ვალერიან გაფრინდაშვილი თავის წერილებში არა ერთგვის ეხება თეატრის საკითხებს. იგი მთელი თავისი არსებით იყო დაკავშირებული თეატრის ცხოვრებისათვის. მის კალამს ეკუთვნის თარგმანები პიესებისა: „ბეატრიჩე ჩენჩი“, „ურთიელ აკოსტა“, „ყვანალები“, „რუი ბლანკ“, რომელიც სიკვდილის წინა ხანებში დაასრულა. მისი მრავალი ლექსიც სცენური სახეობითაა მოწყობილი.

სცენური ექსესურებიდან იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოსტიუმს, დეკორაციებს, რომლებსაც გარკვეული უფერადობა შეაქვთ სპექტაკლის მსვლელობაში. ტანისამოსის უნარიანი ტარებაც მსახიობის ნიჭის ერთ-ერთი და-

საფასებელი თავისებურებაა, რითაც ჩვენს თეატრის არაერთი სცენის კორიფე, პიროვნება პოეტის საუკეთესო ლექსი „ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ“, რომელიც ქართული სცენის მშვენიერს თამარ ჭავჭავაძეს მიუძღვნა, მსახიობის ამ შესანიშნავი, თავისებური ნიჭის ნათელი დემონსტრირებაა:

თეთრი მარაო ეჭირა ხელში,
როგორც ფრინველი, უნაწეს ფრთებით.
გრძელი შლეიფი — თითქოს წღვის ელჩი
უკან მოსდევდა შრიალთ, ვნებით.

„თავის დროზე თბილისში კოტე მარჯანიშვილს დიდი ბანკეტი გაუმართა ქართველმა სასოფადოებრიობამ, — იგონებს პოეტის ახლო ნათესავი, დამსახურებული ექიმი ალექსანდრე კანდელაკი, — ბანკეტს თითქმის ხუთასამდე კაცი ესწრებოდა. საღამოზე იყო ვალერიანიც. ბანკეტის მონაწილენი მუხრვალე სიტყვებით მიმართავდნენ სასიქადულო რეჟისორს. ბოლოს ვალერიანს სთხოვეს მასაც ეთქვა რამე. ვალერიანს განუცხადებია სიტყვის თქმა არ შემძლია, და კოტესადმი მიძღვნილ ლექსს წავიკითხავო.

როცა ღელავდა ლაპარაკისას ენა ებორძიებოდა ცოტათი, მაგრამ ახლა ძალიან კარგად წაუკითხავს ეს ლექსი და მთელ სასოფადოებს დიდი მადლობა გადაუხდია პოეტისათვის.

ბანკეტის შემდეგ, მიიხრა ვალერიანმა, — იგონებს ალექსანდრე კანდელაკი, — ბოსტის ქუჩაზე კოტე კვლავ მხოვოა წამებოთა მისთვის ლექსი „გთხოვ, მხოლოდ ერთხელ, კიდევ ერთხელ მიიხარე ეს ლექსი, მეტს აღარ შეგაწუხებ“. ვალერიანს ამ წყნარ ქუჩაზე კიდევ ერთხელ წაუკითხავს კოტესადმი მიძღვნილი ლექსი — «Константину Марджанову».

ეს ლექსი ადრე მქონდა დაწერილი, კიდევ კარგი რომ მოეწონა, გახარებული დი დადიან ნასიამოვნებით მიაშობდა ვალერიანი ამ ამბავსო“.

ექვი არაა, კოტე მარჯანიშვილის შთაგონებით აღბეჭდილმა სპექტაკლებმა ათქმევინა პოეტს: „მსახიობს შეუძლია იყოს ამაყი თავისი პროფესიით, რადგანაც ის ყოველდღიურად განიცდის ცხოვრების სახეს თეატრის მომზობველ და ციბერ ნიღაბში. მსახიობს სული თითქოს ეკუთვნის სინამდვილეს და ოცნებას — და მან თავის პიროვნებაში სინამდვილის და ოცნების, მშვენიერის და ტრაგიკულის წინააღმდეგობა უნდა შეადგლოს. მსახიობს შეუძლია მიმართოს თავის თავს ტიტუტევის მონოლოგით:

«О, вещая душа мая!
О, сердце, полное тревоги,
О, как ты бьешься на пороге
Как бы двойного бытия!...»



საბუეს ბერიკაოზის პართი ნიღვისათვის

ბერისკანობაში მოქმედ ნიღვისნად მაიმუნის დასახელებას, თავდაპირველად მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიის მსმენელის ელგუჯა კაციტაძის ჩანაწერით გავიყანი (დ. ჭანელიძე, ქართული ხალხური თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948, გვ. 861). მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრინათარის ბერიკაობაში ერთ-ერთი ბერიკა მაიმუნს განასახიერებდა. ამ ცნობის მიღებიდან 28 წლის შემდეგ, 1964 წელს თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთმა კახელმა სტუდენტმა ბერიკაობის აღწერა დასაბუეს, რაც რიგი ნიმუშების მიხედვით უვარლის რაიონის სოფ. საბუეს ხალხური სანახაობის აღწერადაა უნდა იყოს. ამ ჩანაწერში ბერიკაობის მოქმედ ნიღვებად დასახელებულნი არიან: „მაიმუნები და მათი დამკერი. აცვიით დაგლეგილი ტანსაცმელი, სახე მოსვრალი აქვთ ნახშირით, დამკერი ჩვეულებრივ თავისი სახით არის, მაგრამ მას დიდ მაიმუნს ეძახიან... უეენის ბრძანებით მაიმუნებს ეკრძალებათ ექიმი მოუყვანონ გულწასულ ბერიკას. მაიმუნები ზურგზე შესმულს მოუყვანენ ექიმს... შემდეგ მაიმუნებს მოჰყავთ მღვდელი... ჩადიან სოფლის მდინარეში. აქ უეენი ცალკე გარბის, ექიმი ცალკე, მღვდელი ცალკე — ხოლო მაიმუნების და ბერიკების ვალია დაიპირონ უველა ეხენი და, ამ სიცივეში, წყალში ახანაონ. შემდეგ უველა მოწაწილენი ჩადიან წყალში და გამართვენ ჭიღობას“.

ამის შემდეგ გავიდა კიდევ ათი წელი და, თეატრალური ინსტიტუტის ხალხურ სანახაობათა შემსწავლელი ექსპედიციის 1974 წლის მასალებში ისევ თავი იჩინა ბერიკაობაში მაიმუნების მოქმედ ნიღვებად დასახელებამ:

— ბერიკებს „ჰყავდათ ორი მაიმუნი, რომლებიც მღვდელს ჰყავდა გამოზბული“ (მოქმედი 84 წლის დათა დათუაშვილი);

— „ბერიკებს ორი მაიმუნი ჰყავთ, მაიმუნები მურით არიან შეთხუხუნულები, მაიმუნები ჭაჭივით წელზე ჰყავს ბერიკას შემბული... შიგნით უეენის ნათქვამს თარგმნის: მღვდელი მომყვანეთო, მაიმუნიც მოაყალეთო“ (მოქმედი 89 წლის უენია ნათელაძე).

— ბერიკებს „მაიმუნები ჰყავთ. ეს მაიმუნები არიან შეთხიზნილები მურით. წელზე შემოუჭერენ ჭაჭებს და ჭაჭების საშუალებით ერთ-ერთ მესამე პირს ეს ორი მაიმუნი ხელში უჭირავს, ხალხზე რომ იწვეს ამთმა დააკაონ (მოქმედი 88 წლის მასწავლებელი გიორგი მარქაროვი);

— „ერთი ბერიკა რომ წაიქცევა, მეორე ზედ დააჭდება... მეოთხეც... ზოგი მაიმუნებს შეხატებიან“ (მოქმედი 56 წლის გიორგი ნინიაშვილი);

— ბერიკებს ჭაჭევით მაიმუნები ჰყავდათ (მოქმედი 85 წლის გიორგი ავგაროშვილი); თეატრალური ინსტიტუტის ხალხურ სანახაობათა შემსწავლელ ექსპედიციას ხ. საბუეს 1974 წლის ბერიკაობაში მაიმუნის ნიღბი არ შეუმჩნევია. ამავე სოფლის 1976 წლის ბერიკაობაში კი ექსპედიციამ მოქმედ ნიღბათა შორის მაიმუნების ნიღბებიც აღწუსა. ბერიკაობა-ყეენობის სამწადისისათვის განკუთვნილ ადგილზე (სოფლის თავში), ურალდება მიიქცია შავად გამურულმა მოზარდმა, რომელსაც ჭაჭეს აბამდნენ, ჩემს შეითვებზე მან მიპასუხა: — „მაიმუნს ეთაზობო“.

იმ ადგილებში, სადაც დღესაც მელორობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (რამდენჯერმე შევხვდით ლორების კოლბს და მელორობის ფერმასაც გვერდით ჩავუარეთ, იმ ადგილებში სადაც ნეკრესის ტაძარია — ლორის მსხვერპლად შეწირვის ძველთა-ძველი წესჩვეულებით, ლორის (ტანის) ნიღბი დაიკარგა, ხოლო უცხოურად მისაჩნევი მაიმუნის ნიღბი კი ბერიკაობაში ისევ ქმედითად ცოცხლობს. — ეს ვითარება გასარკვევია.

ბერიკაობა-ყეენობის საწყისი სტრუქტურისათვის დამახასიათებელია უცხო ძალის განმსახიერებელი ნიღბები (კეისარი, არაბი, ყეენი, შაჰი, თათარი); რომელიც ქართველების განსახიერებით ებრძვან და მარცხდებიან. ისე, რომ ცხოველთა ნიღბებს შორის საქართველოს ფაუნისათვის უცხო ცხოველის ნიღბიც თითქოს არ უნდა იყოს საკვირველი. გასარკვევია, მაიმუნის ნიღბის დანიშნულება, მისი ქმედობის შინაარსი, მნიშვნელობა და დედაზარი.

ქართულ მეტყველებაში მაიმუნი გადატანით მნიშვნელობით აღნიშნავს სხვის მიმბაძველს, უსწოდ, უხიროდ, მანქანას: „წელს მასხარებს ლილიახანა წაუზნათ, მასხარობას ბრძნები გვეცილებიან. პამპულად და მაიმუნებად ხდებიან (ივ. მაჩაბელის თარგმანით); „ნემოქმედება უძ-



ლიტრისა უღონოზე. მარტო ცარელი მაიმუნობა, სხვისი ფეხის ზმაზე აყოლა“ (ილია). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5, ხვეტ. 21-22) „მაიმუნე“, „მაიმუნობა“, უარყოფითად დამახასიათებელია სახიერი მეტყველებისათვის და ბერეკაობის სახიერი ქმედობისათვისაც, თუკი მაიმუნის ნიღბის დანიშნულებასა და მნიშვნელობას ქართულ ხალხურ სანახაობათა თავისთავადობის, ეროვნულ ტრადიციების გათვალისწინებით განვიხილავთ.

შექმელთა ჩანაწერების მიხედვითაც და 1976 წლის ბერეკაობითაც მაიმუნები ჭკვიით დაპყავთ. შესაძლებელია ეს ნიშანდება ყუენის განმხიარულებელ განაჩითობ მაიმუნების ჭამა-ზობაზე შიგვითიებდეს². ვაწერთნილ მაიმუნების ჭამა-ზობის გამომსახველ XV-XVIII სს. ილუსტრაციებზე მწერთნელს მაიმუნი დაბმული დაპყავთ ჭკვიით და იხე ათამაშებს (ს. ჭვილე-გოვი და გ. ბოიაჭივი, დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორია, რუსულ ენაზე, შ. ლ., 1941, გვ. 17; ი. დიმიტრივი, ადამიანი და ცხოველები, რუსულ ენაზე, შ., 1975, გვ. 232). ბერეკაობა-ყუენობა, რომ მუშაითობა-ჭამა-ზობასაც შეიცავდა აიან ხ. შატაში (ახმეტის რაიონი) 1975 წ. ნახულმა ყუენობამ დაგვარწმუნა.

შესაძლებელია, ბერეკაობა-ყუენობაში, მაიმუნის ნიღბი გამოხატავდა გამაიმუნებულ ადამიანს, რომელსაც, როგორც მუშა პირტუცის ისე იყენებდნენ შვდელის, ექიმის საზიდრად. ან ხალხზე მისატყველად. ვარაუდის ასეთ მიმართულებაში ადამიანის, ადამიანურის საინტერესო კონცეფცია მშვადენება. დამონებულ ადამიანს, უცხო ძალისაგან დამორჩილებულს ადამიანობის ნიშანწყალი აღარ სცნია, პირტუცვად აბის ქვეული, გამაიმუნებულია, გამაიმუნებული, თავისიანებზე მისატყველად აბის გამოყენებული. საინტერესოა, რომ ბერეკაობა-ყუენობის დასახულ ქმედობაში მაიმუნები მეამბოხე-აჯანყებულ-განმათავისუფლებელ ძალად გველინებან: „ყუენი ცალკე გარბის, ექიმი ცალკე, შვდელი ცალკე, ხოლო მაიმუნების და ბერეკების ვალია დაიჭირონ ყველა ესენი და ამ სიცივეში წყალში აბანონ“.

მაიმუნების ბერეკაობაში ასეთი დანიშნულებით და მნიშვნელობით ახსნის ვარაუდს მხარს უჭერს თუშური ვალმოცემა XVII ს. ბერეკაობაზე: „ბერეკებმა ქალურად ჩაიცვეს, ხელთ თითისტრები დაიჭირეს და მატყლის რთვა დაიწყეს, როცა ჭყითხეს რათაო, მათ უპახუხეს: ჩვენ ვაყუავთ აღარ ვართ! აღარც თქვენა ხართო.. ჩვენ თითებმა დაგვიჭირეს ალვანში და დედაკაცებად გამოგვიყენეს. თუ გუშინ ჩვენ გვოყვეს ეს აშაგი, ხვალ თქვენ ჩვენი ბელი დაგემართებათ, მაშინ ყველა თუშები ჩავიცვამთ დედაკაცურად. ხმლის ნაცვლად თითისტარს დაიჭერთ

და თათრებისათვის დაართავთ მატყლის ხალხი აღელდა, იარაღი აიხსა და თავგანწირულ ხალხილით თათრები ვარტყა საქართველოდან“ (დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 377).

დამონებულის, დაღარებულის, მხდალის, მონურის სულსკვეთების მახილემელი ასეთი სახიერება ოდიდანვე დამახასიათებელია ქართული პოეტური შემოქმედებისა და სანახაობრივი ქმედობისათვის. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით: „...წყობათა მიერ მხნეთა ქებითა... ხოლო ჭაბანთა სადღეოთა შთაცუმითა და კიცხვითა-ძაგებითა, არამცა მოელნა ვიდრემდის სპათა შორის მისთა ყოვლად არა ილაივებოდა ჭაბანად ზრახბილს“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით, ტ. I, გვ. 858). სწორედ ამგვარ სანახაობათა გამომხილს უნდა შეიცავდეს რუსთაველის ფლორენსი: „კაცი ჭაბანი რითა სჯობს დიაცსა აქორსა მბეჭველსა“, რუსთაველი, ამ შემთხვევაშიაც ხალხური ეპიკური შემოქმედებით იყო შთაგონებული. როდენაც ბადრი თავის მოძებს ამირანს ბრძოლაში დახმარებაზე უარს ეტყვის, ამაზე ამირანი შეუძახებს: —„დაჯე და ჭყერე ტყავები, სხვა ხელი არა გქონიან“ (მ. ჩიქოვანი, „მიჯაჭული ამირანი“, გვ. 316). თითისტარიანი, ქსელის მბეჭველის,



თვალთმაქცი მაიმუნით. (XV ს. ქანდაკება)

ტყავების მეკრავი ქალის სახიერების შეცვლა მაიმუნის ნიღბით სრულიად გასაგები უნდა იყოს გამომსახველი საშუალების გამახვილების, ხაზგასმით გამოხატვის შთამბეჭდაობის გაძლიერების თვალსაზრისით.

არის თუ არა მაიმუნი რაიმე სახით წარმოდგენილი ქართულ მითოლოგიაში? ყურადღებას იქცევს შემდეგი: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიონით: „მაიმუნი სხვათა ენაა, ქართულად ციღამტკაველი, ყაპუჭუნა და ანთარი — ესენი ჰქვინა“. „ანთარი“. განმარტებულია მაიმუნად. ხოლო „ქიას“ შესატყვისად ვკითხულობთ: „ყაპუჭუნა, ანთარი, ციღამტკაველა სხვადასხვაგვარი მაიმუნებია“. ქართულ მითოლოგიაში ყურადღებას იქცევს კოლხური ღვთაების სახელწოდება ცნობილია „ანთარი“ (ვლ. ალფანძე, ოტბაია, ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1970 წ., 17, XII, მ. ჩიქვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 293-294). ერთ-ერთი ჯიშის მაიმუნისა და ქართული წარმართული ღვთაების ერთი და იგივე სახელით („ანთარი“) აღნიშვნა, ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ ქართველ ტომებს ერთ-ერთი თავისი ღვთაება მაიმუნის სახით ჰყვავდათ წარმოდგენილი. თუ ასეთი ვარაუდი საფუძვლიანია, მაშინ შესაძლოა, გვეფიქრა, რომ ბერძნულში მაიმუნის სახიერება ქართული მითოლოგიათა არის შთაგონებული.

მაგრამ თუკი ამ საკითხს ხალხთა ურთიერთობის, ურთიერთკავშირის ასპექტში განვიხილავთ, მაშინ სხვაგვარი ახსნის ვარაუდიც შეიძლება წამოვკრათ, და ბერძნულში მაიმუნის სახიერება შეიძლება განვიხილოთ საქართველოს და ინდოეთის კულტურულ ურთიერთობის დონეზე.

მაიმუნი ხანუშანი — ერთ-ერთი ყველაზე ამოჩემებული სახეა ინდოეთის მითოლოგიაში: მაიმუნის ეს სახე აღმოსავლეთის ხალხთა თეატრალური წარმოდგენების ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ეტაპზე და სავარაუდო პერსონაჟად არის ქცეული იმ ქვეყნებში, სადაც რამაინანს ეპოსის დრამის დაუშრეტელ წყაროდ არის მიჩნეული, ინდონეზიის და იავის თეატრებისათვის, სიამის (ტაილანდის) წარმოდგენებისათვის, ბირმის სანაზობებისათვის და მახასიათებელია მაიმუნ ხანუშანის სახე. პეკინის მუსიკალურ თეატრში ბოლო დრომდე გამოყვავდათ მაიმუნების მოხერხებული, ეშმაკური ჰკუის, გულადი მეფე სუნუკუნი. იაპონური თეატრის ნო-დრამის საწყისად ასახელებენ დენგაკს (მინდვრის მუსიკას), რომელსაც თითქმის შეტრწყა ე. წ. სარუგაკი (მაიმუნთა მუსიკა). სარუგაკი თავდაპირველად იმპროვიზირებული იყო და შემდეგში ჩამოყალიბდა სერიოზული პათოსის ნო-დრამად (ა. ავდევი, თეატრის წარმოშობა, რუსულ ენაზე, დ. — მ., 1959, გვ. 109, ა. ალექსიძე, ანტიკური



ვანის სახარების ქართული ხელნაწერის
მოხატულობიდან (XII ს.)

დრამის საწყისები თანამედროვე მეცნიერებაში, „მიომომილელი“, 1969-1972, ტ. 6-9, გვ. 866-67).

ინდური მითოლოგიათა რამა მუვლელი ულამაზესი სახეა. რამას მამის ერთ-ერთი ცოლი მოითხოვს რამას გაქვებებს და მის ნაცვლად მემკვიდრედ თავის შვილის გამოცხადებას. რამა, ხელაგს რა მამის უსაშველო მდგომარეობას, თვით სტოვეებს სამშობლოს და თავის მეუღლე ხატასთან ერთად ჰიმალაის მთებში გადაიხვეწება. დემონი მოიტაცებს ხატას. დაკარგული მეუღლის ძებნისას რამა გადაეყრება მაიმუნების მეფე სუგრიგას და დაეხმარებინა მას მისი სამეფოს დაბრუნებაში. მაიმუნების მაღლიერი მეფე სუგრიგა და მისი მხედართმთავარი მაიმუნი



ხანუშანი ეხმარებოან რამას სიტას განთავისუფლებეში. აქ მოვარა როლს ასრულებეს მაიმუნი. ხანუშანი, რამა თავის ქვეყანაში ბრუნდება და ტახტს დაიკავებს (კრებ. ინდოეთის დრამატურგია და თეატრი, რუსულ ენაზე, მ., 1961, გვ. 41-93; ბალავანთ გარგი, ინდოეთის თეატრი და ცეკვა, რუსულ ენაზე, მ., 1963, გვ. 25-27; მ. ბაბკინა, ს. პოტოპენკო, ინდოეთის ხალხური თეატრი, მ., 1964, გვ. 54-55). რამაინას ეპიზოდები ბირმაში, კამბოჯაში, იავაში, სუმატრაში დამკვიდრდნენ ხალხურ ცეკვებსა და პანტომიმურ წარმოდგენებში. რამაინას ეპიზოდებს ანახიერებენ საქარნავალო მსვლელობებში მოძრავ საზიდრებზე. ეს სანახაობანი დიდძალ მყურებელ-ხალხს იზიდავენ, განსაკუთრებული მოწონებაშია მაიმუნ ხანუშანის სცენები (ბალავანთ გარგის დასახ. ნაშრ. გვ. 28).

საინტერესოა თანადამთხვევა, — ინდურშიაც და ქართულ ხალხურ თეატრშიაც მაიმუნი ჭერ დამორჩილებულის, დამარცხებულის გამოშახველად ჩანს, ხოლო შემდეგში განმთავისუფლებელ მებრძოლ ძალას გამოხატავს. იყო თუ არა ძველად ინდოეთსა და საქართველოს შორის ისეთი ურთიერთობა, რომ მაიმუნის ნიღაბი, — „რამაინას“ ეპოსიდან აღებული და ინდური და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა თეატრების მიერ შეთვისებული, — ქართულ ხალხურ თეატრშიაც დამკვიდრებულიყო? ცნობილია, რომ საქართველო ჭერ კიდევ რომაელთა ყურადღებას იქცევდა შორეულ აღმოსავლეთთან (ჩინეთთან, ინდოეთთან) შუა აზიასთან სავაჭრო, სატრანზიტო გზად გამოყენების თვალსაზრისით (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I, გვ. 503). „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით ვახტანგ გორგასალმა ინდოეთში ილაშქრა: „წარმოიღეს ხარკი შინდოთა მეფისაგან მუშკი ლიტრა ათასი, ამბრი ეგზომივე, ალვა ნავი ათი, თუალები იაყინთი და ზურმუხტი ნავი ერთი, და მის თანა საფირონი თვითო სახე, ოქრო, აქლემი ასი, ვერცხლი — აქლემი ხუთასი“ (ჯუანშერი, ...ახოვ-

რება ვახტანგ გორგასალსა, ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 188), როგორც აღნიშნულია ვახტანგ გორგასალის ინდოეთში ომიანობის ამბავი მეტად არარეალურ ფერებშია ასახული, (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 94). და მიუხედავად ამის ყოველი ისეთი ზღაპრული ასახვა, მაინც რაღაც რეალური ურთიერთობის ანარეკლს შეიცავს. ეტყობა იმ დროის ქართველობა კარგად იცნობდა ინდოეთს და ვახტანგის დროინდელი ინდოეთის თეატრი ზომ, ამ დროს, თავის განვითარების ზენიტშია, სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა დიდი ინდოელი დრამატურგი, „შაკუნტალას“ ავტორი კალიდასა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჯუანშერის მიერ დაწერილ ვახტანგ გორგასალის ისტორიაში შემონახული აღმოჩნდა ძველი ქართული ტრაგედიის ფრაგმენტები (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, თბ., 1965, გვ. 246-270).

საქართველოს ინდოეთთან გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობის კვალი ქართულ ეპოსშიაც არის აღბეჭდილი პოემაში „ახესალომ და ეთერა“ ნათქვამია: — „აგერ ქალო ტუა-ვატლასი ინდოსტნიდან მოტანილი“, „ქამხა ატლასს რად არ ნახამ ინდოეთით მოტანილსა“.

ძველად ვაჭართა ქარავნებს თან დაჰყვებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის მომღერალ-მსახიობთა დასები და მიტომაც სრულიად ბუნებრივია „ვეფხისტკაოსანი“-დან როსტევან მეფის შემახილი: „მოღით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან შემაყვებულმან“ (სტროფი 43); — როსტევანმა „ესე თქვა და სიხარულით თამაშობდა ადიდა მგოსანი და მუშაითი უხმეს ჰპოვეს რაცა სალა“ (სტროფი 114). ორფევისის სადარ მომღერალ ავთანდილთან „მოვიდიან შესამკობლად ქვევით ყოვლნი სულიერნი“... ინდუ არაბ საბერძნეთით მაშრიყით და მადრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიბტელნი“ (სტროფი 967).

ჩახრუჭაძის „თამარინამ“ შემოგვიხანა უძვირფასესი ცნობა ქართული სანახაობრივი ხე-



მოხეტიალე მსახიობები დათვით და მაიმუნებით. (ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ XVII ს. მანუსკრიპტიდან).

ლოცვნების ვატანისა საქართველოს გარეთ, მთელ იმ დროინდელ მსოფლიო სარბიელზე. ქართული სახიობის დასს მოგზაურ-პოეტის მეთაურობით მოუვლია სპარსეთი, ინდოეთი, ხატაეთი, ჩინეთი, ხაზარეთი, რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, ეგვიპტე, მადრიბი (დასავლეთ არაბული ხალი-კატი), იემენი, მექა და ბაღდადი. ამ დასს უცხო სახელმწიფოებში წარმოუდგენია ქება ბართ-ველთა მეფეთა და მათი ლაშქრისასა (ძველი ქართველი მეხოტბენი, I), ჩახრუხაქე, ქება მეფისი თამარისი, ივ. ლოლაშვილის ვამოცემით, თბ., 1957, გვ. 198-200).

ინდოეთ-საქართველოს მხატვრულ კულტურათა ურთიერთობა იმდენად ცხოველყოფელი ყოფილა, რომ რუსთაველმა შესაძლებლად ჩათვალა თავისი პოემის გმირები ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ინდოელებად გამოეყვანა.

რაც შეეხება ინდურ ეპოსიდან ინდოეთის ხალხურ თეატრში დამკვიდრებულ — მაიმუნთა მეფისა და მისი მხედართმთავრის მაიმუნ ხანუმანის სახეებს, შესაძლებელია უკვე ვანის სახარების ქართული ხელნაწერის (XII ს.) შემამკობელ მინიატურაში გამოხატული ორი მაიმუნის სახით იყოს ინდური თეატრით შთაგონებული სახეები. ინდურიდან გავრცელებული „ქილილა და დამანა“ ქართულად უნდა ყოფილიყო თარგმნილი არა უგვიანეს XI-XII საუკუნეებისა. ამ ნაწარმოებში მთელი რიგი იგავ-არაკების მოქმედი პერსონაჟია მაიმუნი (ს. ს. ორბელიანი, თბზ, ტ. I, გვ. 126, 221; ტ. II, გვ. 6, 173).

ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობა საქართველოსა და ინდოეთს შორის მიუხედავად ძნელმდებლობისა შემდეგ საუკუნეებშიაც არ წყდება. XVI ს. კახეთი მკიდროდ დასახლებული, კულტურული მეურნეობისა და გაცხოველებული ვაჭრობის ქვეყანა იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 160). კახეთში გაუშენდა ახალი ქალაქები — ვაჭრობა-ხელოსნობის გაცხოველებული ცენტრები ზაგემი, (ბაზარი) და გრემი. კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედების, სანახაობრივი კულტურის ერთ-ერთი ცენტრი იყო ამ დროს ქალაქი გრემი. გავიხსენით თეიმურაზ პარველის ლექსი „გრემის სახალეზე“

სახლი შეეშადა სალხინოდ,
ნე მეფე თეიმურასო,
შევაიკე კელე-ურენი,
ვიქვე-თავსაც კარგად ბურავსო
დავხატე ფერად-ფერადად,
ჰავეს, რამე იყოს მურასო...
შენ შემოვჭერეტენ მუურენი,
სად სარკმელია და ბანი,
ეფიცავ რომ ყველა ვახდების
თქმა ტბილად ანუ და ბანი...



ხანუმანი — ინდური ეპოსის „რამაიანას“ პერსონაჟი.

აქ ბაზმის სოპანობა
სუფრისა შემკობილობა,
მუტრობთა რასტი მულამი
სასმენელთათვის ტკბილობა.

ინდოელ მოთამაშეთა წარმოდგენების ვრცელი აღწერილობა-რეცენზია დავიტივა არჩილმა: „პინდიც არ ვნახეთ ჩვენ წინა, ოთხ აქლემს გარდახტებოდა“. არჩილვე ეუთოვის ცნობა რაც ადასტურებს, რომ საქართველოში არა მარტო დაინტერესებულნი იყვნენ ინდურ თეატრით, არამედ ქართველი ახალგაზრდები ესწრაფოდნენ ინდოელთა სანახაობრივი ხელოვნების შესწავლას („ინატრეს ბევრმა ვაევემა ნეტავი ეს მასწავლაო“). ცნობილია, იმის ცდაც, რომ XVII ს.-ში ინდოელი მსახიობი მიეწვიათ ინდური თეატრალური ხელოვნების მასწავლებლად (არჩილიანი, ტ. I, გვ. 5). ეს ინტერესი და მისწრაფება უცხოურ თეატრალურ მიღწევათა გაცნობისა და ათვისებისა შემდეგშიც არ დამცხრალა.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას, მოგზაურ გამბის ცნობით ადგილი ჰქონდა გურიასი XIX საუკუნის დასაწყისში. გურიის მთავარი ყოველწლიურად აწუბოდა დიდ ბაზრობას და ხალხის მოსაზიდად ვლახეთიდან (რუმინეთიდან) მოიწვია“



„ფიგლიარების და კომედიანტების დასი“. გუ-
რიის მთავარი მამია გურიელი ისეთი აღტაცუ-
ბული დარჩენილა გერმანელ აკრობატების წარ-
მოდგენებით, რომ მათთვის უჩუქებია მიწის ნა-
კვეთები და ხუთი ოჯახი ყმა-გლეხებისა, იმ პი-
რობით, რომ კვირაში სამ წარმოდგენას გამარ-
თავდნენ მის სახლში და ყმა გლეხების ჭგუფს
ასწავლიდნენ სამუშაოთა ხელოვნებას.

სულხან-საბა ორბელიანი თავის იგავ-არაკე-
ბის წიგნში „სიბრძნე-სიცრუისა“ აღწერილი
აქვს ინდოელ მოთამაშეთა წარმოდგენა. არ შე-
იძლება არ აღვნიშნოთ, რომ დრამატული მსა-
ხიობების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერ-
მინი „მღერა“, „მემღერე“ XI-XII სს. შეცვალა
ძველი ინდური ხალხური თეატრის ერთ-ერთი
სახის აღმნიშვნელმა „თამაშა“-მ — „თამაში“,
„მოთამაშე“. საინტერესოა, რომ საბა სწორედ
„მოთამაშედ“ იხსენიებს ინდოელ მსახიობს.

ყოველივე ამის მიხედვით, შესაძლებელია
იმის ვარაუდიც საფუძვლიანი იყოს, რომ ქართ-
ლის სამეფო დედაქალაქ მცხეთის მახლობელ
წინამძღვრიანთკარის და სამეფო სავაჭრო ქალაქ
გრემის მახლობელ სახუეს ბერეკაობის წარ-

მოდგენებში მაიმუნის ნილაბი საქართველოში და
ინდოეთის სანახაობრივ-თეატრალური ურთიერ-
ობის ნაკვალევად იქნეს მიჩნეული.

ბერეკაობა-ყენილობაში ბევრი რამ არის ისეთი,
რაც გულდასმით კვლევასა და ძიებას მოითხოვს.

¹ 1935 წელს მარჯანიშვილის თეატრმა ი. მჭე-
დლიშვილის „იოანა ბუიანას“ დადგმასთან და-
კავშირებით ბერეკაობის მასალების შესავრო-
ვებლად ექსპედიცია მოაწყო კახეთში (ი. მჭე-
დლიშვილი, დ. ანთაძე, ნ. გოცირიძე, ლ. გულია-
შვილი, დ. ჯანელიძე). ყვარელში 60 წლის ზა-
ქარია გირმეშვილისაგან ჩავიწყრე: „ბერეკა-
ობა ბანაკ ტანში მჯდომი ანუ ორმოციისთავი მე-
თაურობდა“.

² ჯაჭვი ბერეკაობაში შეიძლება უფლებამო-
სილებების ნიშან-სიმბოლოც ყოფილიყო. ბერეკა
ჭრელომ ჯაჭვი გადუგდო ყელზე სისოსა და უთ-
ხრა: ამა ყელზე შიბიო, სისომ უბასუხა: შე ოხე-
რო ძაღლი ხომ არა ვარო. ჭრელომ მოუჭრა სიტ-
ყვა: — განა ძაღლებს აბიათ ჯაჭვიო, მამასახლი-
სებსაც აბიათ ყელზეო“ (ი. მჭედლიშვილი, თბ.,
1966, გვ. 373).

³ ბაზში — სანათი.

⁴ სოპზათი — გაბასება.

ლ. გულიაშვილი. „არსენას
ლექსი“. დეკორაციის ეს-
კიზი. 1931 წ.





ლადო გულიაშვილი — თეატრალური მხატვარი

საპარტიზელის თეატრალური საზოგადოების საგამოფენო დარბაზში გამოფენილია საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ლადო გულიაშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის თეატრალური ნამუშევრები, ბერეკაობის ამსახველი ფერწერული ტილოები და მულტიფლემის ესკიზები.

ამ გამოფენამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მსურებელი გაეცნო გულიაშვილის შემოქმედების დღემდე ნაკლებად ცნობილ მხარეს, შეხვდა მას როგორც ნიჭიერ მხატვარ-დეკორატორს. ეს შეხვედრა მითუმეტეს სასიამოვნოა, რომ ლ. გულიაშვილის მიერ გაფორმებული სპექტაკლების უმრავლესობა, სამწუხაროდ განუხორციელებელი დარჩა და თავის დროზე საზოგადოება მოკლებული იყო ეხილა თეატრის სცენაზე მის მიერ შესრულებული დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები.

საფრანგეთიდან 1926 წ. ჩამოსული ლადო გულიაშვილი, მარჩანიშვილმა მიიწვია თეატრში,

სადაც მხატვარი სხვადასხვა დროს მუშაობდა 1915 წლამდე.

გულიაშვილის მოსვლა თეატრში შემთხვევითი არ იყო. მისი ყველა ნაწარმოები, ფერწერული ტილოები თუ გრაფიკული ნამუშევრები, გამოირჩევა აგებულების ორნამენტულობით და დეკორატიულობით, ნახატის არაჩვეულებრივი ხასოვანებით და თეატრალულობით.

ამ შემოქმედებით პერიოდში გულიაშვილმა შექმნა მრავალი საინტერესო ესკიზი, სადაც ნათლად გამოჩნდა მისი, როგორც მხატვარ-დეკორატორის ნიჭი და მოწოდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმრავლესობა ლ. გულიაშვილის სპექტაკლებისა განუხორციელებელია. და ამიტომ მათი, როგორც თეატრალური ნაწარმოებების განხილვა ძნელია, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათზე მხოლოდ ესკიზების, კოსტუმებისა და ნიღბების მიხედვით. მარჩანიშვილისა და გულიაშვილის პირველი ერთობლივი ნამუშევარი იყო „ლამარა“, რომლის არც დეკორაციის, არც კოსტუმების ესკიზები არ არის შენარჩუნებული.

მეორე სპექტაკლი გახლდათ, პანტომიმა „მშეთამზე“, რომელზეც 1926 წელს მარჩანიშვილთან და ს. ახმეტელთან ერთად მუშაობდა როგორც მხატვარი, სპექტაკლისათვის მუსიკა დაწერა თამარ ვახუშტაშვილმა. გამოფენაზე წარმოდგენილია ამ სპექტაკლის დეკორაციის ესკიზი. ნახატი, ისევე როგორც კომპოზიცია, პირობითია. ლურჯ ფონზე შორიზონტალურად გაშლილია მთების, კლდეებისა და ხეთა ჯგუფი, რომელთა საოცრად მოძრავი, ელასტიკური ხაზები ფანტასტიურ-ზღაპრულ ელფერს ანიჭებს დეკორაციას. არაუნებრივად დაგრებილი ხეთა და კლდეთა ცოცხალი, დინამიკური ხაზი, მდიდარი კოლორიტი და მათი ხალიჩისებური შეხამება ესკიზს წარმოვლადგენს, როგორც დეკორატიულ პანოს, რომლის ამგვარი გაფორმება ზუსტად ერწყმის პანტომიმური პიესის ხასიათს. ესკიზში, რომელიც შესრულებულია აკვარელით, გამოყენებულია მწვანე, ლურჯი, ყვითელი, მოღვინისფერი, ნაცრისფერი და ყავისფერი ტონები. მისი კომ-



ლ. გულიაშვილი. „კეი-კეი“, ინდუჟაფარის, მიკირტუმასა და მაჩაბელას ნიღბები



პოზიციის აგება, ფერდოვანი გამა, დაგრებილი დინამიკური ნაზები, რელიევის ტალღოვნება, უცნაური, თითქოსდა კატეპისიფიკური მცენარეები, მიზნად ისახავს, რაც შეიძლება სათლად და ხაზგასმით იქნას გადმოცემული დეკორაციის ორნამენტული, ფანტასტიკურ-ზღაპრული ხასიათი.

როგორც ნაწარმოების სიუჟეტი, ასევე მისი გადაწყვეტილი „მშეთამბავის“ სრულიად განსხვავებული პიესაა ა. სლავინსკის „პროტესტი“, რომელიც დადგა რეჟისორმა კ. პატარაძემ 1930 წელს.

გამოყენაზე წარმოდგენილია მთავარ პერსონაჟთა სახეები, აქ მხატვრის უურადლება მიპყრობილია ფსიქოლოგიურ მხარისაკენ, შეტევა კონკრეტულია, რეალისტურია. პერსონაჟები შედარებით დრამატულად არიან წარმოდგენილი. ხაზგასმულია შრომობის მკვეთრი განსახვა. ვასაყურებით საინტერესოა შემდეგი სახეები.

კაროლაკი — მოქუთული, ცოცხალი ეშმაკური თვალებით, აწითლებული დაუღაფა ღოჭებით და ასევე აწითლებული ცხვირით; წელში გახეილი, მოძრავი და ამავე დროს უფრო მშლავი ფიგურა, სახლის დიდი ჩემუბნათა და იეჟიანი პაღლოთი, მისი ხეი, შობრაობა და ვესტი გაომატავს სმის მოყვარე კაცის ხასიათს და ბუჟებას.

ჯაფარიის „იხიანჯოვის“ — შრომელი, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, დასაბული ფიგურა გადმოცემულია შრომის პროცესში. მისი დაკვირვებული შთამბეჭდვი სახე, ფართოდ გახეილი ცნობისმოყვარე თვალები, მთელი მისი გამურული სახე და ხამისი, მუშური კეპიანი ქული, სათლად წარმოგვიდგებს შრომელი კაცის — მუშის, როგორც კონკრეტულ, ასევე განზოგადებულ ტიპს.

აკეი ხოთავას — მახიკის დაგრებილი მოძრაობაში, სახის ფანჯიურ გამომეტყველებაში, იგრძნობა მისი ხერვიული, ავადმყოფური ხასიათი.

ტიპების შესანიშნავი გაღერება წარმოდგენილი „არსენას ლექსში“, რომელიც 1931 წელს დადგა კობე მარჯანიშვილმა. აი რას ამბობს თვით ლ. გუდიაშვილი არსენას ტიპაჟებზე: — „პიესაში ჩამოთვლილი პერსონაჟი მოქმედებს, დრამატურგმა ვასაყურებით ტიპი წარმოადგინა მოქმედებით. პიესაში არის მოქმედება, რითაც ვე ვქმნე სახეს, ტიპის. ცდილობდი ტიპი უყოფილიყო ცოცხალი, ენერგიული, — ან ასეთი, თეატრალური ნიღაბი რომ არ სქირდებოდას. ხშირად ჩემი ტიპაჟები და აქტიორის წარმოსახვა ეთხვეოდა ერთმანეთს“. და მართლაც, „არსენას ლექსში“ ტიპაჟები წარმოდგენილია უყოფილგვარი ნიღაბის გარეშე. მათი სახის გამომეტყველებაში, მოძრაობაში, ჩაცმულობასა და მოქმედებაში გამოხატულია პიესის მოქმედი პირთა სოციალური ხასიათი, მათი სულიერი სამყარო, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

„პრისტავი — წარმოდგენილია გადიდებული თვალებით, ძლიერი, წინ წამოწყული ნიკაპით. სახის გამომეტყველებაში და თვით მოძრაობაშიც იგრძნობა რაღაც სტეციბლური, მკვინვარი. მთელი მისი მასიური ფიგურა განზოგადებს ძალუფლებას, ბორბტებას, თვითნებობას.

გორაკოვი — გამოხასულია, როგორც პოლიციის ნამდვილი მხაშური, ფართოდ გახეილი

ლი არაფრისმეტყველი მრგვალი ფეხებით დიდი წვეტიანი უღვაშებით, საიბი ურდოვანი სულიერი გამომეტყველებით. იგი წარმოგვიდგება, როგორც ეკაიონ და, ამავე დროს, მძინარე და საბარლო აობება.

რუსის კეთილი და რბილი გამომეტყველება, შრომისმოყვარე დიდი ხელები, უოალო და თავისუფალი აობა, ჩაცმულობა (სუისი ჩქიქები, რუსული ქროფული პერანგი და გახიერი მარგალი) წარმოგვიხასავს ეთნოგრაფიული მშრომელი რუსის ტიპს.

ადიუტანტი — დასატულია როგორც თავმოყვასე, ცინიკოსი თვითდაქრებული ჩინოვნიკი საგულდაგულოდ დავარცხალი სწორი თქით.

საინტერესოდ არის გადმოცემული ვაქარი ებრაელის სახე გვრეთლი კეხიანი ცხვირით, ხუშუქი წვეტიანი ცხვირებით, თვალთუხ ჩამოფრთხული კულის ქვეშ მიაღებული ციფერი მზერი. როგორც სახე, ასევე აობა (მხრებში ჩავარდნილი თავი, ბევეში პირფურულად მობრილი) მლიქველური და ეშმაკოია.

იმერილი — დასინავი, ხუშარა, სიცოცხლით ადასავსე, გარეგულად ხალისიანი და კაუყოფილი სახით.

„არსენას ლექსის“ ტიპაჟები და კოსტუმები იმდენად კონკრეტულია, რომ უყოფილგვარი რედაქტიორის გარეშე შეიძლება გადავიტანოთ სცენაზე. სტილისტურად დასრულიებული, კონკრეტული, მაგრამ, ამავე დროს, განზოგადებული პერსონაჟები, მათი ხასიათი ენაობრივად მახიობს და რეეისრის წარმოდგენის ვასორციელებაში, იმავე დროს, ესეიში დამოკიდებული გოაფეული ნაწარმოები იყო. მოუხედავად იმისა, რომ ესეიებში გამოყენებულია პოეტული, ცისფერი, ვეითლელი, მწვახე, უახსფერი, შავი, ნაცრისფერი და სხვა ტონები მათი შეხამება ერთმანეთთან და ფონთან არ არის კონტრასტული, აოამედ მარწმონილი და მშვიდია, რასაც ხაზს უღვახს თვით ფიგურაში დარჩენილი შეუფერებელი ადკოლების დიდი ლეპები, რომელიც უაქვრით და აკვარლის თხელი მონასმებით არის დაკონტურებული.

„არსენას ლექსი“-ს უყოფი ტიპაჟი მკვეთრად არის გადმოცემული თითოეული ადაპიანისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგია, დინამიკა, სიცოცხლე. პიესის მხრები რეალური და, ამავე დროს, ზღაპრული პერსონაჟებია.

„არსენას ლექსის“ დეკორაციის ესეიში ილუსტრაციულ ფანტასტიკურ-ზღაპრულ შთამბეჭდილებას სტოვებს, თუმცა „ფრასადანის თიახსა“ და „დექანში“ შედარებით მტი სივრცეა გადმოცემული.

გუდიაშვილის შემდეგი ნამუშევრია სექტაკლი „არზინ მალ ღლან“, რომლის ესეიებში შესრულებულია 1933 წელს. საინტერესოა თუ როგორ იგრძნობა მხატვარი ამ სექტაკლზე მუშაობას. მარჯანიშვილი ზშირად მესაუბრებოდა სექტაკლზე, — გვიამბო მან, — მას განზრახული მქონდა სექტაკლი დადევა ცირკის ძველ შენობაში, რის გამოც ელბაქიძის ქუჩა და ხიდი (სადაც იმყოფებოდა ცირკის ძველი შენობა) უნდა ჩაქტილიყო. ქუჩის დასაწყისში იქნებოდა აღმოსავლეთის მუსიკოსებისაგან შემდგარი ორკესტრის, დასასრული ნიღიანი ბერიკების მსვლელიობა. დეკორაციის ესეიებში და დადევა თითქმის მზად იყო, მაგრამ არ განხორციელებულა კობე მარჯანიშვილის ვარდაცვალების გამო.“

ლ. გულიაშვილი. „მზეთა-
მზე“. დეკორაციის ესკი-
ზი. 1926 წ.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, სექტაკლი ცირ-
კის შენობაში უნდა დადგმულიყო, რომლის
მკაცრი, წრიული ფორმა მოითხოვდა მხატვრის
მიერ ამფითეატრის შექმნას.
მიუხედავად იმისა, რომ სცენა წრ.ულია და
მოქმედება ყოველი მხრიდან მაყურებლის
თვალწინ იმდებდა, მხატვარი ცდილობს თითო-
ეული დეკორაციის ესკიზში ერთი მხარე ხე-
ლოვნურად კეთილი, შირმით ან სხვადასხვა
აქსესუარებით ჩაეტოს.

ყოველი დეკორაციის ერთ გახსნილ მხარეს
დაჰყვება ოვალური ფორმის პანდუსები, რაც
მიგვანიშნებს, რომ სწორედ ამ მხარეს ხდებო-
და მოქმედება.
ესკიზების მკაცრი ფორმების მიუხედავად
თითოეულ დეკორაციაში მრავლად არის ორ-
ნაწიანტული მოტივები, რომლის დეტალური
დაკვირვების შედეგად სრული წარმოდგენა
გვექმნება დამოუკიდებელი მინიატურულობაზე
და მიუხედავად ზომების სიმცირისა, დეტალებს
საოცრად დახვეწილი, უსასრულო და ტა-
ლილოვანი მოღვივისფერი ხაზები, ქართული
ორნამენტი, თაღები, მდიდრული აუზი და
სხვა ატრიბუტები მკაფიოდ აღიქმება ესკიზში.

ამავე 1938 წელს ლ. გულიაშვილმა შეასრუ-
ლა ნ. ზარბის პიესის „ჩოხისტრის“ ესკიზები.
ესკიზებში გადმოცემულია სიუჟეტის ხაზგას-
მული მკაფიოება, ელასტიკურობა, რაც მარ-
მონიულად გადადის ხაზის კუთხოვანებაში.
კუთხოვანებას ამახვილებს სამოსის სიმკაცრე
და ელევანტურობა, რასაც აღიქვამს ძირითა-
დად გამოყენებული შავი და თეთრი ფერების
კონტრასტული შეხამება. პერსონაჟთა მეტყველ
მომხრობაში, მათ ყოველ ნაკვეთი იგრძნობა
დახვეწილობა და დეკორატულობა. ამის ტი-
პური მაგალითია კონფერანსის (ვ. გომიაშვი-
ლი) ფიგურა. მისი მოძრაობა, მიმოკა, უესტი,
იერი გადმოგვცემს მოქმედების შინაარსს და,
ამავე დროს, თითქოსდა უფრო მეტის გადმო-
ცემას გვიპირდება. ესკიზები შესრულებულია
აკვარელთა და ფანქრით. ამ უკანასკნელთ
შემოხაზულია ფიგურების საკმაოდ დიდი, შე-
უფერადებელი ნაწილი, რაც აღიქვამს ესკი-
ზების გრაფიკულობას, დეკორატიულობას და
კუთხოვნებს.

განუხორციელებელი სექტაკლის „ოიანა-
ბუიანას“ ესკიზებიც 1938 წელს არის შექმნი-
ლი ტუშით და აკვარელთა შესრულებულ
ფოტორებში, სხვა ესკიზებისაგან განსხვავებით,
შეიძარებით მკაფიოდ ჩანს სახის აქცენტირე-
ბული დეტალიზაცია, თუ ჩვენს მიერ განხი-
ლულ სხვა ესკიზებში ხაზი მთავარ როლს თა-
მამშობდა, ახლა მის ნაცვლად გვხვდება სახის
შექარდილი მოვლარება. თუ ფიგურის
პოზა, უესტი და მოძრაობა ისეთივე გამოხა-
ტვნილი და მეტყველი იყო, როგორც სახე, აქ
იგი თითქმის არაფრისმთქმელია. მდიდარი და
ფერადოვანი გამა აქაც მშვიდი, მარბონიულია
და შერწყმულია ესკიზების ფონთან.

1938 წელს ალ. წუწუნავამ ლალა გულია-
შვილი მიიწვია ვ. დოლიძის „თეთრი და კოტე“-
გაფორმებისათვის. საინტერესოა მის მიერ შექ-
მნილი დეკორაციის ესკიზი, სადაც პირიქონდა-
ლურად გაშლილია კომპოზიცია, რომლის მარ-
ცხენა მხარეს წარმოდგენილია ქართული სახ-
ლის ნაწილი, ხოლო შუაში ევოს ინტერიერი,
რომელიც გახსნილია აღმოსავლური ტიპის
შეისრული თაღებითა და დაკავშირებულია
უზარმაზარ სივრცესთან. სიღრმეში მოჩანს
ძველი თბილისის სახლების სახურავები, მტკე-
რის ამაღლებული ნაპირი, მეტეხის ტაძარი და
მისი შემოგარენი. დეკორაციაში, ერთი მხრივ,
წარმოდგენილია უდავოდ ქართული სახლის
ტიპი, რაზეც მისი ორნამენტული ვარსკვლავ-
ები მიგვანიშნებენ. (იგივე, პირველი სიმართ-
ლიდან მიგვირგვინ აყოლებული, ბოქმზე შემო-
ხვეული ვაზი, კრამიტის სახურავის ნაწილი,
კიბის უჯრედი, მოაჭირის ჩუქურთმები) და,
მეორე მხრივ, კაპიტლები, მომრგვალებული
და აღმოსავლური ტიპის შეისრული თაღები.

1952 წელს ლ. გულიაშვილი ფილარმონიაში
აფორმებს ვასო გომიაშვილის მიერ დადგმულ
კომედიას „ვაი-ვაი“. აქ წარმოდგენილი პერ-
სონაჟები საოცრად მეტყველი, ცოცხალი სახე-
ებით კონერტულ, ამავე დროს უტრირებულ
გროტესკულ-დამარულ ასპექტშია გადაწყვეტი-
ლი. მუდამშვილისათვის შემთხვევითი არ არის
ასეთი უტრირებულობა, თეატრალური სახეების
შექმნა, რადღაც მისმა მდიდარმა ფანქრებამ
მოგვცა ქართულ უზარებში დამკვიდრებული
და გაბატონებული უცვლელი პირობის ტიპი.

ლ. გულიაშვილი. „ჯოი-სტრიტი“,
მოცეკვავე ქალი, კონფერანსე.
1933 წ.



განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქორითაც იგი გროტესკულ ასპექტშია წარმოდგენილი. ღირებულების ამაყი, თვითდაჭერებული პოზა და უხესტი გაღმოგვემს როგორც კონკრეტულ აღმზანს, აგრეთვე განაწოგადებს ღირებულების ტიპს, რომლის კმაყოფილი ძალაუფლებიანი გამომეტყველება, უღარადელი, გამამდარი სახე მიგვანიშნებს წვრილბურთუაზიულ გაღმონათვით.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი დეკორაციის ესკიზი, სადაც მუქ შავ ფონზე ცენტრში გამოსახულია ფარშევანი, რომელიც თავისი ნახევრადრეულიად გაშლილი ფრთებით დეკორატიული ორნამენტის შემკვრელად წარმოგვიდგება. ფრთების ორსავე მხარეს მოცემულია აგრეთვე დეკორაციული, ოვალური ფორმის შირმა, რომელიც დაბოლოვებულია სწორი წვეტიანი შპოლებით. დეკორაციის ორნამენტულობა და დეკორატიულობა, მისი ღია ფერადოვანი გამა (რომელიც შესრულებულია ფერადი ფანქრით და გამოყენებულია მომწვანო, ლურჯი და ყვითელი ფერები, აგრეთვე მოღვიწისფრო აკვარელი) ესატყვისება სიუჟეტის მსხუბუქ, კომიკურ-ზღაპრულ გადაწყვეტას.

ფილარმონიაშივე 1954 წ. გულიაშვილმა შეასრულა ესკიზები ქართული ჯაზის კონცერტისთვის, 1955 წ. იგი მუშაობს დეკორაციის კომპიუტარობისა, გადმოცემულია დიდი შინაგანი ფსიქოლოგიური ემოციები, ექსპრესიის გაძლიერების მიზნით ფიგურებში დადივებული და უტრატესულია ანატომიური ფორმები, რაც გროტესკულ და ზღაპრულ-ფანტასტიკურ იერს ანიჭებს პერსონაჟებს. მათი ჩაცმულობის ფერადოვანი გამა, რომელიც აკვარელშია შესრულებული, მქრალია და რბილი. ფუნჯის ფართო მოწითალო-ღვიწისფერი, მომწვანო-ყავისფერი, მოციფრო-ნაცრისფერი ტონების მონასმები და მათ შორის დარჩენილი შეუღლებავი ადგილები ავლენენ რაგორც მასალას (ქაღალდს), ასევე ირწმინან მას და ქმნიან თბილ, მშვიდ გამას.

კონსულტატი წარმოგვიდგენს სათუთად აღზრდილ არისტოკრატს და თავის თავში ღრმად დარწმუნებულ პედაგოგს, მთელი მისი ფიგურის პოზა და დახვეწილი თეატრალური უხესტი ხაზგასმულიად მანერული და გაწეწილია,

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი დეკორაციის ესკიზი, სადაც მუქ შავ ფონზე ცენტრში გამოსახულია ფარშევანი, რომელიც თავისი ნახევრადრეულიად გაშლილი ფრთებით დეკორატიული ორნამენტის შემკვრელად წარმოგვიდგება. ფრთების ორსავე მხარეს მოცემულია აგრეთვე დეკორაციული, ოვალური ფორმის შირმა, რომელიც დაბოლოვებულია სწორი წვეტიანი შპოლებით. დეკორაციის ორნამენტულობა და დეკორატიულობა, მისი ღია ფერადოვანი გამა (რომელიც შესრულებულია ფერადი ფანქრით და გამოყენებულია მომწვანო, ლურჯი და ყვითელი ფერები, აგრეთვე მოღვიწისფრო აკვარელი) ესატყვისება სიუჟეტის მსხუბუქ, კომიკურ-ზღაპრულ გადაწყვეტას.

ფილარმონიაშივე 1954 წ. გულიაშვილმა შეასრულა ესკიზები ქართული ჯაზის კონცერტისთვის, 1955 წ. იგი მუშაობს დეკორაციის კომპიუტარობისა, გადმოცემულია დიდი შინაგანი ფსიქოლოგიური ემოციები, ექსპრესიის გაძლიერების მიზნით ფიგურებში დადივებული და უტრატესულია ანატომიური ფორმები, რაც გროტესკულ და ზღაპრულ-ფანტასტიკურ იერს ანიჭებს პერსონაჟებს. მათი ჩაცმულობის ფერადოვანი გამა, რომელიც აკვარელშია შესრულებული, მქრალია და რბილი. ფუნჯის ფართო მოწითალო-ღვიწისფერი, მომწვანო-ყავისფერი, მოციფრო-ნაცრისფერი ტონების მონასმები და მათ შორის დარჩენილი შეუღლებავი ადგილები ავლენენ რაგორც მასალას (ქაღალდს), ასევე ირწმინან მას და ქმნიან თბილ, მშვიდ გამას.

კონსულტატი წარმოგვიდგენს სათუთად აღზრდილ არისტოკრატს და თავის თავში ღრმად დარწმუნებულ პედაგოგს, მთელი მისი ფიგურის პოზა და დახვეწილი თეატრალური უხესტი ხაზგასმულიად მანერული და გაწეწილია,

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი დეკორაციის ესკიზი, სადაც მუქ შავ ფონზე ცენტრში გამოსახულია ფარშევანი, რომელიც თავისი ნახევრადრეულიად გაშლილი ფრთებით დეკორატიული ორნამენტის შემკვრელად წარმოგვიდგება. ფრთების ორსავე მხარეს მოცემულია აგრეთვე დეკორაციული, ოვალური ფორმის შირმა, რომელიც დაბოლოვებულია სწორი წვეტიანი შპოლებით. დეკორაციის ორნამენტულობა და დეკორატიულობა, მისი ღია ფერადოვანი გამა (რომელიც შესრულებულია ფერადი ფანქრით და გამოყენებულია მომწვანო, ლურჯი და ყვითელი ფერები, აგრეთვე მოღვიწისფრო აკვარელი) ესატყვისება სიუჟეტის მსხუბუქ, კომიკურ-ზღაპრულ გადაწყვეტას.

ფილარმონიაშივე 1954 წ. გულიაშვილმა შეასრულა ესკიზები ქართული ჯაზის კონცერტისთვის, 1955 წ. იგი მუშაობს დეკორაციის კომპიუტარობისა, გადმოცემულია დიდი შინაგანი ფსიქოლოგიური ემოციები, ექსპრესიის გაძლიერების მიზნით ფიგურებში დადივებული და უტრატესულია ანატომიური ფორმები, რაც გროტესკულ და ზღაპრულ-ფანტასტიკურ იერს ანიჭებს პერსონაჟებს. მათი ჩაცმულობის ფერადოვანი გამა, რომელიც აკვარელშია შესრულებული, მქრალია და რბილი. ფუნჯის ფართო მოწითალო-ღვიწისფერი, მომწვანო-ყავისფერი, მოციფრო-ნაცრისფერი ტონების მონასმები და მათ შორის დარჩენილი შეუღლებავი ადგილები ავლენენ რაგორც მასალას (ქაღალდს), ასევე ირწმინან მას და ქმნიან თბილ, მშვიდ გამას.



თეატრალური წიგნის თარო

სიმონ არველაძე

საინტერესო წიგნი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ოთარ ევაძე მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევისა და მონოგრაფიის ავტორია. მისი ნაშრომები უპირატესად ეძღვნება ხელოვნების თეორიისა და ისტორიის აქტუალურ პრობლემებს.

ამჟერად მეთხველიმა მიიღო ოთარ ევაძის მეტად საინტერესო, სოლიდური წიგნი „გასტროლოგები, შეხვედრები, შთაბეჭდილებები“ (თეატრალური საზოგადოება, 1975), რომელსაც ლაკონურად შეიძლება ეწოდოს „ფიქიანის გზები“. იგი გემოვნებითა და მგზნებარებით მოგვითხრობს იმ მოგზაურობათა და შთაბეჭდილებათა შესახებ, რომელიც წილად ხვდა ქართულ მხატვრულ კოლექტივებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებსა და ლიგენდარულ სტალინგრადში. წიგნი შედგება სამი განყოფილებისაგან: „პოლონური დღიური“, „გერმანული დღიური“ და „რუსული დღიური“. სამივე ნაწილი მეჭვრეტეულურად ცხადყოფს ქართული ხელოვნების დიდ ტრიუმფსა და საერთაშორისო რეზონანსს, მის გასვლას საკუთრივ და მსოფლიო ასპარეზზე. ავტორი დაბეჭდვით გადმოგვცემს პოლონელ, გერმანელ და რუს ფართო აუდიტორიასთან სტუმრობის, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან შეხვედრებით აღძრულ ღრმა შთაბეჭდილებებს, ბევრ ისეთ საინტერესო ეპიზოდს და მოვლენას, რაც ერთა თანამეგობრობის, იდეური და ესთეტიკური თანაშრომლობის უტყუარი დადასტურებაა.

„პოლონური დღიური“ ეძღვნება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლოგებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, კერძოდ, დიმი ქალაქებში — ლოძსა და ვარშავაში, ეს მოხდა 1966 წელს. საერთოდ ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან უარესად გაღრმავდა და გაფართოვდა საერთაშორისო კულტურული კონტაქტები, განსირდა ქართველი ხალხის კულტურულ მონაპოვართა და ღირებულებათა გატანა მსოფლიოს შორეულ გზებსა და მერიდიანებზე.

ოთარ ევაძე დამაჯერებლად საუბრობს იმ ახლო ურთიერთობასა და სულიერ კონტაქ-

ტებზე, რაც ასე ერთბაშად დამყარდა პოლონელ კოლეგებთან. ამ ერთიანი, განსული თხრობის მდინარებში ორგანოულად ჩართულია ძმობა-მეგობრობის უტყუარი ეპიზოდები, ფრიალ სასიამოვნო ცნობები პოლონელ-ქართველთა შორეულ სულიერ კავშირებსა და ურყევ მეგობრობაზე. მთელ რიგ ფრაგმენტებში („ნაპოლონის დეჟანი“, „ქვა და ხელოვნება“, „პან და პანი“ და სხვ.). კარგად არის მინიშნებული ქართულსა და პოლონურ ბუნებას შორის თანაზიარობის, მორალურ-ეთიკური ნორმების ერთგვაროვნების, ეროვნული კოლორიტისა და თავისებურებათა შესახებ, იმ სიძნელეებზეც, რაც თავს იჩენს დიადი მიწის მიღწევისათვის ბრძოლაში.

მეთხველი ცხოველი ინტერესით მიხვევება თხრობას იმ წარმატებათა შესახებ, რაც წილად ხვდა ქართული ეროვნული მუსიკის შედეგს ზ. ფალიაშვილის „დაისის“ და თორაძის „გორდას“. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გაზარდა პოლონელთა ინტერესი „რუსლან“ და ლიუდმილას“ პრემიერისადმი. გლენჯას ამ ოპერის დადგამა მკაფიოდ გამოავლინა ჩვენი თეატრის მრავალმხრივი ტალანტი და შესაძლებლობა.

საგულისხმოა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის გამოსვლა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საგასტროლოდ ჩასულ ქართულ თეატრს, მის ბრწყინვალე წარმომადგენელთა ხელოვნებას და ხაზი გაუსვა ასეთი კონტაქტების ორმხრივ სარგებლობასა და მნიშვნელობას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პირველი შემთხვევაა უშუალო კონტაქტისა, რომელიც დამყარდა პოლონელთა და ქართველთა შორის და ამ ვიზიტმა შესამჩნევად გააფართოვა და გააღრმავა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კულტურულ ურთიერთობათა სფერო...

1969 წლის ნოემბერში ჩატარდა ქართული ხელოვნების დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისეთ დიდ ქალაქებში, როგორცაა ბერლინი, დრეზდენი, კარლ მარქს შტადტი და სხვ. წიგნის მეორე ნაწილი „გერმანული დღიური“, რომელსაც მთელი კრებულის ნახევარი უჭირავს, ვრცლად წარმოგვიდგენს ქართული ხელოვნების ტრიუმფალურ გამოცვლას გოეთესა და შილერის სამშობლოში.

„გერმანული დღიური“ აღსავსაა ლირიკული წიაღსვლებით, ურთიერთისადმი პატივისცემითა და გულთბილობით. ცხოვრებისეულ სიბრძნე-სიცრუის პრობლემათკავე სჭაბაბასი მოხდენილად ესადაგება რუსთაველის ბარათაშვილისა და გალაკტიონის უყვავ პოეტურ სტიქონებს. მნიშვნელოვანია სიბრძნის შუქით ნათდება ქართული კულტურის ელჩთა სამოგ-

წაურო მარშრუტი საქართველოდან ახალ, დემოკრატიულ გერმანიაში.

იმავითი ოსტატობით არის აღწერილი გაციონების ეპიზოდში, შეხვედრები სოხუმში აფხაზ თანამშრომლებთან, ამაღლებული შეხვედრა მარშალ გოლოვანოვთან და „ამრაში“ შექმნილი მძობისა და სოლიდარობის ატმოსფერო.

დღიურის ფორმით წარმოდგენილი ჩანაწერები, პროფესიონალი საუბრები და ე. წ. „მინი-პაქტობანი“ ბევრი რამით გაამდიდრებს კითხველის ცნობიერებას, ახალი წახნაგებით დაინახავს მას ხელოვნების ისეთ რთულ და თავისებურ სფეროს, როგორც თეატრი და კინო-ხელოვნება. ქართველ ხელოვანთა ამ საუბრებს სულიერი „განწყინების“ და გაკეთილშობილების მნიშვნელობაც აქვს („შურისძიების პაროლი“, „104 კარდანახელის ხე“, „კინოვარსკვლავის სედა“, „გატაცება შთაგონების ძალა“, „შემოქმედის ორი მხარე“, „რუფისორული მიწისობი“, „სერგო ზაქარაიის ნაშობი“, „პროპორციის დარღვევა“, „შეღავათი და შედეგი“ და სხვ.).

ცნობილია, რომ სერგო ზაქარაიძის და მის თეატრალურ კოლექტივს იმეზად დიდი მისია ჰქონდა სამეგობრო ხიდების გასაგდებად, ამ კულტურულ კავშირ-ურთიერთობათა გასაღრმავებლად წინ გაძლიერდა ქართველ მოღვაწეთა სახელოვან პლადას. ამიტომ საუბრებში დიდი ყურადღება დაეთმო თეატრის ბედს, მის როლსა და ადგილს ხელოვნების დარგებს შორის, იმ საერთო ტიპოვლსა თუ სიძნელეს, რაც დღეს ასე სერიოზულ „საფრთხედ“ აღმართულა სცენური ხელოვნების ამ დიდი ასპარეზის წინაშე. მაგრამ გერმანულ კოლექტივთან საუბარში გამოიკვეთება ოპტიმისტური აზრი იმის შესახებაც, რომ თეატრი უკვდავია, რადგან იგი მუდამ ახლოს იყო და არის ხალხთან, მის ცხოვრებასთან; ყოველთვის წარმოდგენდა ხალხის ინტელექტუალური და ზნეობრივი ძალისა და სილამაზის გამოვლენის მძლავრ საშუალებას. ამ კონტაქტში ავტორი არგუმენტირებულად მსჯელობს თეატრის სამართლის მდგომარეობაზე: „თეატრი იმდენად არის უკვდავი, რამდენადვე ახლა ხალხთან, მის მოთხოვნასთან, და რამდენადვე შეცნობილი აქვთ დაადი, დაილექტივური გამოთქმა გოეთის: „მოკვდი და იყავ, ვითარცა გულთან ახლოს მდგომი“, მთლიანად „გერმანული დღიური“ დიდი

გატაცებით იკითხება. ყოველი ცალკე მონაკვეთი, თუ ფრაგმენტი დღიურისა, დრამად განადგინებს მკითხველს ქართული ხელოვნების ღვადას სიდიადეს და მძლავრ რეზონანსს, გერმანულ ხელოვანთა სიმათიებასა და საყოველთაო მოწონებას. ასეთივე მღელვარებითა

და შინაგანი ექსპრესიით არის დაწერილი „ისტორიული პოსტდამისკენ“, „მოკავშირეთა აპარტამენტები“, „სტალინის სამუშაო ოთახში“, „სამთა მრგვალი მაგიდა“ და სხვ. ერთობ შთამბეჭდვად და საინფორმაციო შთაბეჭდილებათა საპატიო სტუმართა წიგნში ის მოსახრება, რომელიც თავად წიგნის ავტორის კუთვნილებაა და გამოხატავს არა მარტო ქართული კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის საერთო სულისკვეთებას, არამედ მთელი ქართველი ხალხისაც:

საკმაოდ პოეტურად არის დაწერილი „ვოლგოგრადის დღიური“, ომის ქარცხლებლი გამოვიდა და ახლა დენსქისებრი განახლებულ ვოლგოგრადს დამაზო და ძლიერი ქართული ხმით უმდერებს ქართველმა მუსიკოსებმა და მომღერლებმა. ეროვნული კოლორატისა და თემატიკის სექტალებმა, კლასიკურ და უცხოურ საოპერო ქმნილებებთან ერთად, ერთიანად მოხიბლა და დაატყვევა ვოლგოგრადელთა მრავალრიცხოვანი აუდიტორია.

ოთარ გვაძე ამაღლებულად მოგვითხრობს ომგადახდილი ქალაქის ტრაგიკულ ეპიზოდებზე, გვაცნობს საბრძოლო დღეების მაუწყებელ ადგილებს („მკედრითი ამდღარი ქალაქი“, „მამის ყორღანთან“, „ქვაში გაცოცხლებული გმირები“, „სიცოცხლად გამოქანდაბული სიკვდილი“, „სამხედრო დიდების დარბაზში“, „შარავანდელი ამოკეთილი სარკმელი“, „დედასამშობლოს ქანდაკებასთან“), დამიანის კეთილშობილებისა და გმირობის თვისებების ერთად შეგრძნება, ცხოვრების იდეალი და რეალობის სიმბოლაცა, როგორც ხატონად ამზობს ავტორი, მკაფიოდ ამოიკითხება ვუჩეტაჩის მიერ შექმნილ დელუპული მეროშის ჭავჭავურ ქანდაკებაში.

ახალი წიგნი „გასტროლები, უსხვედრები, შთამბეჭდილებები“ აღძრავს მრავალ სადღეისო, აქტუალურ ცხოვრებისულ პრობლემას, რაც ორგანულად ერწყმის სულიერი მოღვაწეობის ისეთ სპეციალურ სფეროს, როგორც ხელოვნება, კერძოდ, თეატრი და მუსიკა. ავტორი პირუთვნელად მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითადი პრინციპების — პარტიულობისა და ხალხურობის პოზიციებიდან განიხილავს და აფასებს ქართული ხელოვნების საგასტროლოდ გატანილ ნიმუშებს, ამასთან ხაზგასმით მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ კულტურულ ღირებულებათა გაცვლა და სულიერი კონტაქტების გაღრმავება გაუართოვება კეთილსმყოფელ გაცვლას მონადენს ერთა შორის თანამეგობრობის, მსოფლმხედველობრივი და იდეურ-ესთეტიკური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცება-განვითარებაზე.

РУССОМ С

МАРКА-
НИШВИАН



„მარჯანიშვილის გვერდით“

თეატრი.. რა საოცარი და ჭადოსნური სამყაროა. უველასათვის თითქოს ნაცნობი და მაინც ბოლომდე გამოუცნობი.

სექტაკლი მხოლოდ დროში არსებობს, დრო მიდის.. სექტაკლი, მისი შემქმნელთა სახეები კი მხოლოდ უშუალო მხილველთა მესხიერებაში განაგრძობენ ცხოვრებას. მაყურებელთა თაობა კი იცვლება. მომდევნო თაობებს მასზე მხოლოდ რეცენზიებითა და მოგონებებით ექმნებათ წარმოდგენა. მოგონებებით კი ჩვენი თეატრალური ლიტერატურა არც ისე მდიდარია. ამის გამო რეჟისორისა და მსახიობის ღვაწლი, მათი შემოქმედებითი პრინციპები და მეთოდები უფრო ხშირად ჩრდილში რჩება, იშვიათად წერდნენ ჩვენი რეჟისორები თავისი მოღვაწეობის შესახებ.

„არ ვიცი რატომ, მაგრამ მუდამ სირცხვილი მიპურობს, როდესაც თეატრის შესახებ რაიმეს დაწერას მთხოვენ. — ამბობს დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, — მე გგონია, რომ ეს ისეთივე უბიწო სირცხვილია, რომელსაც განიცდის ქაბუჯი, როდესაც მას სთხოვენ საჩაროდ მოჰყუენ ძვირფასი შეყვარებულის ღირსებაზე“¹.

სწორედ ამიტომ არის, რომ ბევრი გამოჩენი-

ლი რეჟისორისა თუ მსახიობის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მუშაობის სტილი და თავისებურება უოველთვის მთელი სიღრმითა და სისრულით არ არის შესწავლილი. სასიამოვნო მოვლენაა სსრ კავშირის სახალხო არტისტის დოდო ანთაძის მოგონებების — „მარჯანიშვილის გვერდით“ რუსულ ენაზე გამოცემა. პატარა ფორმატის ლამაზად გამოცემული წიგნი ბაზარზე გამოჩენისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა. ეს თავისთავად ბევრს ლაპარაკობს წიგნის ღირსებაზე. ქართული თეატრის ამაგდარის დოდო ანთაძის სახელი და შემოქმედება მკვიდრად არის დაკავშირებული კოტე მარჯანიშვილის უკვდავ სახელთან.

დიდმა კოტემ პირველმა დაულოცა გზა ახალგაზრდა დამწვებ რეჟისორს დოდო ანთაძეს, როცა მას პ. კაკაბაძის „ლიზაონის ტუსალების“ დადგმა მიანდო. ეს იყო 1926 წელი. მანამდე კი თეატრზე შეყვარებული ქაბუჯი რუსთაველის თეატრში რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ თავის სათაუჯანებელ მასწავლებლებთან ერთად გაიზარა მეორე სახელმწიფო ქართული თეატრის შექმნის სიძნელეები. იგი არის კოტე მარჯანიშვილის ყველა რეპეტიციის მომსწრე და მონაწილე. ამიტომ მისი მოგონებები მრავალმხრივ არის საინტერესო. დოდო ანთაძე უდიდესი სიყვარულით, საქმის ცოდნით გვაცნობს დიდი რეჟისორის ქართულ თეატრში მოღვაწეობას, მთავართან უმინიშვნელო დეტალებსაც კი არ ივიწყებს, დეტალებს, რომლებსაც ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამ წიგნის საშუალებით მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს ქართული თეატრის იმ დამაბულ, მძაფრსა და მღელ-

¹ კ. მარჯანიშვილი „შემოქმედებითი მემკვიდრეობა“, გამ. „ხელთეხვა“, 1972 წ. გვ. 43.



მოგონება ძმავ

ვარე პერიოდს, როდესაც ახლადგზავილი საბჭოთა სცენაზე მოღვაწეობდნენ სცენის გამოჩენილი დიდოსტატები: ვერცხვა ანჯაფარიძე, უშნავი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვახაძე, შალვა ლამაშიძე და სხვ., რომლებმაც ქართველი მაყურებელი არაერთხელ გაახარეს დაუვიწყარი და მაღალმხატვრული სახეებით. წიგნში თვალნათლევ არის გადმოცემული დიდი კოტის რთული და საინტერესო მუშაობა თეატრის კოლექტივთან. ამჟვე წიგნის საშუალებით ჩვენ დავინახეთ თუ როგორ რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ქართულ საბჭოთა თეატრის ფუნქციონირებას, მაგრამ ხელოვნების დღემა სიყვარულმა თავისი გაიტანა და ისტორიას დაუტოვა ბევრი რამ კარგი და სასიამოვნოდ მსახივრისა.

ავტორი „სარეპეტიციო დღეების“ მეოხებით გვაცნობს მარჯანიშვილის მუშაობას სექტაკლზე, — მის შენიშვნებს, ჩანაფიქრებს, მიხედვებს. ფაქიზად და ობიექტურად გვაწვდის ცნობებს იმ შემოქმედებით ურთიერთობაზეც, რომელიც არსებობდა ორი დიდი რეჟისორის — მარჯანიშვილისა და ახმეტელს შორის.

დღოლ ანთაძის სარეპეტიციო წიგნში ფართოდ აისახა იმდროინდელი თეატრალური ცხოვრება, მსახიობების, მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების ერთობლივი, კოლექტიური მუშაობა, ის მდებარე შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც მათს სუფევდა და ასე იზიდავდა ფართო საზოგადოებას, აღძრავდა ცხოველ ინტერესს ხალხში, მკიდრად აკავშირებდა მაყურებელს თეატრთან. ქართული საბჭოთა თეატრის წარსულით დაინტერესებული მკვლევარი თუ მკითხველი გვერდს ვერ აუვლის დღოლ ანთაძის მოგონებებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი აღებული პერიოდის ცოცხალი უშუალო მემბრანაა, ავტორი არც მხოლოდ მოგონებებით კმაყოფილდება და არც მხოლოდ დოკუმენტებით, მათ ერთმანეთით ავსებს, აკერებს, რითაც მოთხრობილს დამაქრებლობას მატებს.

დღოლ ანთაძის წიგნი გამოცემულია მოსკოვში, რუსეთის თეატრალური საზოგადოების მიერ. წიგნი ილუსტრირებულია და წამძვარებული აქვს ცნობილი ქართველი მწერლის, ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსის ბესარიონ უღელის ვრცელი წინასიტყვაობა.

როგორც ავტორი აღნიშნავს, მან ყურადილო ცნობილი მსახიობის ტარიელ ხაყვარელიძისა და პროფესორ დმიტრი ჯანელიძის ფრთხილად გონივრული ჩრევა და ახლანან გამოაქვეყნა მოგონებების საინტერესო წიგნი თავის უფროს ძმავ, ქართული სცენის ჯაღაქარ უშანგი ჩხეიძეზე.

წიგნში, რომელიც არც თუ იხე მცირე მოცულობისაა, იმდენი საინტერესო ეპიზოდი მოთხრობილი ამ დიდოსტატი მსახიობის ცხოვრების შესახებ, რომ თვალნათლევ თვალწინ წარმოგიდგებათ მსახიობი და უსათუთესი მოქალაქე. უშანგის ყოველი გახსენება ისეთი მხატვრული ოსტატობით არის გამოქრწილი, რომ მკითხველში წიგნის სულმოუთქმელად გაცნობის ინტერესს ბადებს.

ავტორი, რომელიც უშანგის ხასიათის ზედმიწევნით კარგი მცოდნეა, მკითხველის წინაშე ახლადგნის ამ უნიკური მსახიობის ურთიერთობასა და დამოკიდებულებას მეგობრების, კოლეგებისა და შინაურებისადმი. უდალად დიდად საინტერესო და ბევრი, აქაუდ უცნობი ამბავის შემცველია წიგნის ის ნაწილი, რომელიც უშანგის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი აღწერილია.

წიგნით ტკბილი სიწმარით მოიგონებს იმ დროსაც, როცა ჯერ კიდევ ხუთი წლის ბავშვი მუდარით შესთხოვდა მშობლებს ისიც წაეყვანათ ზესტაფონში საგასტროლოდ ჩასული სახელოვანი მისი და სხვა მსახიობების სექტაკლზე დასასწრებლად. მაგრამ მისი ბეწვენა და ღალადისი არაინ გაიზარა. წიგნში ერთობ საინტერესოდ არის აღწერილი მისი უსაყვარლესი მისი ჩასვლა შოთხელი ოჯახში. მოწონებას იმსახურებს იმის აღნიშვნა, რომ იგი სახლიდან შორს მიერეკებოდა შინაურ ფრინველთ, რათა მათ დილის ძილი არ დაეფრთხოთ უშანგისათვის.

ქეშმარტივად საგანგებო ნიჭიერბამ და დაუცხრომელმა შრომამ მისცა შესაძლებლობა უადრესად დიდბუნებოვან შემოქმედს უშანგი ჩხეიძეს გამზდარიყო ხალხის უსათვალწინოესი მსახიობი. მისი ბედით დაინტერესებული ხალხი კი ყოველთვის ფუტკრის სკასავით აზუზუნდებოდა ხოლმე, როგორც კი გაიგებდა, რომ უშანგიმ მარჯანიშვილის თეატრი მოინახულა, უშანგი მავანი და მავანი კაცის დაკრძალვას დაესწრო, უშანგი ამა და ამ კურორტზე ისვენებს,



უშანგიმ საკუთარი ხმის მოსინჯვა გადაწყვიტა ლიტერატურული ნაწარმოებების რადიო ფორზე ჩასაწერად, უშანგიმ რუსთაველის თეატრის დამწვარი სეზონი დათვალიერა და ა. შ.

შემოდგომის ერთ მთვარიან საღამოს, — აღნიშნავს ნ. ჩხეიძე, — უშანგის ბინაზე ესტუმრნენ ვერიკა ანჯაფარიძე და სერგო შაქარიაძე, რომლებმაც აივანზე ავტორის თანდასწრებით, უცენოდ, უგრიმოდ, უკოსტუმოდ და უმუსიკოდ გაითამაშეს მჭევინარისა და ბახუტას სასიუყარულო სცენის დიალოგი უშ. ჩხეიძის „გიორგი სააკაიდიანი“, რომლის რეპეტიციები მარჯანიშვილის თეატრში მიმდინარეობდა იმხანად.

„მაგრამ სანამ უშანგი რამეს იტყვოდა — მგონი მსახიობებზე ნაკლებ არც ის დღეაღვდა — მონოლოგის დამთავრებისას მთელს ეზოში ისეთი გამაყრუებელი ტაშის ცემა გაისმა, რომ ნამდვილად ნებისმიერ თეატრს შეშურდებოდა.

ჩვენს ეზოში სამოცი ოჯახი მინც ცხოვრობდა, რომ გადავიხედე მესამე სართულიდან, ყველა მიზინაღრე დიდია-პატარადა აივანზე გამოფენილიყო. ეტყობა ყურს უგაღებდნენ მსახიობებს და როცა დიალოგი დამთავრდა, ოვაცა გამართეს, ყურათმყენა აღარ იყო თითქმის ნახევარი საათი. ტაშის გრგვინვა ფუნქიკულორის პლატომდე აღწევდა.

როცა ყველაფერი დაწყნარდა, უშანგიმ მისართა ვერიკოსა და სერგოს:

— „მე რაღა ვთქვა, რა უნდა გითხრათ იმაზე მეტი, რაც ამ უშუალო მაყურებელმა თავისი ოვაციით გამოხატა“.

არანაკლებ საინტერესოა დიდი მსახიობის შემდეგი გახსენებაც:

„ერთ მშვენიერ დღეს, — გაიხსენებს წიგნის ავტორი, — ნატო ვანჩაძე გვეტუშმარა და ზაფხულში გაგარაში გადაღებული ფოტოსურათები მოუტანა უშანგის.

ნატოს ხილვით უშანგიმ დიდად გაიხარა. ხილი მიართვა და ხუმრობა დაუწყაო.

— ეჰ, ნატალია, ვილა გიბოვოს ახლა შენი მართალია, ჭერ ახალგაზრდა და დამაზი ხარ, მაგრამ მინც არავინ შეგირთავს. მარტო რომ იყო, კიდევ ჰო, მაგრამ ეხუმრებო, სამი ბიჭი გაჯეს გასაზრდელი.

ნატომ ხუმრობაზე ხუმრობითვე უპასუხა: შენს ჭინაზე მინც ბეგერი მოხოვუნელი მყავს და, წარმოიდგინე, არც ბიჭებიანად მიწუნებენო. ვაგლახ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ნატოსა და უშანგის ერთმანეთი აღარ უნახავთ“.

ხოლო როცა უშანგისათვის იმ სახედისწერო 1956 წლის ივნისის 14-ში მოულოდნელად ნატო ვანჩაძის დაღუპვის ამბავი გაიგო, ძლიერ დალონდა.

— ეჰ, ნატა, ნატა, რა უდროოდ გაქრა შენი

სილაშაზე და ქალომა! ნამდვილად თანაგრძობ უკულმართია ეს წელიწადი. თუ ამ წელიწადს მეც არ შემეცნაპუნა, ალბათ ასი წელიწადი ვიცოცხლებ. — იხუმრა უშანგი, მაგრამ ძალზე ნაღვლიანად.

გავიხსენოთ უშანგისა და მისი თანმხლები ნინოს ვიზიტი მხატვარ ქეთევან მაღალაშვილთან, რომელიც უბნადლო მსახიობის ფერწერულ ტილოს ჰქმნიდა. მხატვრის სამუშაო ოთახიდან გაუთავებელი სიცილ-ხარხარი მოესმოდა ნინოს, რომელმაც ვეღარ მოითმინა და გადაწყვიტა საუკრადლო მხისგანვე გაეგო მათი უზომო მხიარულების მიზეზი. შეითხვანა უშანგიმ ასე უპასუხა:

— ანელოტებს ვუყვები ქეთოს, რისი თქმის უფლებასაც ზრდილობა მაძლევს. პატარ-პატარა იუმორისტულ ამბებსაც ვურთავ შიგადაშიგ და ქეთევანს მეტი არ უნდა, იცინის, იცინის და მეც მაიცინებს.

წიგნში შთამბეჭდავად არის ნაამბობი იმის თაობაზე, თუ როგორ მიულოცა უშანგიმ სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი ძველი თბილისის ტრუბაღურს იოსებ გრიშაშვილს და რა გადახდა თავს მოგონებების ავტორს აღნიშნულ იუბილესთან დაკავშირებით.

ასევე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე იმის გახსენება, თუ როგორ გაუმეღავენა უძვირფასეს ძმას თავისი გულის ნადეში — მსახიობად გახდომის სურვილი და როგორ წაუღო უშანგის სარეკომენდაციო ბარათი შალვა დამბაშიძეს, რომელმაც ყოველგვარი გამოცდის გარეშე ჩარიცხა იგი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დასში.

შეუნეღებელი ინტერესით იკითხება წიგნის ავტორი, რომელშიც მოთხრობილია მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობების უეიდევანო სიუყარული და დაფასება დიდი მსახიობის ღვაწლისა. მათ მისი ოთხის ფანჯარის წინ სერენადასავით უმღერეს „გიდა მეძინოს, მინც სულში მიზიხარ“ და გულთბილი სიტყვებით მიულოცეს ახალი, 1950 წლის დაღვამა უშანგე ჩხეიძის.

უწინარი იუმორის გრძნობით არის აღწერილი ის, თუ დავით გამრქეელმა, რომელსაც თან დავით ანდელუაძე ახლდა, საკუთარი მინიატურული მსუღრუქი ავტომობილით როგორ „ლიგენდარულად“ გაასიერა უშანგი მცხეთის გზაზე, სადაც მას მანქანა გადაუბრუნდა.

ჩვენ წიგნში ნაამბობ სხვა მნიშვნელოვან ამბებზე აღარ შევჩერდებით, რადგან უმჯობესია მკითხველი თვითონ გაეცნოს მათ.

უდავოა, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ამ წიგნის გამოცემით კარგი საჩუქარი მიუძღვნა არა მარტო უშანგი ჩხეიძის ხსოვნას, არამედ ყველას, ვინც დანიტრეტებულია დიდი ქართველი მსახიობის ცხოვრებით.



საქართველოს
წიგნითმწიფის
კავშირის
სამდივო

რესპუბლიკის თეატრების ახალი სემესტრები

1976 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე

3 იანვარი. კ. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი. ა. ჩხაიძე „როცა ქალაქს სძინავს“. დადგა ნ. გაჩავამ, მხატვარი — გ. გუნია.

3 იანვარი. მოწარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. რ. მამულაშვილის „მერხებზე ანგელოზები სხედან“. დადგა ა. ქუთათელაძემ, მხატვარი — იუ. გეგეშიძე, მუსიკა — ი. კეკელიძისა.

21 იანვარი. თელავის თეატრი. გ. ხუბაშვილის „აღმართ დაღმართი“. დადგა ნ. ლორთქიფანიძემ, მხატვარი — დ. ბალარჭიშვილი, მუსიკა შეარჩია დ. გურგენიძემ.

27 იანვარი. თბილისის თოჯინების ქართული თეატრი ალ. ტოლსტოის „ოქროს გასაღები“ ანუ ბურატინოს თავგადასავალი“, ინსცენირება ჯ. ქარჩხაძისა. დადგა ანწ. ჩხიკვაძემ, მხატვარი — რ. კონდასხაშოვი, მუსიკა — მ. დავითაშვილისა.

31 იანვარი. ს. ჭანბას სახ. სოხუმის თეატრის ქართული დასი. ვ. შუკუინის „ენერგიული აღმზანები“. თარგმნა მ. გაგარინდაშვილმა, დადგა დ. კობახიძემ, მხატვარი — თ. უვანია, მუსიკ. გააფორმა გ. პარკაძემ, კინო და ფოტო კადრები ს. აბლოთაისი და ტ. ყენიასი.

31 იანვარი. ვ. გუნიას სახ. ფოთის თეატრი. ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, დადგა ო. ცერაძემ, მხატვარი — ზ. ცხადაია, მუსიკ. გააფორმა კ. სვანიძემ.

1 თებერვალი. კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის თეატრის ოსური დასი. ვ. ვანიევის „უბუბატევის სარძლო“. დადგა — მ. შაქაძემ,

მხატვარი — რ. ჩოჩიევი, მუსიკა შეარჩია ვ. გაბარაევმა.

4 თებერვალი. თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი. ფ. მარსოს „ბიჭუნა“, კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, მთარგმნელი — ლ. პაქსაშვილი, დადგა ვ. დავითაშვილმა, დირიჟორი — გ. კახიანი, მხატვარი — უ. იმერლიშვილი.

6 თებერვალი. ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრი. მ. მრეველიშვილის „წვავი“, დადგა ლ. იოსელიანმა, მხატვარი — შ. ზუციშვილი, მუსიკ. გააფორმა ლ. ქიშიშვილმა.

8 თებერვალი. რუსთავის თეატრი. რ. როლანის „მგლები“. თარგმნა ვ. ჭელიძემ, დადგა თ. მესხმა, მხატვარი — ა. ჭელიძე, მუსიკ. გააფორმა ლ. წყებლაძემ.

12 თებერვალი. კ. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი. ვ. კანდელაკის „სოკრატე“, დადგა მ. კუჭუხიძემ, მხატვარი — გ. გუნია, კომპოზიტორი — ვ. კუხიანიძე.

14 თებერვალი. ს. შაუმიანის სახ. სომხური თეატრი. გ. სარქისიანის „თავბრუნდახვევა“, დადგა მ. უმიკიანმა, მხატვარი — ე. სოფრონოვი, მუსიკ. გააფორმა ა. ასატრიანმა, ქორეოგრაფი — იუ. ზარეცი.

14 თებერვალი. ლენინური კომპავერის სახ. მოწარდ მაყურებელთა რუსული თეატრი. „დრამატული სიმღერა“, — კომპოზიცია ნიკ. ოსტროვსკის თემზე, ავტორები: ბ. რავესკიხი, მ. ანჩაროვი. დადგა ლ. მირცხულავამ, მხატვარი — იუ. გეგეშიძე, მუსიკ. გააფორმა გ. მირველოვმა.

14 თებერვალი. ქუთაისის თოჯინების თეატრი. გ. ჭიჭინაძის „ისფერა“. დადგა მ. ფურცხვანიძემ, მხატვარი — გ. ბერჩიკიძე, მუსიკა — ლ. ხინგავანი.

17 თებერვალი. შ. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი. ლესინგის „ნათან ბრძენი“. თარგმნა ვ. ბეწუქელმა, დადგა ვერნერ ვაქსმუტმა (გვრ), რეჟისორის ასისტენტი — ნანა კვასხვაძე, მხატვარი — ვალტერ იარისი (გვრ), ქორეოგრაფი — ი. ზარეცი, ფარეკაობა შ. სხირტლაძისა.

25 თებერვალი. შ. დიდიანის სახ. ზუგდიდის სახელმწიფო თეატრი ეთ. გელოვანის „ალარ გავიმეორებ“. დადგა და მხატვრულად გააფორმა შ. ჩერქეზიშვილმა.

2 მარტი. ი. ჭეჭევაძის სახ. ბათუმის თეატრი. ე. იურანდოვის „მეცხრე წმინდანი“. თარგმნა ლ. გუგუნიამ, დადგა გ. აბესაძემ, მხატვარი — ა. ფილიპოვი, მუსიკალურად გააფორმა თ. შამილაძემ, პანტომიმა ა. შალიკაშვილისა.

5 მარტი. ა. წულუწავას სახ. მახარაძის თეატ-

რი. დ. კლდიაშვილის „ქაშაშვილის გაქირვება“. დადგა ვ. ჩიგოგაძემ, მხატვარი — შ. ხუციშვილი, მუსიკა ს. ბარდიაშვილისა, ქორეოგრაფი — ვ. მეგრელიძე.

9 მარტი. ა. წერეთლის სახ. ქიათურის თეატრი. მ. ჭაფარიძე „უამთაბერის ასული“. დადგა მ. ვაშაძემ, მხატვარი ე. ჭოხაძე, მუსიკ. მონტაჟი გვი ჭაფარიძისა.

11 მარტი. ს. ჭანაძის სახ. სომხურის თეატრის აფხაზური დასი. უ. ანუის „ანტიკონე“. თარგმნა ეთ. კოლინაძე, დადგა დ. კორტავამ, მხატვარი — ე. კობლაროვი, მუსიკ. გააფორმა კ. გოდუაძემ.

14 მარტი. ს. შაუშიანის სახ. სომხური თეატრი. ე. ფედოტოვის „მე, მუღღლე და ფეხბურთი“. თარგმნა ა. ბაბიანიძე, დადგა ჰ. უშიკიანიძე, მუსიკ. გააფორმა შ. მინასიანიძე.

14 მარტი. ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი. ჯ. ვერდის „აიდა“. დირიჟორი — ვ. ფალიაშვილი, რეჟისორი — ჯ. ანჯაფარიძე, მხატვარი — შ. ჩიქოვანი.

14 მარტი. ლენინური კომკავშირის სახ. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი. ვ. ნოვაკისა და რ. სეფის „მელონის ბედნიერება“. რეჟისორი — ნ. ჭანდირი, მხატვარი — ი. გეგშიძე, კომპოზიტორი — მ. დუნაევსკი, ჰორეოგრაფი — იუ. ზარეცკი.

18 მარტი. კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის თეატრის ქართული დასი. ვ. კანდელაკის „სოკრატე“. დადგა უ. მინდიაშვილმა, მხატვარი — ვ. ცერაძე, მუსიკა შვარჩია ვ. გაბარაძემ.

18 მარტი. ვ. გუნიათის სახ. ფოთის თეატრი. კ. ლორთქიფანიძის „კლხეთის ცისკარი“. დადგა ს. კალანდარიშვილმა, მხატვარი — ზ. ცხადაია.

20 მარტი — ს. შაუშიანის სახ. სომხური თეატრი. გ. ტერ-გრიგორიანის „ოპერაცია „გუფუშ“. დადგა რ. ჩალტყიანიძე, მხატვარი — ი. ხუროშვილი, მუსიკ. გააფორმა გ. მერგელიძემ.

25 მარტი, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. ე. შვარცის „შიშველი მეფე“. თარგმნა ევგ. ქართლელმა, დადგა ი. კაკულიამ, მხატვარი — ჯ. ფაჩუაშვილი, კომპოზიტორი — ა. რაჭვაშვილი.

25 მარტი. ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრი. უ. ანუის „სარდალი“. თარგმნა თ. გოდარძიშვილმა, დადგა ვ. მაღლაფერიძემ, მხატვარი — შ. ხუციშვილი, მუსიკ. გააფორმა ლ. ქიშიშვილმა.

26 მარტი. ა. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი. ი. დვორცკის „გაცილები“. დადგა ა. ტოვსტონოვოვმა, რეჟისორები — იუ. შევ-

ჩუკი, ვ. პეტროვსკი, მხატვარი — ი. დონცოვი, კომპოზიტორი — ა. რაჭვაშვილი.

27 მარტი. ქუთაისის თოჯინების თეატრი. ე. გაბაშვილის „დენია გადაიჩნა“. ინსცენირება ნიკ. კველიშვილისა, დადგა — მ. ფურცხანიძემ, მხატვარი — გ. ბერეჩიძემ, მუსიკ. გააფორმა გ. ჩირაძემ.

8 სპრილი. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი. ი. შტრაუსის და რ. შენეს „ლამურა“. დადგა გ. მელიქაძე, დირიჟორი — ა. მამაცაშვილი, მხატვარი თ. მურვანიძე, ქორეოგრაფი — ი. დალიანი, ცეკვების დამდგმელი — ზ. კვალიევილი.

8 სპრილი. ს. ჭანაძის სახ. სომხურის ქართული დასი. მ. შატროვის „სახვალაო ამინდი“. რეპორტაჟი წარმოების ადგილიდან დიალოგების, წერილების, დეკლამაციის და სხვა დოკუმენტების სახით. თარგმნა ლ. ლლონტაძე, დადგა დ. კობახიძემ, რეჟისორი — გ. რატიანი, მხატვარი — თ. ფენია, მუსიკ. გააფორმა კ. გოდუაძემ.

17 სპრილი. ვ. გუნიათის სახ. ფოთის თეატრი. მ. ბარათაშვილის „შეხვედრა ნაჯადულსთან“. დადგა და მხატვრულად გააფორმა ზ. ჭანელიძემ, ლობჯინაძე — კ. ხანიშვილი.

24 სპრილი. ს. შაუშიანის სახ. სომხური თეატრი. ვ. პაპიაშვილის „უკვდავება“ (ორწმენა). დადგა გ. პეტროსიანიძე, მხატვრულად გააფორმეს ჯ. გიგარმა და ი. ჭამრიაშვილმა, მუსიკ. გააფორმა ა. ასატრანიძე.

24 სპრილი. ა. წყნუწუნავის სახ. მახარაძის თეატრი. ა. ჩხაიძის „დაბრუნება“. დადგა ნ. იონათამიშვილმა, მხატვარი — მ. თუთიაშვილი, მუსიკ. გააფორმა მ. მანელაშვილმა.

25 სპრილი. თოჯინების რუსული თეატრი. ს. მარშაის „ფიფის სახლი“. დადგა თ. შონიაშვილი, მხატვარი — მ. ციციშვილი, მუსიკ. გააფორმა გ. მირველოვმა.

28 სპრილი. რუსთავის თეატრი. რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი?“. დადგა ა. ქუთათელაძემ, მხატვარი — ა. კელიძე, კოსტუმების მხატვარი — გ. მდებრიშვილი, მუსიკ. გააფორმა დ. ტურიაშვილმა, ქორეოგრაფი — ბ. მონაწარმისაშვილი.

28 სპრილი. „მეტეხის“ ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია დ. კლდიაშვილის „უბედურება“ დადგა ს. მრეველიშვილმა, მხატვრები — მ. შევლიძე, შ. შევლაშვილი, მუსიკ. გააფორმა მ. ოქელმა, პრემიერა შედგა ქ. ვროცლავსკი (პოლონეთი).



28 ბარნი. ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის თეატრი. ვ. როზოვის „საღამოდან შუადღემდე“, თარგმნა გ. ბათაშვილი, დადგა ე. ჩაიძემ, მხატვარი — გ. ბესელია, მუსიკ. გააფორმა თ. შამილაძემ.

1 მინის. ა. წუწუნავას სახ. მახარაძის თეატრი. მ. გორგილაძის „განაჩენი“, დადგა ვ. ჩიკვაძემ, მხატვარი — შ. დარჩია, მუსიკ. გააფორმა ი. ჩიჭიშვილი.

2 მინის. კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის თეატრის ქართული დასი. ვ. ცხოვრების „სხეთის შთბევი“. თარგმნა გ. ლუხტელმა, დადგა გ. ლაღიძემ, მხატვარი — ვ. ცერაძე, მუსიკა ო. ჭაბუკიანი.

3 მინის. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი. რ. ვაგნერის „მფრინავი პოლანდიელი“, დიორიოზი ზიგზირად კიოლერი (გფრ), დადგა ბერმან ვედეკინმა (გფრ), მხატვრები მანს და ვოლფანგ დაშეი.

6 მინის. ლენინური კომპავენიის სახ. მოზარდ მყურებელთა რუსული თეატრი. გ. მამლინის „შენ ეი, გამარჯობა“ დადგა ნ. ჭანდღერიძე, მხატვარი ვ. ვართანოვი.

6 მინის. შესხლის თეატრი. რ. მამულაშვილის „მერხებზე ანგელოები სხედან“, დადგა და მუსიკალურად გაფორმა გ. მაცხოვრებელი, მხატვარი ა. გოგოლაძე.

7 მინის. ს. ჭანას სახ. სოხუმის თეატრის აფხაზური დასი. ა. გელმანის „პრემია“, თარგმნა ჯ. ახუბამ, დადგა მ. მარხოლიამ, მხატვარი — ე. კოტლიაროვი. მუსიკ. გააფორმეს კ. ჭიკობაძე და მ. მარხოლიამ.

8 მინის. გ. ერისთავის სახ. გორის თეატრი. ბ. ვასილიევის „გარდნაჟი აქ წუწარი იცის“, ინსცენირება ი. კაკულიასი, დადგა ი. კაკულიამ, მხატვარი შ. ხუციშვილი.

11 მინის. ს. ჭანას სახ. სოხუმის თეატრის აფხაზური დასი. ა. ჩხაიძის „ხილი“. თარგმნა ბ. ამინაშვილი. შ. რუსთაველის სახ. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის აფხაზური ჯგუფის ხაღბლოზო სპექტაკლი. კურსის ხელმძღვანელი — კ. პატარიძე, რეჟისორი — ბუდაგოვი ე. ბახილაშვილი, მხატვარი — ლ. ანთაძე.

13 მინის. მოზარდ მყურებელთა ქართული თეატრი. ვ. იაკაშვილის „ნატკრის თვლი“, დადგა ვ. მელიქიძემ, მხატვარი — თ. მურვანიძე.

14 მინის. თელავის თეატრი. მოლდოვის „ძალიად ექიმი“. თარგმნა ფ. გოციშვილი, დადგა ნ. ლორთქიფანიძემ, მხატვარი — ვ. ლაცაბიძე, მუსიკ. გააფორმა დ. გურგენიძემ.

15 მინის. კ. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი. რ. თაბუკაშვილის „რახ იტყვის ხალხი?!“ დადგა ვ. ნიკოლაძემ, მხატვარი —

მ. მაღაზონია, მუსიკ. გააფორმეს გ. გელგელაძემ და ვ. ნიკოლაძემ.

15 მინის. ს. ჭანას სახ. სოხუმის თეატრის ქართული დასი. ა. ზურაბოვის „ლიკა“, დადგა გ. სულიაშვილი, მხატვარი — თ. ყვანია. მუსიკ. გააფორმა კ. გოლუაძემ.

16 მინის. ა. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი. ი. ოსტროვსკის „გემო ბალისა“, პოლონურიდან თარგმნა ზ. შატილვაძემ, სიმღერები თარგმნა ბულატი ოკუჩავამ. დადგმელები — ა. ტოვსტონოვოვი და ლ. ჭაში, მხატვარი — თ. გენინე, ქორეოგრაფი — ი. ზარეცი.

22 მინის. ა. წერეთლის სახ. ქიათურის თეატრი. ა. ზურაბოვის „ლიკა“. დადგა მ. ბესტაშვილი, მხატვარი — ე. ჭოხაძე. სპექტაკლი გამოყენებულია გ. ზენდელისა და ა. ვივალდის მუსიკა.

27 მინის. ქუთაისის თოჯინების თეატრი. მ. სურგულაძის „სამი თოჯინის თავდასაჯული“, დადგა შ. კობიძემ, მხატვარი — გ. ბერიჩიციძე, მუსიკა — თ. ქუშუბურბისა.

28 მინის. ს. შაშვიანის სახ. სოხუმის თეატრი. ბ. ნუშიჩის „ქალბატონი მინისტრის მეუღლე“, თარგმნა — მ. ოპანინამ, დადგა რ. ჩაიტიანიამ, მხატვარი შ. ტერ-გრიგორიანი, მუსიკ. გააფორმა გ. მერგელოვი.

29 მინის. კ. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი. ბ. იბსენის „მოჩვენებანი“, თარგმნა გ. ნუცუბიძემ, დადგა თ. ჩხიქიძემ, მხატვარი — მ. ჭავჭავაძე.

30 მინის. კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის თეატრის ოსური დასი. ფ. შილერის „ღონ კარლოსი“, თარგმნა ფ. გაგლოცემამ, დადგა ა. აზარიევიჩამ, მხატვარი — მ. სრამცოვა, მუსიკა შუარჩია ა. აზარიევიჩამ.

2 ივნისი. ს. ჭანას სახ. სოხუმის თეატრის აფხაზური დასი. ა. მუკუას „მზის დაბნელებაში“, დადგა დ. კორტავამ, მხატვარი ე. კოტლიაროვი.

5 ივნისი. ს. ჭანას სახ. სოხუმის თეატრის ქართული დასი. ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“, დადგა დ. კობახიძემ, მხატვარი — ე. კოტლიაროვი, მუსიკ. გააფორმა დ. გოლუაძემ.

5 ივნისი. გ. ერისთავის სახ. გორის თეატრი. ა. გეჟაძის „გზა, ყარაშანს ცოლი მოჰყავს“. სპექტაკლი-კონცერტი ორ ნაწილად. დადგა ი. კაკულიამ, მხატვარი — შ. ხუციშვილი, ლიტბარი — ჯ. რობაქიძე, ქორეოგრაფი — ო. თავაქლოვი, სპექტაკლი გამოყენებულია ქართული ხალხური სიმღერები და საკრავები.

5 ივნისი. ვ. გუნიას სახ. ფოთის თეატრი. ვ. იაკაშვილის „პორიონტის იქით“. დადგა ო. ცერაძემ, მხატვარი — შ. ცხადაია.

11 ივნისი. ა. წერეთლის სახ. ჰიათურის თეატრი. ლოპე დე ვეგას „თივა და ავი ძალი“.
თარგმნა გ. ყიფშიძემ, დადგა ს. ყიფშიძემ, მხატვარი — დ. თავაძე, მუსიკა. მონათუი დ. გურგენიძისა, ქორეოგრაფი — ანუ, გვამახია.

18 ივნისი. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი. ვ. კონსტანტინოვისა და ბ. რატურის „შვიევი, შვიევი, შვიევი“. მუსიკ. სპექტაკლი შ მოქ. ი. ჰაშეის რომანის მიხედვით, ქართული ტექსტი ვ. გოგოლაშვილისა, კომპოზიტორი — ს. ცინცაძე, დადგა გ. მელივამ, დირჟორები — ა. მამაცაშვილი, ნ. დავითაშვილი, მხატვარი — უ. იმერლიშვილი, ქორმანსტერი — ი. დადიანი.

16 ივნისი. ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრი. დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაქირვება“. ს. ჭეიშვილის ინსცენირება. დადგა შ. კობიძემ, მხატვარი — ჯ. ჭეიშვილი, მუსიკ. გააფორმა ბ. ბუხაიძემ, ქორეოგრაფი — ე. გუმბერძიძე.

27 ივნისი. ა. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი, გ. ნახუტრიშვილის „არაკი კულის ირგვლივ“ („კომბლეი“). დადგმა თ. მაღალაშვილმა, მხატვარი — თ. ნინუა, ქორეოგრაფი — ი. ზარეცკი.

30 ივნისი. თბილისის თოჯინების ქართული თეატრი. ლ. ლოპესკაიასა და გ. კარჩულოვას „პატარა წერო და საფრთხობელა“. თარგმნა გ. გეგექორმა, დადგა გ. სარჩიმელიძემ, მხატვარი — ი. აბაკელია, მუსიკა მ. დავითაშვილისა.

30 ივნისი. რუსთავის თეატრი. ლ. პირანდელოს „ვეტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“. თარგმნა მერი ტიტინიძემ, დადგა გ. ანთაძემ, მხატვარი — მ. მაღაწონია.

30 ივნისი. ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის თეატრი. ვ. კანდელაკის „ხევსურული ბალადა“. დადგა ე. ჩაიძემ, მხატვარი — ა. ფილიპოვი, მუსიკ. გააფორმა თ. შამილაძემ, ქორეოგრაფი — თ. ბეჟანიძე.

30 ივნისი. თელავის თეატრი. ე. დე-ფილიპოს „ცილინდრი“. თარგმნა ტ. ჭანტურიაშ, დადგა შ. დავითაშვილმა, მხატვარი — დ. ბალარჭიშვილი, მუსიკ. გააფორმა ნ. დავითაშვილმა.

4 ივლისი. თოჯინების რუსული თეატრი. იან ვილკოვსკის „რიმტიმტიმის ახალი თავგადასავლები“ (რიმტიმტიმი შემოდგომაზე) თარგმნა ი. შაროვცევამ, ლექსები თარგმნა ნ. გერნეტმა, დადგა ვ. სმირნოვამ, მხატვარი — ვ. ტერეხოვა, მუსიკ. გააფორმა ნ. გუსევა.

7 ივლისი. შ. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი. ნ. წულეისკირის „თუთარჩელა“. დადგა ნ. ზატისკაცმა, მხატვარია მ. ჭავჭავაძე, მუსიკა ი. კეჭეუშაძისა.

11 ივლისი. მესხეთის თეატრი. კ. ბუჩქიძის „რვა მოქმედი პირი“. დადგა მ. შემარაშვილმა, მხატვარი — ა. გოგოლაძე, მუსიკა შეარჩია ნ. ძნელაძემ.

18 ივლისი. ა. წერეთლის სახ. ჰიათურის თეატრი. მოლიერის „ძალად ექიმი“. თარგმნა ფ. გოციენმა, დადგა ავთ. ინხაძემ, მხატვარი — დ. თავაძე.

28 ივლისი. ქუთაისის თეატრი. ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“. დადგა გ. ქვეთარაძემ, მხატვარი მ. შველიძე.

30 ივლისი. შ. დადიანის სახ. ზუგდიდის თეატრი. ნ. ჯოპუას „ძმის სისხლი“. თარგმნა გ. კალანდიაშ, დადგა ბ. ტორონჯაძემ, მხატვარი — ე. კოტლიაროვი, მუსიკა გ. ბერიაშვილისა.



თეატრალური წიგნის გიგლიოგრაფია

1946 — 1960 წ. წ.

ბბაშიძე ბ. მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1954, 198 გვ.

ბპჩინიანი ს. ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობანი. — თბ., „ხელოვნება“, 1960, 175 გვ.

ბრლუნელი ს. გიორგი დავითაშვილი. (მონოგრაფია), თბ., „ხელოვნება“, 1956, 56 გვ.

აბხაძე შ. ვერიკო ანჭაფარძე, (მონოგრაფია), თბ., „ხელოვნება“, 1956, 142 გვ.

ახმეტელი ნ. კრებული. თბ., „ხელოვნება“, 1958, 280 გვ.

ბათუმის თეატრი. ბათუმი, სახელგამი, 1957, 60 გვ.

ბურთიკაშვილი ა. ალექსანდრე იმედაშვილი. თბ., „ხელოვნება“, 1956, 220 გვ.

ბურთიკაშვილი ალ. ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე. — თბ., „ხელოვნება“, 1955, 125 გვ.

ბურთიკაშვილი ბ. გიორგი არაღელი-იშხნელი. (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1954, 163 გვ.

ბურთიკაშვილი ბ. ნატო გაბუნია (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1949, 72 გვ.

ბურთიკაშვილი ბ. სცენის ოსტატები. (პორტრეტები). თბ., „ხელოვნება“, 1951, 272 გვ.

ბურთიკაშვილი ბ. შაქრო გომელაური. თბ., „ხელოვნება“, 1959, 40 გვ.

ბუნინაშვილი ბ. აკაკი ვასაძე. თბ., „ხელოვნება“, 1960, 32 გვ.

ბუნინაშვილი ბ. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუფინი, თბ., „ხელოვნება“, 1948, 112 გვ.

ბუნინაშვილი ბ. ნ. ვ. გოგოლი ქართულ სცენაზე. თბ., „ხელოვნება“, 1951, 88 გვ.

ბუნინაშვილი ბ. ქართული თეატრი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. თბ., „ხელოვნება“, 1955, 97 გვ.

ბამზარაშვილი ლ. გიორგი ერისთავი, ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., საქ. სსრ მეც. აკად. გამ-ბა, 1949, 208 გვ.

ბარბიძე ვ. თეატრი. თბ., „ხელოვნება“, 1958, 220 გვ. წინასიტყვ.: ვახტანგ ვარიკი — ერ. ქარელიშვილი.

ბარბაქაძე მ. თეატრალური მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1959, 120 გვ.

ბარბაქაძე ბ. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან. თბ., „ხელოვნება“, 1957, 350 გვ.

ბერსანიძე ს. აკაკი ხორავა. თბ., „ხელოვნება“, 1956, 24 გვ.

ბერსანიძე ს. აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი. თბ., „ხელოვნება“, 1949, 143 გვ.

ბერსანიძე ს. ვასო აბაშიძე. თბ., სახელგამი, 1948, 152 გვ.

ბერსანიძე ს. სოხუმის თეატრი. სოხუმი, აფხაზეთის ასსრ სახელგამი, 1951, 172 გვ.

ბერსანიძე ს. ქუთაისის თეატრი. (1861-1920), თბ., „ხელოვნება“, 1947, 76 გვ.

ბვარამე ნ. თეატრალური მემუარები. თბ., სახელგამი. 1949, 274 გვ.

ბვარამე ნ. თეატრალური მემუარები. წიგნი მე-2, თბ., „ხელოვნება“, 1952, 164 გვ.

ბვარამე ნ. რუსი და უკრაინელი მსახიობები საქართველოში. თბ., „ხელოვნება“, 1958, 108 გვ.

ბომბლაშვილი შ. მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1958, 124 გვ.

ბოცინიძე ნ. მოგონებანი. (ლიტერატურულად დაამუშავა ალ. ბურთიკაშვილმა). თბ., „ხელოვნება“, 1949, 115 გვ.

ბრიშაშვილი ი. თეატრალური წერილები. გამოც. მე-2, თბ., „ხელოვნება“, 1960, 168 გვ.

ბრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები. თბ., სახელგამი, 1957, 520 გვ.

ბრიშაშვილი ი. ძველ თეატრში. თბ., „ხელოვნება“, 1948, 142 გვ.

ბაღინი შ. ჩემი მარაო, მოგონებანი, სიტყვები და წერილები. თბ., საბლიტგამი, 1948, 180 გვ.

ბაღინი შ. წერილები. წიგ. III. თბ., „ხელოვნება“, 1954, 248 გვ.

ბაშითაია ე. მერაბ ხინიკაძე, საქართველოს სახალხო არტისტი.— ბათუმი, სახელგამი, 1957, 104 გვ.

ბაშითაია ე. ნინო ჩხეიძე. თბ., „ხელოვნება“, 1955, 80 გვ.

ბაშითაია მისნი. (მასალები შეაგროვა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო მაყვალა ცხომარიაშვილმა). თბ., „ხელოვნება“, 1957, 154 გვ.

ბარბაქაძე ნ. ილია ქავჭავაძე თეატრალური კრიტიკოსი. თბ., „ხელოვნება“, 1958, 80 გვ.

ზურაბიშვილი ი. ოთხი პორტრეტი (მაკო,



საქართველოს
ხელნაწილთა
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ვასო, ნატო, ლადო). თბ., „ხელოვნება“, 1948, 148 გვ.
თიკუაძე ბ. უშანგი ჩხეიძე (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1952, 160 გვ.
თიკუაძე ბ. უშანგი ჩხეიძე. (მონოგრაფია). (მე-2 შუკვ. გამოცემა). თბ., „სახელგამი“, 1955, 165 გვ.
ბასრაძე დ. ალექსანდრე წუწუნავა (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1957, 114 გვ.
ბაშმაძე შ. ვანო სარაჯიშვილი (მონოგრაფია). თბ., სახელგამი. 1947, 252 გვ.
ბაშმაძე შ. სანდრო ინაშვილი (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1957, 120 გვ.
კეკელიშვილი ნ. პავლე ფრანგოშვილი (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1956, 72 გვ.
კეკელიშვილი ნ. საქართველოს თეატრალური საზოგადოება. 1945-1955. წიგნი შედგენილია ნიკო კეკელიშვილის მიერ. თბ., „ხელოვნება“, 1956, 372 გვ.
ბინაძე ვ. ემანუელ აფხაიძე. თბ., „ხელოვნება“, 1960, 40 გვ.
ბინაძე ვ. შილიერი ქართულ სცენაზე. თბ., „ხელოვნება“, 1957, 71 გვ.
ლაპრაძე მ. აფხაზური თეატრის ისტორიიდან. თბ., „ხელოვნება“, 1957, 80 გვ.
ლოლაშ ბ. მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1954, 156 გვ.
მარჯანიშვილი პ. მემუარები და წერილები. თბ., „ხელოვნება“, 1947, 120 გვ.
მელაშვილი დ. ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან. თბ., „ხელოვნება“, 1955, 69 გვ.
მისხი ს. წერილები თეატრის შესახებ. (კრებული შეადგინეს, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთეს შ. სალუქვაძემ და ვ. ლოლაძემ). „ხელოვნება“, 1958, 192 გვ.
მეფისაშვილი ბ. მესხების ოჯახი. ბათუმი, 1970, 109 გვ.
მეფისაშვილი ბ. მესხების ოჯახი. (შ. ძიძიგურის წინასიტყვაობით). თბ., „საბჭ. მწერალი“, 1961, 102 გვ.
მერაბლიშვილი მ. ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები. სასცენო მეტყველების ტექნიკა. თბ., „ხელოვნება“, 1949, 189 გვ.
მუშალაძე დ. თანამედროვე ქართული რეჟისურა. (სამი პორტრეტი). თბ., „ხელოვნება“, 1973, 163 გვ.
ნაპაძე ბ. ევტროფი თალაკვაძე. თბ., საქ. სსრ კულტურის სამინისტროს რეკლამების გამომწვევები და თეატრალურ სანახაობით დაწესებულებების ბილეთების გამავრცელებელი დირექციის გამ-ბა, 1968, 24 გვ.

ნინიძე ვ. თბილისის სახელოვნების სკოლის „ხელოვნება“, 1955, 108, გვ.
რაფინანი შ. აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის პრობლემები. თბ., „ხელოვნება“, 1958, 100 გვ.
რუხაძე ტრ. ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია. თბ., „ხელოვნება“, 1949, 567 გვ.
სანდრო ხაჩიძე. კრებული თბ., „ხელოვნება“, 1958, 280 გვ.
საქპარლიმ ტრ. ქართული თეატრის ისტორიიდან. (ერტყვე მეორის თეატრიდან გიორგი ერისთავის თეატრამდე). თბ., „ხელოვნება“, 1956, 116 გვ.
(ქართული საბჭოთა თეატრი ოქტომბრის რევოლუციის XXX წლისთავზე. საქ. თეატრ. საზ.-ბის პლენუმის მასალები. თბ., „ხელოვნება“, 1948, 106 გვ.
სისორიძე რ. შალვა ღამბაშიძე. „ხელოვნება“, 1954, 22 გვ.
მერიძე პანკაშვილი. საიუბილეო კრებული, შემდგ. და ნარკვევის ავტორი ნათელა ურუშაძე. თბ., „ხელოვნება“, 1957, 248 გვ.
ურუშაძე ვ. მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1951, 118 გვ.
ურუშაძე ნ. ფრიდრიხ შილიერი ქართულ სცენაზე. თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სცენოგრაფია. თბ., საქ. პოლიტ. და მეც. ცოდნის გამ. საზ-ბა, 1956, 40 გვ.
ურუშაძე ნ. ცაკა ამირეჯიბი. თბ., „ხელოვნება“, 1958, 108 გვ.
ფალავა ბ. ვასო აბაშიძე. (მოკლე მიმოხილვა). თბ., „ხელოვნება“, 1954, 28 გვ.
მართლელი ეპგ. ცხვრის წყარო. კრებულის შემდგ. ქართლელი. თბ., ხელოვნება“, 1959, 168 გვ.
ქართული თეატრის აღდგენის 200 წელი. თბ., სახელგამი. 1953, 240 გვ.
ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ. წიგ. I. ვასო აბაშიძე. თბ., „ხელოვნება“, 1951. დ. ჩანელიძის რედ. და შესავალი წერილით. (კრებული შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს დ. ჩანელიძემ, კაბ. გაწერელიამ და ელისო კაკაშვილმა), 178 გვ.
ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ. წიგ. II. ვალერიან გუნია. თბ., „ხელოვნება“, 1953, დ. ჩანელიძის რედ. (კრებული შეადგინეს და შენიშვნები დაურთეს დ. ჩანელიძემ, კაბ. გაწერელიამ, ელისო კაკაშვილმა), 284 გვ.
ქართული შექსპირიანა. ნიკო ყიასაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. თბ., „ხელოვნება“, 1959, 336 გვ.
ჰორძია რ. აკაკი ფაღავა. თბ., „ხელოვნება“, 1960, 93 გვ.

* ვაგრძელა. ის. „თეატრალური მოამბე“



მორძაბი რ. ალექსანდრე წუწუნავა. თბ., საქ. სსრ პოლიტ. და მეც. ცოდნის გამავრც. საზ.-ბა, 1958, 80 გვ.

მონაბაძე ნ. ცეცილია წუწუნავა. თბ., „ხელოვნება“, 1966, 86 გვ.

ლვინიაშვილი ბ. მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი. თბ., „ხელოვნება“, 1956, 112 გვ.

უპრაშვილი ლ. გოგუცა კუპრაშვილი. მონოგრაფია. თბ., „ხელოვნება“, 1956, 80 გვ.

შალუბაშვილი ნ. ა. ოსტროვსკი ქართულ სცენაზე. თბ., 1958, 208 გვ.

შვანბერიძე ნ. ხანკულტურის თეატრი. თბ., „ხელოვნება“, 1955.

შენგელაძე დ. წერილები. თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1955, 286 გვ.

ჩხიძე დ. იუზა ჯარდალიშვილი. თბ., „ხელოვნება“, 1960, 38 გვ.

ჩხიძე დ. მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1950, 183 გვ.

ჩხიძე ნ. მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1956, 148 გვ.

ჩხიძე შ. მოგონებანი და წერილები. შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ანდრო თევზაძემ. თბ., „ხელოვნება“, 1956, 328 გვ.

ჩხიძე ჯ. იუსუფ კობლაძე. საქ. სსრ სახალხო არტისტი. ბათუმი, სახელგამი. 1956, 86 გვ.

ცანიშვილი ნ. ნიკო ავალიშვილი. მონოგრაფია. თბ., „ხელოვნება“, 1955, 104 გვ.

ციციშვილი ბ. წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე. თბ., „ხელოვნება“, 1959, 323 გვ.

წარბთაძე აბ. თეატრის შესახებ. (კრებული შეადგინეს, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთეს ნანა ღვინეფაძემ და ვასილ კიანაძემ). თბ., „ხელოვნება“, 1955, 156 გვ.

წარბთაძე ბ. თეატრის შესახებ. (კრებული შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო შოთა სალუქვაძემ). თბ., „ხელოვნება“, 1955, 248 გვ.

წარბთაძე ს. ათი ათასი წარმოდგენა პერიფერიებში. თბ., „ხელოვნება“, 1960, 73 გვ.

ზაპაპაძე ი. თეატრის შესახებ. (კრებული შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ნოდარ გურაბანიძემ). თბ., „ხელოვნება“, 1955, 152 გვ.

პიშვილი ნ. ვასო ყუშიტაშვილი. (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1957, 160 გვ.

ხუციშვილი ს. ავქსენტო ცაგარელი. თბ., „ხელოვნება“, 1958, 186 გვ.

კოძე მარჯანიშვილი. (კრებული გამოიცა ყვარელში კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის

გახსნასთან დაკავშირებით. (კრებული შედგენეს ნღებია ქეთევან ხუციშვილი, დიმიტრი ჯანელიძე). თბ., „ხელოვნება“, 1959, 80 გვ.

ჯაბაშვილი ბ. მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1956, 68 გვ.

ჯანელიძე დ. მასალები ქართული თეატრის ისტორიისათვის. 3 წიგ. წიგ. I, სახელგამი, 1948; წიგ. II ქართული თეატრის ხალხური საწყისები. 68 გვ. (წინასიტყ. ლ. ესაქია).

ჯანელიძე დ. სახიობა. თეატრალური ნარკვევები და წერილები. 1 თბ., „ხელოვნება“, 1958.

თეატრის თეორიისა და ისტორიის საკითხები. მსახიობის ხელოვნება. თეატრალურ-დემოკრატიული მხატვრობა და სხვა. 227 გვ.

ჯაქაძე ბ. 45 წელი სასოფლო სცენაზე. — თბ., „ხელოვნება“, 1952, 102 გვ.

შეადგინა ბრ. ზაპარაძე

წერილი რედაქციას

„თეატრალური მოამბის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა ჩემი რეცენზია სათაურით „ქართული თეატრის აღორძინებისათვის“, რომელიც შეეხებოდა შ. გოზალიშვილის წიგნს „ილია ოქრომჭედლიშვილი“. ჩემი უყურადღებობით წერილის დედანში ილია ოქრომჭედლიშვილის მაგიერ შეცდომით რამდენიმე ადგილას მოხსენებულია ილია წინამძღვრიშვილი. გთხოვთ საშუალება მომცეთ ამ უხეზბული შეცდომის გამო ბოღიში მოვიხილო რედაქციისა და მკითხველთა წინაშე.

გიორგი შთაქაშური

შინაარსი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VIII ყრილობა 3
 საპატიო წოდებათა მინიშვნა 15
 ეძღვნება დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს 16
 კ. მარჯანიშვილი და პ. ოცხელი 17

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

ნანა ღვინეაძე — რას იტყვის ხალხი? 20
 არჩილ დავითიანი — საწყენიც და სასიამოვნოც 22
 ნესტან კვიციანი — „იისფერა“ 24
 ჯემალ მონიავა — „შუო თიბათისი.“ 25

სახალხო თეატრებში

რევაზ ლორია — „დიბლომების მოყვარულნი“ 27
 ფლორა ხორავა — „ნატერფალი“ 29
 ლადო გეგეჭკორი — მოგონებათა რკალიდან 30
 აკაკი გეწაძე — მისი სიმღერე 33
 თინა კვანტალიანი — ოცდაათი წელი თოჯინების თეატრში 36
 თამარ მაჩაბელი — ვინა მურადელის ბავშვობა 38
 ნინო ხელაძე — შეხვედრა მსახიობის სახლში 41
 სეზონი ახალ შენობაში 42
 ქეთევან ხუციშვილი — ნაყოფიერი შრომის წყარო 43
 ია დოღბაია — მონუმენტურობა და ფერწერულობა 44
 ციური ხეთერელი — ე. გაფრინდაშვილი მსახიობის
 ხელოვნებაზე 47
 დიმიტრი ჯანელიძე — საბუეს ბერეკაობის ერთი ნიღბისათვის 49
 ნათია ასათიანი — ლადო გუდიაშვილი თეატრალური მხატვარი 55

თეატრალური წიგნის თარო

სიმონ არველაძე — საინტერესო წიგნი 59
 მანანა ამაშუკელი — მარჯანიშვილის გვერდით 61
 დავით ბუზუკაშვილი — მოგონება მამაზე 62
 რესპუბლიკის თეატრების ახალი სპექტაკლები 64
 თეატრალური წიგნის ბიბლიოგრაფია 68

СО Д Е Р Ж А Н И Е

VIII съезд Театрального общества Грузии	3
Присуждение почетных званий	15
Посвящается 60-летию Великого Октября	16
К. Марджанишвили и П. Оцхели	17

У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

Нана Гвинепадзе — Что скажут люди?	20
Арчил Давитиани — Обидное и приятное	22
Нестан Квейдзе — «Сиреневая»	24
Джемал Мониава — Солнце июньское	25

В НАРОДНЫХ ТЕАТРАХ.

Реваз Лория — «Любители дипломов»	27
Флора Хорава — «Следы»	29
Ладо Гегечкори — Из круга воспоминаний	30
Акакий Гецадзе — Его достойные	33
Тина Кванталиани — Тридцать лет в кукольном театре	36
Тамара Мачабели — Детские годы Ваню Мурадели	38
Нино Хеладзе — Встреча в Доме актера	41
Сезон в новом здании	42
Кетеван Хуцишвили — Источник плодотворного труда	43
Ия Долбая — Монументальность и живописность	44
Циური Хетерели — В. Гаприндашвили об искусстве актера	47
Дмитрий Джанелидзе — об одной скоморошьей маске из	
Сабуэ	49
Натия Асатиани — Ладо Гуднашвили как театральный	
художник	55

ПОЛКА ТЕАТРАЛЬНОЙ КНИГИ.

Симон Арвеладзе — Интересная книга	59
Манана Амашукели — Рядом с Марджанишвили	61
Давид Бузукашвили — Воспоминания о брате	62
Новые спектакли театров республики	64
Библиография Театральной книги	68

ВЕСТНИК

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси — 1976

№ 4 (92)

ფასი 40 კობ.
Цена 40 коп.

ვადეცე წარმოებას 12/VII-76 წ.
ხელმოწერილია 29/IX-76 წ.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა — 6,3
საარტიცვო-საგამომც. თაბახი — 6,91
ქაღალდის ზომა 72X108¹/₁₆

შეკვეთა 2377

შე 09997

ტ. 1.500.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა, თბილისი, ვორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии, Тбилиси, ул. Горького № 3

91/54 R

